

ლიტერატურული გაზეთი

№24 (208) 22 დეკემბერი 2017 - 11 იანვარი 2018 ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

ბექა ქურხული

სკანდარა

ექვნიება გომბორელ ალიბაის, თვირთვილათ რეზოს (რეზო გახუტელაშვილის), ოთარ თილილაურის, ვალიშას, აბარმა შეთეკაურის, მამა-ჩემი ჯემალას (ჯემალ ქურხულის) ნათელ ხსოვნას; ასევე პაკოზას (გოგია ქისტაურს), ვალერა კორნილოვს, თორღვა ანატორელს, ვალერა ვაისმანს, ისკანდერას, რომლებიც, მადლობა ღმერთს, ცოცხლები არიან და კიდევ სხვა გომბორელ მაგარ ბიჭებს — ქართველებს, ოსებს, აზერბაიჯანელებს, ებრაელებს — ამ ქვეყნადაც და საიქიოშიც...

„მე კარგად ვიცი, რას ველოდები,
მაგრამ არ ვიცი, რა მელოდება
და ამიტომაც ჩემი ცოდვები
მიუტევებელ რჩება ცოდვებად...“
ოთარ ჭილაძე

მე რომ მოვალ, მანდ მოვალ, მოვყვები, რატომ უნდა იყო შენ სამოთხეში! მანამდე კი სულ სხვა ამბავს ვიტყვი...
გომბორი ჩემი სოფელია. მამაჩემ ჯემალას დედულეთი. მამაჩემი ერთადერთი იყო ჩვენს გვარში, რომელსაც თავისი დედის მხარე — მათურიდან ჩეჩენ მოყვარეებთან ჩამონოლილი სისხლის გამო გადმოხვენილი ფშავლები — ისევე უყვარდა და ისე სცემდა პატივს, როგორც თავის ქურხულებს. მისთვის გომბორი იგივე იყო, რაც პაბლო ესკობარის კორეშია და მთავარი მეტოქისთვის, ხოსე როდრიგეს გონსალო გაჩასთვის, მშობლიური რანჩო — „ელ პაჩო.“ იმ ხოსე როდრიგეს გონსალო გაჩას, მეტსახელად „El mexicano“-ს ეძახდნენ, რადგან ბილწისცევაობა უყვარდაო. ეტყობა, მექსიკელებს ლათინოსებში ისეთივე გინების მოყვარული ხალხის სახელი აქვთ, როგორც კახელებს საქართველოში. ჰოდა, ეგ ხოსე როდრიგო გონსალო გაჩა, იგივე „El mexicano“, მიუხედავად თავისი 3 000 000 000 დოლარი (3 მილიარდი დოლარი) კაპიტალისა, მშობლიური რანჩოდან ვერავინ გამოიყვანა და ვერც ადგილობრივ გლეხებთან მოედანზე ბირჟობას, საღეჭი თამბაქოს ფურთხებასა და კოლუმბიური ესპანური ცხრასართულინი გინების — „jodida policia me cago en vuestra puta madre cabrones de mierda“, „hijo de la gran puta“, „jodidos bodrios y cucaros“, „matate a todos malditas arrabaleras“, „cabron“ და „bastardo“-ს ჩამორაკრავებს გადააჩვია ვინმემ. ამ რანჩოს დაცვის დროსვე დაიღუპა FBR-ისა და კოლუმბიის სპეცდანიშნულების რაზმთან ბრძოლისას, როდესაც დაინახა, როგორ დაეცა მისი ტყვიაგარტყმული ბიჭი და სიმწრისგან აღრიალებული გახსნილი ხელყუმბართი შევარდა, თავი აიფეთქა და რამდენიმე სპეცნაზელიც აიყოლა ცაში.


II-III

დოდო ჭუმბურიძე

არაგვი ქვევით მირბის,
არაგვიანი, ლალი
და ცივ ღამესთან წვება,
რა სინყნარეა ირგვლივ,
ვინ მეფერება დადლილს,
რა უჩვეულო ნება!

ვიდაც არ იშლის ქირქილს,
ჩუმად ავდივარ მალლა
ქალის გაფრენილ წლებად,
ვიდგამ პატარძლის გვირგვინს
და გული, სავსე ნალვლით,
ალარაფერზე მწყდება.

VIII-IX





დასაწყისი პირველ გვერდზე

მამაჩემი ჯერჯერობა, ძველი ქართული წესით, დედის ანუ პაპის იაკობის სახლში დაიბადა 1944 წლის 20 ივლისს. მეც მას...

ტაურები, ციგროშვილები, აქვე დასახლდა და დაერქვა გიჟ-იაკობი. მე მაგ მიდამოებში დღემდე ვერ მოვიხსენიებ — გიჟ-იაკობი მარიამის შვილიშვილი. ტიტულია რა ეგეთი და, მგონი, კიდევაც ვამართლებ...

კარგი, მაშინ შენები გააფრთხილე, რომ მათს ოჯახით ამოვალთ და გითხოვთო. „მაგარი არა გითქვამს-მეთქი“ — აი, აუტანელი ბავშვი რომ ვიყავი! გადმომიბრიალა თვალები, მაგრამ თან დაიმორცხვა მარო ბებომ და მოჰყვა თავის მართლებას.

რალაც მოწონების თუ სიამაყის ნიშნები გამოუკრთებოდა ხოლმე ამ „შე ლეკო, შე ლეკო, შე გველის წინილოს“ ძახილში... თითქოს ჩვენს ერთობას უსვამდა ხაზს, მით უმეტეს, თავის შვილში და ლექსოში „ლეკურ“ საწყისებს დიდად ვერ ხედავდა. ეს ჩვენი — მისი და ჩემი ამბავი იყო, ეს „ლეკობა...“ ან მე რას მეძახდა ლეკს, დედამისი იყო და მეც თუ გადმომეყვა, რა ჩემი ბრალი იყო? თუმცა გოგოსას რას გაიგებ, როდის რაზე გეჩხუბება და გეფერება? ან გეფერება თუ გეჩხუბება? თუნდაც ეს გოგო შენი საკუთარი, ნახევრად „ლეკი“ ფშაველი ბებო იყო.

ასე გამოვტყებთ ბებიაჩემი მარიამი, როგორ უყვარდა პაპაჩემი ალექსანდრე, რისთვისაც კინისკვრით გამოგვყარა სახლიდან. სანამ ჯერჯერობა და ლექსო გამალებით მოძუნძუნებდნენ, მე უკვე ჭიშკარში გამოვვარდი, მანქანაში შევხტი და შემოვაბზვრიალე კიდევაც. ჯერჯერობა ჯერ ლექსო შემოვადო, მევერ თვითონაც შემოჰყვა და, „დროზეო“, ერთადერთი სიტყვა დააგდო. ამასობაში, ბებიაჩემი მაროც მოგვყვა — „აქ აღარ დაგინახოთ მოთრეულები, მე თქვენი ნერვები აღარა მაქვს, თორემ დაგხოცავთ“ და უცნაური ღიმილით გადაკეტა ჭიშკარი.

დავგაზე, მარა რა დავგაზე. ცოტა სამშვიდობოს რომ გამოვედით, კი ნამითაქა ჯერჯერობა კინკრისობი: „გადიერი, შე ჩემო, რეებს ეუბნები? არ იცი, რო გიჟია, გინდა, აგკაფოს? ვაა, ლოგინში ჩაუნქეო, ტოო...“ და მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „კომუნისტის“ განყოფილების რედაქტორი იყო, ფართოდ გადაინერა ცხონებულმა პირველმა და ღმერთსა და მთა-ბარის სალოცავებს მადლობა უძღვნა გადარჩენისთვის. მერე კი ლექსოს მიუბრუნდა, „შენ როგორ ხარ, მამა მოგიკვდესო?“ ლექსოს თავისი ქერა, ბოხვერა თავი ჩვენს მხრებში ამოეყო და თვალები დაეჭყიტა. თავისი იმერელი ბაბუსის, დეიდების და ბიძების „შენ შემოგველე“, „შენ გენაცვალეში“ გაზრდილს ცოტა კი ეუცხოვა ხანჯალ-მოღერებული ფშაველი ბებო, მაგრამ თვითონაც ქურხული და „ლეკი“ იყო და „მაგრად ვარო“, გვითხრა. ჯერჯერობა კიდევ ერთხელ ამოისუნთქა და „ნადი ჰა, ნადი, თქვენი დედაცოო...“ საწყალმა. ამ თქვენს დედაში ვიგულისხმებოდი მეც, ქურხულელებიც, ფშავლებიც, ლეკებიც და მთელი ჩვენი შეუღებოდი მოდგმა. ცოტა ხანში თვითონაც ეციებოდა, მაგრამ დროდადრო ლექსოს მაინც შემფოთებული გადახედვდა ხოლმე — ბავშვი როგორ არისო.

ნადიო, კითხვაც არ იყო საჭირო, სად უნდა წავსულიყავით. გომბორში, ხილს რომ გადასცდებოდით, აღმართზე წამომდგარი მრგვალი რესტორანი გახსოვთ? სახელი არც ჰქონდა იმ რესტორანს, მგონი. აი, ის იყო ჩემი და ჯერჯერობა მეორე, უფრო სწორად, პირველი სახლი და თავშესაფარი, გომბორის ჭეშმარიტი ცენტრი და „მთავრობის სასახლე“.

ბებიაჩემი და დედაჩემი, რომლებიც ერთმანეთში, რასაკვირველია, ვერ რიგდებოდნენ, მხოლოდ ამაში თანხმდებოდნენ და ერთად ეჩხუბებოდნენ მამაჩემს — „შვილი რესტორანში გაზარდო...“ დედაჩემი ეუბნებოდა, ბავშვი ოპერაში და თეატრში ატარეო და ბებიაჩემი მარიამი — შრომას მიაჩვეო და დილაობით უთენია ცივი წყლით დაზილეო. მე და ჯერჯერობა ოპერაში და თეატრში არ გვინდოდა და, მით უმეტეს, არც შრომა და ცივი წყლით ზელვა. გიჟ-იაკობის შვილიშვილსა და შვილთაშვილს ოპერაში არ გვინდოდა, ვინ შეგვიშვებდა? აგე, ჩვენებური ლეკი ჰაჯი-მურატიც გამოვადეს. და მუშაობით კიდევ ტრაქტორმა იმუშავა. კომბაინმა, ბატონო. ან ეს ობლობაში გაზრდილი ჯერჯერობა თავის ბიჭებს უთენია ნამოყრიდა და ყინულიანი წყლით ანამებდა, ტო? რესტორანში გვერჩინა. დამბალ ხაჭოს და ხინკალს რომ თავი დავანებოთ, ამ რესტორანში იწყებოდა და მთავრდებოდა გომბორისა და ამ მიდამოების ყველა მნიშვნელოვანი საქმეები, სართიქალიდან ვიდრე თელავამდე. იწყებოდა, მთავრდებოდა და იმართებოდა ომები, ჩხუბები, ირჩიეოდა საქმეები, იდებოდა ზავი, ითხზებოდა ლეგენდები, მითები, ანეკდოტები, რჩებოდა ნათქვამი ფრაზები, წყდებოდა ადამიანების ბედი, იცვლებოდა იერარქია და, რავე... ამ რესტორანში მოღვაწეობდა აქაურობის ორი უმთავრესი დამრტყმელი და ავტორიტეტი თვირთვილათ რეზო — რეზო გახ-



ბექა ქურხული სკანდარა

ეს სიმამრი ხო მოკლა პატიოსნად, ვითომც არაფერი... კარგი, იქ ვენდებოდა ჰქონდა, მამის სისხლი აიღო, ქვევით ბაზარში რო დაითვრებოდა, ან ხანჯალი ეკიდა, ან ის თავის გაღვსილი ნაჯახი ეჭირა ხელში, სახლისკენ რო დაიძვრებოდა არყით გადამთვრალი, გზად იქ მოსახლე აზერბაიჯანელები ლამფებს აქრობდნენ, თვალში არ მოვხვდებო. დაეცათ ერთი-ორჯერ, შეუვარდათ.

ოთხი შვილი ეყოლა — დავითი, გოგია, პელო და მარიამი. ეს მარიამი იყო ბებიაჩემი, მამაჩემის დედა, მარო ბებო. ბებიაჩემი უმცროსი იყო, ნებიერა, არაფერს აკეთებინებდნენ, მარტო ფუტკრებს ადევნებდნენ. საფუტკრე ებარა და ეგ იყო მაგის საქმე. თან მაგრად სწავლობდა, ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და ეამაყებოდა ამ გიჟ-იაკობს თავისი განათლებული და ლამაზი გოგო.

მარიამიც მაგარი გიჟი იყო. მაღალი, ქერა, უცებ ბრაზდებოდა და ცუდად ენთებოდა თვალები. გოგო იყო, მაგრამ ახასაც სულ იარაღისკენ გაუბრუნდა ხელი. გიჟ-იაკობისა და ჩემის ნაჯვარი რა გამოვიდოდა? ლამაზი კი იყო და შეუყვარდა ქერჩიდან კოჭლობით დაბრუნებულ პაპაჩემ ალექსანდრეს. მარიამი ამ თავის ჩემს დედასთან მარიამობდა, „აი, მაგ ბიჭს ვუყვარვარ და მე კი არ მიყვები, არ მომინოს, კოჭლიაო...“ მარო კი ლამაზი იყო, მარა პაპაჩემი ალექსანდრე სულაც არ იყო ამ ველური დამბალ-ხაჭოიანი ფშავლების დასახუნნი, არც გარეგნობით, არც ისე, და გაგიჟებულა ეს ჩემის ბებო „დაჰკვილიეთა ამ დამეხილსაო, გოგოვო, შე მწერელთა ტყვეც, ან ომის მერე კაც აღარ დაიბადება არემარეზე, ბაღს უბრძოლავ და იბადა სჭირს, ხეიბარ ხო არ არის, გაუვლის რას სჩად, რად-რაა შენი დასახუნნიო...“ დედის ჩხუბმა იმოქმედა თუ თვითონაც თვალს აყოლებდა ამ ფეხში ვერმახტის ნალმ-ჩარჩენილ პაპაჩემს, ეგ კი ველარ ვიცი, მარა გაჰყვა კია...

ამ ამბავსაც მაგრად ჰყვებოდა მარიამი: „დამიხვდებოდა ეს პაპაშენი და, მარიამ, ცოლად გამომეყვიო და მე ვუბნებოდი — არა, არაო. ერთხელაც დამიხვდა ვერე და მითხრა — მარიამ, ცოლად გამომეყვიო და მე ვუთხარი — არა, არაო და

შის გოგოსავით გავაბეჩავებდა ეს მარო ბებო, შემეცოდა, რომ კოჭლობდა და იმიტომ გავყვიო.

მასხოვს, ოთახში ვართ, მამაჩემი ჯერჯერობა, მე და ლექსო და გვიყვება მარიამი თავისი შაბათი დღისას და „არა, არა, არას...“ მე უკვე 16 წლისა ვარ, პირველი გოგოც მყავს და ცუდი საბურთალოელი ბიჭი ვარ, თავი იდით მგონია, ცხოვრება უკვე ნანახი მაქვს, 9 აპრილიც გამოვლილი და ისედაც, მაშინ 16 წელი საბურთალოზე არ იყო ცოტა. „ბებო, ხვდები, რას ამბობ“ — ვუთხარი — „შემეცოდა და იმიტომ გავყვიო, სიბრაღის გამო კაცს ცოლად როგორ გაჰყვი, თუ არ გიყვარდა, ლოგინში როგორ ჩაუნქეი?!“ მასხოვს, მამაჩემს შიშისგან როგორ გაუდიდა თვალები და ლექსოსკენ წაინა — გადაეფარა.

მარიამი წამით გაოგნდა ამ საოცარი თავხედობისგან, მერე კი 6 წლის ქალისგან წარმოუდგენელი სისწრაფით წამოფრინდა, და მთლად დასახანჯლად ვერ გამიმეტა, მაინც შვილიშვილი ვიყავი, მაგრამ ზურგსუკნიდან, ფანჯრის რაფაზე საგანგებოდ ასეთი შემთხვევისთვის შემონახული კაი გამომშრალი, გატუსული ჯოხი კი გადმომიქნია. ჯერჯერობა სასწრაფოდ ამოიჩარა ლექსო ილიაში და წინდახედულად და უკანმოუხედავად დურთა თავი კარში. მეც უკან მივყვი, მაგრამ სანამ ეს კარგად ჩასუქებული მამა-შვილი კარში გაეტეოდა და მეც ბექებში კაი ლაზათიანად მოქნულ ჯოხს მივლდებო, ომის ღმერთების გეზს მივყვი და აივანს მივეცი თავი... გადავხტი აივნიდან, მომეყვა ჯოხი და ბებიაჩემი მაროს ყიჟინა — „აი, შე ლეკო, შე ლეკო, შე გველის წინილოს, რომ არ მყვარებოდა, ხომ არ გავყვებოდიო!“ რომ გავაბრაზებდი, ლეკს მეძახდა, განსაკუთრებით, თუ თავიცა მქონდა გადახოტრილი. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ „ლეკებში“ საკუთარი წარმომავლობას გულისხმობდა დედის მხრიდან, რადგანაც თუმცა დედით ჩემი იყო, მაინც სუფთა მათურელი ფშავლის გოგო გახლდათ, მათურელებისთვის და ფშაველებისთვის კი ლეკი და ჩემი, მაინც ორივე ერთ, მთის გადაღმელსა და მტერს ნიშნავდა.

თან მეჩხუბებოდა და თან აშკარად

მაშინ არც ისე იშვიათი იყო მთაში ასეთი შერეული ქორწინება. ქრისტიანობამაც და ისლამმაც უფრო ძველი, ნახევრადწარმართული გავლენები იგრძნობოდა, საერთო ხატობებს მისდევდნენ, მაგალითად, ანატორის ხატს, რომელსაც დღემდე რჯულიან-ურჯულით სალოცავს ეძახიან. ეთნიკურად, გენეტიკურად და იერით ხომ ლამის ერთნი იყვნენ. მათურაში დღემდე ამბავი დარჩენილი: მათურელები უკანა ფშავში ქორწილში წასულიყვნენ, სოფელში მარტო ქალ-ბაღალი და დარჩენილიყო. ეს ამბავი ჩემებმა გაიგეს და სოფელს დაესხნენ, ხატის საგანძური ვერცხლელის გატაცება ჰქონდათ გუნებაში. ეს ქალ-ბაღალი შიშით და ტირილით გაქცეულა ტყისკენ და საქონელიც, რაც მოუსწრიათ, გაურქეიათ. ერთადერთი მათურაში გამოთხოვილი ჩემის გოგო არ დაბნეულა. შევარდნილა სახატეში, სადაც ქალის სათოფეზე მიკარებაც კი არ შეიძლება, დაუხვეტავს მთელი საგანძური და თავის თანამემამულეებს მათურხევის ცნობილ ჩანჩქერში დამალვია. ვერ უპოვიათ ჩემებს ჩანჩქერს ამოფარებული, თავისი, ფშაველს გამოყრილი გოგო და დამარჩალან ცარიელები. იმის მერე ტრადიციაა, მათურას მთავარანგელოზის ხატის ყმა ხატობაში რომ ადის, თან თუ ცოლიც ახლავს, ვინც უნდა იყოს, სულ რომ შევდეთის პრინცესა მადლენა გამოჰყვეს, ქმარმა კარგად მოდიდებულ და გაჩქარებულ მათურხევაში უნდა გადაავლოს იმ ჩანჩქერში დამალული, ხატის განძის გადამრჩენელი ჩემი გოგოს საპატივცემულოდ და სახსოვრად. ხატობაში დამთვრალი ფშაველები არც იმას ნაღვლობენ, იცის თუ არა იმ გოგომ ცურვა, ხან წყალიც ნაიღებს პატარძალს და არის მერე ერთი გამოკიდობა, ხარხარი და ყიჟინა.

მოკლედ, იმის თქმა მინდოდა, რომ ასეთი ქორწინებები მაშინ არც ისეთი იშვიათობა იყო, მაგრამ იმ ჩემი გოგოს მამას დედად უუკადრისებია, ვინაცა „ქირისტე ფხიამ“ — ქრისტიანმა ფხოველმა — ვაინახები დღემდე ასე ეძახიან თავის მეზობელ ქართველ მთიელებს — ქალი როგორ მომტაცაო. ჩაუსაფრდა ამ იაკობის მამას — დარჩიას — ჰკრა ბერდანკის ტყვია და გადააგდო მკვდარი თავის ტყაპუჭიან, ფშავურად დაჭრელებული პატივებიანად. პაპა იაკობს ბევრი არ უფიქრია, ახლა ეს ჩაუსაფრდა თავის სიმამრს, დასცა თოფი და გააყოლა უკან მამამის დარჩიას. სისხლის ადების სამახსოვროდ კი ჩემს სიმამრს მეტრიანი, ტყავის ქარქაშიანი ქისტური ხანჯალი აართვა. ეს ხანჯალი მერე ჩემთან იყო, ბევრ ჩემს ძმაცაც ახსოვს; რო დავითვრებოდი და სისხლი შემანუხებდა, გავიდებდი მხარზე და გამოვიდოდი ამ ჩვენს მზიურ ქალაქ თბილისში. ეს ამბავი დედაჩემის ყურამდე მივიდა და მე ხომ მომხვდა, ხანჯალიც სადაც დამიმალა და ველარ ვპოულობ, მაგრამ აქ არის!

ამ ამბავზე მათურაში ხალხი, თემი შეიყარა. ბოლოს გამოუცხადეს: „შენ ამ სისხლს ჩემნი არ გაპატიებენ, ბაღალი ხარ ჯერ, ახლა ჩვენ უნდა გამოვყვიო შენს სისხლს და ერთთურთ უნდა დავლოთ, სჯობს, რომ გავერიდოო...“ მოკლედ, ასე ზრდილობიანად მოიკვეთეს. მოკიდა იაკობმაც ხელი თავის დედას, ცოლს, უმცროს დას და გადმოვიდა გომბორს ზემოთ, ასკილაურში, სადაც ბევრი მათურელი სახლობდა. იგივე, გახუტელაშვილები, ქის-

უტელაშვილი და პაკოზა — გოგია ქისტაური, ჯემალას ბავშვობის ძმაცაცები, ესენიც მათურელი ფშავლები, ნათესავები და ნათელ-მირონები. ეს მათი რესტორანი იყო. ერთი „ბუფეტჩიკად“ იყო გაფორმებული და მეორე მზარეულად, რომ საბჭოთა „ობხე“ არ მოსდავებოდა „კერძო საკუთრებისთვის“, თუმცა მათაც ყველაფერი იცოდნენ და თავისი მისაღებიც მიჰქონდათ. აქვე ცხოვრობდა გომბორელი აზერბაიჯანელების ლიდერი, იდეური ნინამძლოლი და აქაურობის უმთავრესი კოლორიტი ალიბაი. „მე გომბორელი ალიბაი ვარ, აიაო...“ ისეთი სიამაყით იტყოდა, მარლბორის ჰერცოგ უინსტონ ჩერჩილს დაამეტებდა თავს. ეგრეც უყურებდა. „გიტლერი ჩემი პირველი მტერი იყო, ნეკნები ჩამალენა, მაგრამ აი ანანასიჩიმი!“ მაგრად ცეკვავდა. აქამდე ახსოვდათ, ომიდან დაბრუნებულმა „თავის პირველ მტერ გიტლერს“ დედა რო... გომბორის ცენტრში, მოზეიმე ხალხში როგორ შემოვარდა და საცეკვაო წრეში როგორ დაერქო ცერებზე. გარმონი გააჩერა — „ნუ აჭყვიტინებ აია, იოხ იოხ მოაშორეთ... დოლი, დოლი, დოლი, მარტო დოლი!“ და ისეთი დაუარა ლეკური გამარჯვებულმა, ავარდნილ მტერშიდა კრთებოდა.

გომბორი მართლაც უცნაური სოფელი იყო. ამ ეშმაკების საბჭოთა კავშირში, გაგანია იდიოტური განვითარებული სოციალიზმის დროს, როდესაც კომუნისში, ინტერნაციონალიზმი და კაცთა შორის ვითომ ძმობა, პროლეტარობა და სათნოება სუფევდა, შერეული მოსახლეობის ქალაქები კი იყო, მაგრამ სოფლები მაინც იშვიათად გვხვდებოდა. ინტერნაციონალური თბილისი გასაგებია, თბილისი კავკასიის უმთავრესი ცენტრი იყო ბაქოსთან ერთად და აქ, კომუნისტებამდეც და საერთოდ ყოველთვის, „მილეთის ხალხი ირეოდა.“ შერეული სოფლები კი თითქმის არ არსებობდა, შიდა ქართლის ქართულ-ოსურ და აფხაზეთის ქართულ-აფხაზურ სოფლებს თუ არ ჩავთვლით. ისინიც მაინცდამაინც არ ყოფდნენ ერთმანეთს. შერეული ქორწინება, სისხლით ნათესაობა, საერთო გვარ-სახელები, საერთო სალოცავები და ეს ბინძური პოლიტიკოსები რომ არა, ახლაც მშვენივრად იქნებოდნენ. აი, გომბორი კი ნამდვილი ბაბილონის გოდოლი გახლდათ. ნარმოდიგინეთ, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს ჩამოსახლებული კაზაკები — ლაპუხოვები, ვერეშჩენკოები, გრიბკოვები, კორნილოვები, ამავე სოფელში ცალკე საბჭოთა სამხედრო ნაწილი, ესეც ჯერ კიდევ ცარისტული რუსეთის დროინდელ ყაზარმებში. თან სამხედრო ნაწილსაც გააჩნია, გომბორში სტრატეგიული სარაკეტო სამხედრო ქვედანაყოფები იდგა, რომელსაც რაკეტები თურქეთისთვის, როგორც ნატოს წევრი ქვეყნისთვის, დაემიზნებინა და ანკარას აქეთ, სადამდეც რადარებით აკონტროლებდა, ყველაფერს დაადუღებდა. ამას გარდა, სომეხი არმენაკა, რომლის ცოლს მანიაკაზეც საშინლად ეჭვიანობდა პაპაჩემი გიჟიაკობას ითუმ-ყალედან გამოტაცებული ჩეჩენი ცოლი და სრულიად მოურიდეზლად, ყოველგვარი ფემინიზმისა და გენდერული თანასწორობის დაუხმარებლად უშრობდა სისხლს და ითრევდა ხოლმე წვერით. მაგდენი, მგონი, მამა რომ მოუკლა, მაშინ არ უჩხუბია. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ პაპა იაკობი სიცოცხლის ბოლომდე ირწმუნებოდა, სრულიად უდანაშაულოდ იტანჯებოდა და მანიაკასთვის თითოც არ ჰქონდა დაკარებული: „არა, შვილო, ბევრომ ვსჯობდი სხვებსა, მაგრამ ქალებში სხვები მჯობდნენ, მე მაგების გამოკიდებული კაცი არ ვიყავო. თუ არადა, რაღა სომეხ არმენაკას დაგვაჯულ და კუზიან ცოლს დავენესებოდი, აქველ დიაცებ მარსკვლავებს ეთამაშებოდნენ, მაგრამ დახელთილია ჩემი დედაცა, ჩეჩენია, შვილო, უსჯულო.“ კარგი, ამ ოჯახურ დრამას თავი დავანებოთ, სომეხი არმენაკასა და მისი ბიჭი ფორუზას გარდა გომბორში ცხოვრობდნენ ოსები, რომელთაგანაც გამორჩეული ჯეელები იყვნენ გაბიევი ომარა და ჯაგა, რომელმაც ცნობილი ინდური კინო „ავარას“ გმირის, ბანდიტ ჯაგასთან მსგავსებით დაიმსახურა ეს ზედმეტსახელი. გომბორში ცხოვრობდა ოდესელი, კაცმა არ იცის, რატომ და რისთვის გადმოხვენილი, ებრაელი ვაისმანი, ამ მიდამოებში უდავოდ ყველაზე განათლებული, უდიდესი ინტელექ-

ტუალი, ჭადრაკში სპორტის ოსტატი და აქაურობის აღიარებული გენიოსი. თუმცა, როგორც ყველა ებრაელს, საკუთარი გონებრივი უპირატესობა ყოველთვის არ შველოდა. მაგალითად, როდესაც ალიბაის მრავალრიცხოვან შვილთაგან ერთ-ერთს, ნასურას, მათემატიკაში ორიანი დაუნერა და აღმოფოტებული და გამძვინვარებული ალიბაი ცხვრის დასაკლავი და გასატყავებელი ოსმალური ბებუთით ჩაუვარდა სკოლაში. სკოლის კარი წინდახედულად გადაუკეტეს. ალიბაი რამდენჯერმე მელოტი შუბლით შეეტაკა საიმედოდ ჩამანულ კარს და ვერაფერი რომ ვერ გაანყო, გამნარებულად აღრიალდა, მაგრამ რას აღრიალდა. სიბრაზისგან ერთმანეთში ურევდა კლასიკურ ქართულს, ფშაურ დიალექტს და აზერბაიჯანული ენის მრავალფეროვან სალანძღავ სიტყვებს. ჯერ მანანალა და საიდანაც მოთრეული ქოფოი-ოღლი ურია და გამყიდველი იუდა ეძახა. მერე ეს ყველაფერი ბანალურად და მოსაწყენად ეჩვენა და რაკი სულმნათი და წმინდანთაწნორი აზერბაიჯანელი ალიბაი თავის



საქმეში, საქმე რომ ჰქვია, დიხაც, დიდი შემოქმედი და ფართო გაქანების ადამიანი გახლდათ, დახე რა შორიდან დაიწყო: „მე იმ სტალინის დედა... იმ სტალინის დედა... რო ის კარგი კაცი გიტლერი მოკლა და არ დაცადა, თქვენ სულ გაენციკტა. აია, მე სტალინის დედის ტრაკი... რათ მოკლა ის საწყალი გიტლერი, ეგ თქვენ ყველას სექიმ ბაშკას გიზამდათ და ჩემს ფეხებს დაუნერდა ეხლა ჩემს ნასურას დეოიკას, შე ჩათლახო შენაო...“ მერე გაახსენდა, რომ თვითონაც ჰქონდა ამ „ღვთის საწყენ საქმეში“, გიტლერის მოკვლაში, სტალინთან ერთად მონაწილეობა მიღებული და ახლა საკუთარი დედა იგინა, ოღონდ აზერბაიჯანულად. კარგად რომ დაილა, მერეღა მიხვდა, რომ, რაც აქ მოვარდა ბებუთით ხელში და მოსწავლე ახალგაზრდობის გასახარად, საბედნიეროდ და თვალსაყვირად ბებუთით ხელში დახტოდა, სულ სტალინსა და საკუთარ თავს აგინა დედები, ვერაგი ვაისმანი კი ისე დარჩა არხინად და უარესად გამწარდა. გამწარდა და ახლა ვაისმანის ოდესაში დარჩენილ და თევზის პაშტეტის კეთებით გართულ დედას, ცილიას შემოუტრიალდა. ოღონდ სულ რუსულად, იმედი არ ჰქონდა, რომ ვაისმანი მის აზერბაიჯანულ და ქართულ გინებას გაიგებდა და სათანადოდ დააფაგებდა, მხოლოდ უნებურად დასცდებოდა ხოლმე სიმწრისაგან დედაცა, ან კია, ჩახვეული ქართული დედისტრაკობია. ალიბაის ნახევარსაათიან ყიფინას და „აი იოფ თვაიუ მათებს“ მეორე სართულის ფანჯარას საიმედოდ შეფარებული, იქიდან ვალაპოთ შემკობილი, თავგამოყოფილი ვაისმანი, როგორც შეიძლება პასუხობდა: „Угомонись, кретин, несчастный идиот, ну вот послушайте его, послушайте, хватит неделай себе посмешием истинно животное неадерталец, питекантроф!!!“ და ფაქიზად ესროდა დაკუჭული ქალადლის ბურთულებს ხელში აპრიალეზულ ბებუთ მომარჯვებულ და სკოლის ეზოში დასაბმელივით მოხტუნავე ალიბაის. ყველაზე საინტერესო ის ამბავი იყო, რომ ამხანაგი სტალინის, თავისი და ვაისმანის დედის ტრაკები ერთმანეთში ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში გადაურია, როდესაც ხალხთა მამა და კაცობრი-

ობის დიდი ბელადი ჯერ კიდევ ცოცხალი გახლდათ და თავისუფლად შეიძლებოდა, მსგავსი მკრეხელობისთვის ნასურას ორიანს ზედ გადაჰყოლოდა. გაცილებით ნაკლები დანაშაულისათვის ამოუყვია ხალხს თავი მაგადანში, სადაც აგვისტოშიც კი „ტელეგრეიკებად“ წოდებულ ბუშლატებს ათობდნენ და სექტემბრიდან შემდეგ აგვისტომდე ლისტინიციის მორბთან ერთად იყინებოდნენ. თუმცა ალიბაი რომ გაბრაზდებოდა, ისეთი ჩაბუჩება იცოდა, სტალინს, რუხველტს, ჩერჩილს და ფაშისტ გიტლერს, მუსოლინის, ფრანკოს, სულ ერთმანეთში ურევდა. თან, რომ ბრაზობდა ერთსა და იმავე სიტყვებს, უფრო სწორად, გინებას, მანტრასავით იმეორებდა, ენა ებოდა და ამისგან ცალკე გაცოფებული მთელი ხმით გაჰკიოდა. საერთოდ, გომბორელებს მართლა საოცრად უმართლებდათ ამგვარ პოლიტიკურ გამოხტომებში: გაგანია კოლექტივიზაციის დროს, როდესაც ციმბირიდან კავკასიამდე მთელი გლეხობა გააკულაკეს და გაანადგურეს, გომბორში ერთი უღარიბე-

სი აზერბაიჯანელი, მირზა ცხოვრობდა, ზედ ხრამის პირას ქოხში. წამოუვლიდა ზენა ქარი, ჩაუშლიდა ამ ქოხს ხრამში, აუტირდებოდა ცოლ-შვილი, ჩავიდოდა მირზა, ამოიტანდა ხევში ჩაშლილ სახლს, თავიდან მოახუხუხავებდა. გადიოდა ცხოვრება. მოვიდა კოლექტივიზაცია და მოადგნენ მირზასაც, ეუბნებინა: „შემო კოლექტივიზო...“ უხსნიან, რა კარგია... მირზა მკერდით გადაეფარა თავის მფრიანე სახლს და: „გიოლენთური თუ ჯარქია, შენთუნ იყოლო“, გამოუცხადათ. ფეხებიც ვერ დააჭამეს უღარიბეს მირზას და მის სახლს. მეტიც, მისი სიტყვები წლიდან წლამდე მეორდებოდა სოფელში, მირზაც მიხვდა, რომ ისტორიული ფრაზის ავტორი გახდა და გამაყებელი დადიოდა. ნიზამი განჯელის იერი ჩაჰყურებდა თავის ხრამში ვინ იცის მერამდენედ გადაფრენილ სახლს და რომ ჰკითხავდი, როგორ უთხარი მირზა კომუნისტებს? მხოლოდ რჩეულთ უმეორებდა როგორც უთხრა, ჩვეულებრივ მოკვდავთ კი ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა.

ანტიკომუნისტურ გამოხტომებში მართო აზერბაიჯანელები არ მონაწილეობდნენ. როდესაც 1956 წელს ცნობილ „XX სიუზზე“ ხრუშჩოვმა სტალინის კულტი დაგმო და ყველა ცოდვა პატიოსნად მას გადააბრალა, საქართველოში ეს მორიგ ანტიქართულ გამოხტომება აღიქვეს და საბოლოოდ დარწმუნდნენ „რუსების უმადურობაში“ — „ამ ბოზებს გინდა ომი მოაგებინე, რაც გინდა, ის გაუკეთე, მაინც ასე ცუდად მოგიბრუნდებიანო“ და მარტის ცნობილი გამოხტომები დაიწყო, რომელიც ბოლოს 9 მარტის ტრაგედიით დასრულდა. მაგ დროს ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე პაკოზამ — გოგია ქისტაურმა — 12 წლის მამაჩემ ჯემალას სტაცა ხელი: „შენ კარგი კრამატიკული რუსული იციო...“ ფოსტაში წაიყვანა და შემდეგი შინაარსის დეკემის შედგენა დაავალა: „Москови. Кремли. Никита Хрущов. Шени дедац мовткан. агар геморчилебит. Пакоза! 1956 цели. Марти!“ თქვენ ნარმოდიგინეთ, მამაჩემიც და პაკოზაც გადარჩნენ. ახლაც არავინ იცის, მიაღწია ამ თავზეხელაღებულმა დაუმორჩილებლობის დეკლარაციამ ადრესატამდე თუ ვინმე მადლიანმა

და გამჭრიახმა იქვე საგარეჯოს ფოსტაში გააქრო. გომბორში და გომბორს ზევით, პატარა, იტალიურ სახელიან სოფელში, ვერონაში, ცხოვრობდნენ ხევსურები. ვერონაში ძირითადად არაბულები და ჭინჭარაულები. გომბორში შეთეკაურები, ზვიადაურები... ზოგი თავისით გადმოსული, ზოგიც ძალით გადმოსახლებული, როდესაც ორმოცდაათიან წლებში „ინდუსტრიული ბაზის შესაქმნელად“ მთა დაცალეს. ხევსურებისგან რა ინდუსტრიული ბაზა უნდა შეექმნათ, მამაჩემსაც კი ახსოვდა, ლამის სამოციანი წლებამდე ვერონიდან მწებით ან ფურჩიით დაბარგული ცხენებით როგორ ჩამოდიოდნენ გომბორის ბაზრობაზე ბოლდუინის ჯვაროსნევივით, თავიდან ბოლომდე შეჯავშნულები, ჩაქანებით, სამკლავე-საფუხარით, ჯაჭვის პერანგებით, დაშნებითა და ლაჯიებით — ცერა თითზე ბეჭდევით ნამოსაცმელი კასტეტი. მერე ებრო-ყველს დაჰყიდდნენ და აღებული ფულით კარგად რომ ჩამოითვრებოდნენ, თუ ხანჯლიან პაპაჩემ გიჟ-იაკობთან, სხვა ფშავლებთან ან აზერბაიჯანელებთან, უფრო იშვიათად კი გომბორელ კაზაკ-რუსებთან დიდ ჩხუბს ვერ მოაწყობდნენ, უკან აზრუნებულები, ჩრდილებით საესე ხეობებში, მაცილებს და ქაჯ-ეშმაკებს ებრძოდნენ, ძველი ლათინური წარწერიანი მგლის თათამოტივირული ფრანგული ხმლებით. ხევსურებში გამორჩეული ბიჭები იყვნენ თორელთ ლექსო, აბრამა შეთეკაური, თათარათ ლექსო, ლევანა ზვიადური, ნრუნუნა, მაგრამ ყველაზე გამორჩეული და საინტერესო ქალი ჰყავდათ — გომბორის სკოლის ქიმიის მასწავლებელი, არხოტიონი სოფელ ახიელიდან, ლიზა ბალიაური. ეს ლიზა ბალიაური, კომუნისტებთან და საბჭოთა ჩეკასთან მებრძოლი და შეწირული თომა და ლადო ბალიაურების ალალი ბიძაშვილი, ანუ ხევსურულად შინში იყო. „ჩემს ძმათ სხენებამაო“ ან „ჩემს ძმათ განათლებამაო“, რომ ჩაიკრავდა გულში ხელს, ყველამ იცოდა, რომ, ჯერ ერთი, მისი სიტყვა ძირს აღარ დაიშვებოდა და მეორეც, ამ ფიცში სწორედ თავის თოფზე დამკვდარ ძმებს, თომა და ლადო ბალიაურებს გულისხმობდა. ლიზა ბალიაურს განათლება სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული, თან ისე, რომ თბილისსა და დუშეთში კი არა, პირადად ხევსურეთშიც კი არ იყო ნამყოფი. პირდაპირ სოფელ ახიელიდან ინგუშეთში, ლილვეთში გადამავალი მდინარე ასსას გაყოლებულ ბილიკებზე, ჯაირახის ხეობის გავლით, ჩააცილეს ძმობიძაშვილებმა დაუგამდე, იგივე კავკასიამდე, როგორც მოხუცები და არხოტიონები დედმდე ეძახიან ვლადიკავკასს. „ჩუმად-ნები“ მატარებლის ვაგონში ჩაუბარგეს, ბლევრა-ბლევრით მისნი-მოსნიეს დანარჩენი მგზავრები, მერე პეტერბურგისკენ დაძრულ მატარებელს პირჯვარი გადასახეს და მდუმარედ შემობრუნდნენ ჯაირახის ხეობას დამსუბუქებელი ცხენებით. ენანებოდათ სადღაც ჩრდილოეთში, მოუსავლეთისაკენ გამგზავრებული თავისი და. მდუმარედ მოუყვებოდნენ ასსას ნაპირებს, უკან ამოღმა არხოტისკენ. ლიზა ბალიაურმა პეტერბურგის უნივერსიტეტი, ქიმიის გარდა, რუსული და ფრანგულიც ბრწყინვალედ ისწავლა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი განაწილებით გომბორში მოხვდა და აქვე დარჩა მთელი ცხოვრება. არ გათხოვილა. ფრანგული და რუსული კი გადასარეგად ისწავლა, მაგრამ ისეთი არხოტიონული კილოკავი ჰქონდა სიცოცხლის ბოლომდე, რომ სხვებს კი არა, დანარჩენ ფშავ-ხევსურებსაც ნახევარი არ ესმოდათ, რასაც ლიზა მასწავლებელი ამბობდა. მაგალითად, როდესაც ადრეულად გახუციანებულ ჯემალას, გაკვეთილიდან გამოდევნულს, დერეფანში მობორილეს ან ეზოში ხეებზე ასულს დაინახავდა, სტაცებდა ხელს და დაინყებდა ხევსურულად ჩხუბს: „ჩამარეკეთა ზარივ, ჩამარეკეთა, დაინყეთა მაცადინებავ. ეს ბალინ სრუ რო გამოგდებულ გლყავისთა და სრუ კარი-დორჩი ავლიათ, როოსლა უნდა ისწავლას გაკვეთილებ. ნამეედი, ქურხულო, ნამეედი, ქიმიანი ორიანი გყავის გამასასწორებელი“ და მითრევედა ჯემალას ქეჩოთი თავისთან. ეცოდებოდა ობოლი რომ იყო, მერე თავისი მითისა, და ესარჩილებოდა.



კატო ჯავახიშვილი

ნეროები

ეს ქალაქია, სადაც არ ეყვარებათ.
სადაც ჯიბეცარიელი გოგო-ბიჭები ლოყებდაბერილ ბავშვებს კრედიტებით გააგორებენ
და ცათამბჯენების შემინულ აივნებზე კალათებით გადგამენ, — იქნებ ნეროებმა
ნაიყვანონ უკეთესი ცხოვრებისაკენ.

სადაც კაცებს მოუნდებათ ქალები და დაეუფლებიან.
ქალებს მოუნდებათ კაცები და დაეუფლებიან.
ნეროების ფეხებს გამობმული
ბავშვები კი აღარ გაიზრდებიან
ეს სახლიდან სახლზე სარეცხივით გაფენილი
მოუშინაურებელი „უფლება“ იფრენს იმ ყველა წვრილმანსა და მსხვილმანში,
ადამიანები ყოველდღიურობას რომ ეძახიან.
ქალაქში ნეროები დაფრინავენ.
დაბლა, ახლოს. სახლებისკენ და ადამიანებისკენ.
ხალხი დუმს.

მოშინაურებული და მეტყველი.
დიდსულოვანი და მიმტყვებელი.
ხალხი ელოდება და დუმს.
ეს ქალაქია, სადაც არ ენდომებათ.
სადაც ადამიანები შესაშური ერთსულოვნებით დადგებიან
მიტინგებში, არჩევნებში, საოპერაციოს დერეფნებში თუ პანაშვიდებში,
ყველგან „ში“, რადგან შიგნით ყოფნა იოლია
ნამდვილანაღებიანი მანვნებითა და გვირგვინებით ხელში,
ვინ პირველი და მეტჯერ შეაღებს ავადმყოფის ცხოვრების კარს,
ვინ პირველი გადმოაგდებს თანაზიარობის ცრემლს,
ვინ უფრო ხმაბალა დაიღმუფლებს
იმის იმედით, რომ დაელოდონ საერთო შედეგს:
ოპერაციასა და არჩევნებს, დასაფლავებასა და მიტინგების დარბევას, —
ბოლო კოვზი მანვნის გადაყლაპვას.
ქალაქიდან ნეროები გაფრინდნენ.
შორს, მაღლა. სახლებისანად და ადამიანებისანად.
ხალხი დუმს.

მოშინაურებული და მეტყველი.
დიდსულოვანი და მიმტყვებელი.
ხალხი ინახავს და დუმს.
ეს ქალაქია, სადაც აღარ გიცნობენ.
სადაც სამომხმარებლო სესხიდან კოლექტიურ მოხმარებამდე ერთი ნაბიჯი რჩება.
სადაც ნეროები მიფრინავენ
და მიაქვთ საერთო შეკრებები და წარმატებები,
სიყვარულები და იმედგაცრუებები,
საერთო ლექსები და ალტკინებები,
საერთო ცხოვრებები და თავზე ხელის გადასმები.
იმდენი, რამდენის ზიდვასაც შეძლებენ.
იმდენი, რამდენსაც ველარ დააბრუნებენ.
მე კი გამახსენდება როგორ ცალკე მიყვარხარ.
ამ ქალაქიდან შორს და ახლოს
შეშფოთებული ადამიანების და საყოველთაო მოლოდინის მიღმა.
ამიტომ, მე ვირჩევ შენს გამოცარიელებულ მაცივარს
და დაბარული კედლების შესავსებად კისერმოლრეცილ ლურსმენებზე
უხერხულად ჩამოცმულ ძველი თბილისის რეპროდუქციებს,
საერთო ფონიდან ამოვარდნილ უწესრიგობას,
ასე ხშირად რომ კარგავენ და არ იციან,
რადგან ჯერ ნეროების მოტანილია დასახარისხებელი,
ჯერ პანაშვიდება მოსაველედი,
ჯერ გადაფრენება მოსასწრები, —
და მაცივარზე ლურჯი ფლომასტერით ხეიბარ წეროს ვხატავ,
რომელიც ვერასდროს ვერსად გაფრინდება შენიდან.

სამნი

მგონი არცერთს არ უფიქრია უკან მოხედვა.
ქალმა ასფალტს ცათამბჯენი გაუხახუნა და
მეთორმეტე სართულიდან ჩამოსრიალდა.
კაცის კედები თავიდანვე მიწაზე იდგა,
ამიტომ ქუჩას არ უგრძენია მისი ნაბიჯი.
ნაბიჯი იგრძნეს უგრძებმა, სადაც

უამრავი ფოტოს და ფირის გარდა,
გაჩნდა აბები, ძილის მომყვანი კამათლები
როგორც სანთლები, უმზუობის დასავინწყებლად.

ნაბიჯი იყო მძიმე, თუმცა მსუბუქად კანონ-
ზომიერს ხდიდა ყველაფერს, რასაც ვხედავდით, ან ვერ: ოთახს, რომელსაც, თუ დაზუმავე,
ერთად ეძინათ, ხეებს სახლის წინ — სიცილისას გაშლილ ყვავილებს, ქუჩას, რომელშიც
ერთხელ უცებ გამოვლივით, და გზებზე უცნობ, შედარებით უცნობ, ანდა კარგად
ნაცნობ ადამიანებს, ვისთვისაც დარჩა მათი ერთი დღე და ღამე „საერთო“,
— ფილმის ყურება, მზესუმზირით სავსე ლანგარი, და ვინც ხედავდა იმას,
რაც ჩანს, და პირიქით, რაც უკვე აღარ, მაგრამ... კაფეში, მაგიდასთან იჯდა
„ყვავილი“ — ქიმიურ ცდებში სიყვარული რომ დაარქვეს და მათ ცხოვრებას
მოლოდინით უთვალთვალებდა.

ქალმა გულიდან სიყვარული დაიბზრიალა და რადგან ჩანთა აღარ ჰქონდა,
აღარც ჯიბე, აღარც პიჯაკი, — ისევე გულშივე ჩაიბრუნა დაუფიქრებლად.

კაცმა გულიდან სიყვარული დაიბზრიალა და რადგან ჩანთაც იქვე ჰქონდა, ჯიბეც,
პიჯაკიც, — ქუჩას ვერ ანდო და ჯიბეში დაახურდავა.

ქალი ასფალტზე ფეხშიშველი ცეკვავს სიყვარულს.
კაცი მაგიდას მიუჯდა და ლატეს უკვეთავს.
ქალი უცნობი გამვლელისთვის კაბას ისწორებს.
კაცმა გულიდან გამოუშვა სიტყვა „სიკეთე“.
ქალი ქუჩაში სარეცხისთვის ეძებს სამაგრებს.
კაცი — „საერთო“ სამოვარით ყვავილებს ნამავს.
ქალი ოჯახში ბრუნდება და სადილს ამზადებს.
კაცი — ოჯახში ბრუნდება და სუფი მზადაა.

არა. ორივემ იფიქრა უკან მოხედვა.
რადგან, სიყვარული შეიძლება დარჩეს უმნიშვნელო დეტალებში: დილით ლოგინის
გასწორებაში, სიციხიან შუბლზე ხელის დადებაში, „საერთო“ საბანკო
ანგარიშებში, სულელური კომედიის ერთად ყურებასა და ტირილამდე
ხარხარში, ან საყიდლებზე ერთად ნასვლაში, საყვარელი ხეების ჩრდილში,
ყველგან, სადაც მოგონება არსებობს, მანამ, სანამ მოგონება იარსებებს.

ნაბიჯი იყო მძიმე, თუმცა მსუბუქად კანონ-
ზომიერს ხდიდა ყველაფერს, რასაც ვხედავდით, ან ვერ: ხეებს სახლის წინ — სიცილისას
გაშლილ ყვავილებს, ქუჩას, რომელშიც ერთხელ უცებ გამოვლივით, და გზებზე
უცნობ, შედარებით ნაცნობ, ანდა კარგად ნაცნობ ადამიანებს, ვისთვისაც
დარჩა მათი ერთი დღე და ღამე „საერთო“, — და ვინც ხედავდა იმას, რაც ჩანს,
და პირიქით, რაც უკვე აღარ, ოთახს, რომელშიც ისხდნენ სამნი: ორნი ცალ-
ცალკე ზამთრისპირა ცივ ვიტრინებში და კიდევ ერთი, ქიმიურ ცდებში
სიყვარული რომ დაარქვეს და მათ ცხოვრებას
მოლოდინით უთვალთვალებდა.

— შეიძლება ჩვენთან დარჩეს?!.
კაცმა იკითხა.

ქალმა გულიდან სიყვარული დაიბზრიალა და რადგან ჩანთა აღარ ჰქონდა,
აღარც ჯიბე, აღარც პიჯაკი, — ისევე გულშივე ჩაიბრუნა დაუფიქრებლად.

კაცმა გულიდან სიყვარული დაიბზრიალა და რადგან ჩანთაც იქვე ჰქონდა,
ჯიბეც, პიჯაკიც, ვერავის ანდო და გულშივე დაახურდავა.

ქინძისთავების ღმერთი

აი, წავიდეთ, მე და „ჩვენ“, — ორნი, ქინძისთავებით მარტოობის ამოსავსებად.
კავი როგორღა გამოვლო ახლა, მიწოდორს ძაფების ფერი ადევს (ხელოვნურების).
ქალაქს — ყვავილის (შარშან სვიტერს რომ ამოვქნძქე)
და სანახევროდ ზამთარს გადავცდი,
რომ მოუსვლელი თოვლი, — თეთრი ან მუქი ორცხოხილა ჩემი ღმერთის
კარს უკან ჩუმად, თვალდახუჭულს ამომეჭამა
როგორც ამბავი, სადაც მე და „ჩვენ“ მივდივართ ახლა
და გრძელ საყვარლს აცდენილი ჩემი კისერი
უცხო მხრებიდან ქანაობს მშვიდად,
თითქოს ბაბუას სარწვევლა სკამიდან მდორედ, —
ისე ვირწვევი ამ ტანიდან.
მხოლოდ უნდა წარმოიდგინო, როგორ მოვედით.
მე — მაღალსაყვლოიანი პერანგით, ლანჩებამძვრალი ფეხსაცმლით

და ქინძისთავებით დამაგრებული კისრით.
„ჩვენ“ — ფეხსაცმლის გარეშე, სახეზე ნაპრალებად გაჩენილი ღმერთი.
ღმერთი უნდა გაიყოს ორად: ჩემად და სხვისად.
ჩემად და საყოველთაოდ.
ჩემად და საზოგადოდ.
საყოველთაო ღმერთების ქვეშ უნდა გიჩანდეს მოთმინება.
საჩემო ღმერთის ქვეშ — შემწყნარებლობა.
მე შემოძლია კარი გავაღო და შენს მოთმინებაში შემოვავიჯო.
მე შემოძლია კარი გავაღო და შენს შემწყნარებლობაში დავგრჩე.
საზოგადოდ და საჩემოდ.

მე შემოძლია ვიყო ურცხვი და საშუალო.
„ჩვენ“ არ შეგიძლია თვალი ამარიდო და უპირატესი გახდე.
მე შემოძლია დაგივინყო და თვალი ვერ დავხარო.
„ჩვენ“ არ შეგიძლია დაგავინყდე და საყოველთაო ღმერთი ჩამტოვო.
მე შემოძლია გექებო ქალაღის თვითმფრინავებში,
ჭიანჭველების ბუდეებში,
გამხმარი ხეების ფესვებში, —
ყველგან, სადაც კანონზომიერება ბრმაა.
მე შემოძლია გიპოვო ჩემს შეცდომებსა და გადარჩენებში,
ლანჩებამძვრალ ფეხსაცმელსა და დაძინილ ქუდებში, —
ყველგან, სადაც შეიძლება შენს ბასრ ღმერთს წავანყდე.
„ჩვენ“ შეგიძლია ქოთნის ყვავილივით ჩამრგო რომელიმე მიწაში
და კისერი პერანგზე დამიმავრო,
რომ შენი უპირობო ღმერთების სარწვევლაში
მდოროედ ვიქანავო, ისე მდოროედ, რომ:

უნდა წარმოიდგინო, როგორ ვერ შევხვდით.
გასული წლების არც ისე შუა ზამთრებიდან და დილებიდან
პირობითი ღიმილების ნავეებში ჩამალულები,
უპირატესი გაცდენის განცდით მოსულები,
ჩვენ, ვინც გაცდით და ხელოვნური ძაფების მინდვრებიდან
ყვავილებად ამოგძენდით შენ, —
ქინძისთავების ღმერთო.

„შიში ოხერია“

ერთხელ, ადგება და წავა.
საწერი მაგიდის უჯრიდან გაურკვეველად ლამაზი გოგოს ფოტოს ამოიღებს,
მალალ ფეხებზე კოტიტა თითებს გადაუსვამს,
მერე ხელებს უხერხულად შემოიწყობს ხერხემლის რომელიღაცა მალაზე,
რადგან არ ეცოდინება, ხელები სად წაიღოს,
რადგან ხელები ზოგჯერ სრულიად გამოუსადეგარი ნივთებია,
ადგება, თვალებს გადამაღავს და წავა.
შენ კი დარჩები და შეგეშინდება, რომ ამქვეყნად ყველაზე უშნო გოგო ხარ,
რომელიც მიატოვეს.

„შიში ოხერია“ — ვიტყვი მე და საკუთარ თავს დაგანახებ.
„შიში ოხერია“ — იტყვი შენ და არ შემომხედავ.
„შიში ოხერია“ — იტყვიან ისინი და გაგვეცლებიან.
ერთხელ, კედებიდან მალალსართულიან სახლზე შემოდგები
და შენი პირობითი სიმაღლე მოგეწონება.
სიმაღლე, რომელსაც საკუთარ თავს უმაღავდი.
სიმაღლე, რომლის გამოც არ ჩანდი.
სიმაღლე, რომლის გამოც მიგატოვეს.
„შიში ოხერია“ — ვიტყვი მე და შეცდომას არ დაფუშებ.
„შიში ოხერია“ — იტყვი შენ და შეცდომას დაუშვებ.
„შიში ოხერია“ — იტყვიან ისინი და საპატარძლოდ მოგერთავენ.
ერთხელ, ბევრი წლის შემდეგ,
სახეზე ნაკლოვანებებს სქელი ტონალურით შეისწორებ,
თვალებს ქვევით წრეებზე მვილებს ჩაის საფენებით შემოიწყობ,
გაგანიერებულ თქმებს გადამაღავ და სარკეს გაუღიმიებ.
მე კი გეტყვი, რომ შენი პირობითი შიში დაგამარცხებს,
შიში, რომელსაც სარკეში ყოველი ჩახედვისას გაურბოდი.

შენ უკვე ხედავ შენს ნაოჭებს.
ისინი ლაპარაკობენ შენზე და შეცდომებზე.
შენ უკვე ხედავ შენს შეცდომებს,
ისინი მხოლოდ იმისთვის არსებობენ,
რომ თავიდან დაუშვა.
შენ უკვე ხედავ შენს ზედმეტად დიდ თვალებს,
ისინი აჩვენებენ სამყაროს უფრო განიერს, ვიდრე სინამდვილეშია.

„შიში ოხერია“ — ვიტყვი მე და გამეცინება.
„შიში ოხერია“ — იტყვი შენ და თვალებს დაიტყუებ.
„შიში ოხერია“ — იტყვიან ისინი და წინსაფარს გაჩუქებენ.
მე ვნერ სიმბახინჯეზე და ვნერ, რომ უშნო გოგოები ყველაზე ლამაზები არიან
და რომ არ არსებობს სიყვარული, რომელიც სახის კანის ფერის გამო იწყება
და რომ არ არსებობენ შეცდომები, რომლებიც ჩვენც და ბუნებამაც არ უნდა
დაუშვას და რომ ბუნებამი არაფერი იკარგება, არც შეცდომით
და არც უშეცდომოდ და როცა სარკეში საკუთარი ანარეკლი მოგატყუებს,
ნუ შეგეშინდება თქვა, — როგორი არასრულყოფილი ხარ,
რომ გაქვს ცხვირი დიდი, ანდა ყური თმიდან გამოწეული, —
„შიში ოხერია“ — თქვი და დაბერდი.

მსხვერპლი

მე ავაშენე სახელმწიფო ჩვენი გამხმარი ხელებიდან,
შენი ჩემს ხსოვნაში ამოთეთრებული კანიდან,
დარჩენილი ნაფეხურების სათვალავის არევიდან,
იმ უთვალავი ზიგზაგიდან და ოთხკუთხა წრიდან,
რომლიდანაც ვერა და ვერ გამოვალნივით,
ამ დროს კი თოვდა სამომავლო ბილიკებიდან და თოვლნაკლული ქუჩებიდან
და იმ დღეებიდან და ღამეებიდან, რომელშიც ვერ დავეტიეთ
და ამ დროს კი თოვლი იყო ისე ლამაზი, როგორც
შეიძლებოდა რომ სილამაზე ყოფილიყო,
რომელსაც მხოლოდ ლამაზად ყოფნა ევალება
და მე ავაშენე სახელმწიფო ყველა იმ ულამაზო დღიდან,
რომელშიც ლამაზად ყოფნა გვევალებოდა,
მაგრამ ნელ-ნელა მკვდარი პეპლებით დავმახინჯდით
გზებზე, სადაც ყველაფერი გავდა ერთმანეთს და არ იყო ერთმანეთის ადგილი არსად,
სადაც სიკეთე გავდა დაგვიანებულ თოვლს და ჩვენს ვალს სხვა ადამიანებს უხდიდა,
სადაც მსხვერპლი შეიძლებოდა რომ დამნაშავე ყოფილიყო,
რადგან დანაშაული მსხვერპლით არ იზომება
და ამ სიმბახინჯეში ისე სრულყოფილად შემეძლო მყვარებოდი,
რომ როცა სამომავლო ბილიკებიდან და თოვლნაკლული ქუჩებიდან თოვდა,
მე ვაშენებდი სახელმწიფოს ჩემთვის და შენთვის,
ულამაზო სახელმწიფოს
თოვლის გარეშე.
ვერავინ ნახოს, როგორ გაცდი გასულ წელს, დილით.
ისე სცხელოდათ ამ ყვავილებს შუა ზამთარში.
ვერავინ ნახოს, როგორ გაცდი გასულ წელს, დილით.
ვერავინ ნახოს, — ვერც დილამ და ვერც იმ ზამთარმა,
როცა სცხელოდათ ყვავილებს და მე გაცდი დილით,
არც ისე დილით, და არც ისე შუა ზამთარში,
ახლა კი ჩემი ზამთრიანად მოგყვები უკან,
ძალიან დილით და ძალიან შუა ზამთარში.

გუშინ საღამოს
ამოვასვენე შენი გამხმარი ხელები ქოთნიდან,
მთელი ცხოვრება სიხარულს რომ ვუფხვიერებდი.
იხარებს, მაინც.



ცირა ყურაშვილი

ციკლიდან
„დიდებისთვისაც
ნასაკითხი ზღაპრები“

დაკარგული სახის
აგაპი

ერთ ქალს სახე ხშირად ეცვლებოდა.
რომ შერცხვებოდა — ნითლდებოდა, რომ
შეკრთებოდა — ფითრდებოდა, უსამართ-
ლობა აბრაზებდა, სიბრაზის დროს — ელ-
მიჭებოდა; მხიარულებაც და მწუხარებაც
სხვადასხვაგვარად ეხატებოდა სახეზე.
სიხარულის დროს სახე უნათებოდა
მზიან დღესავით, მწუხარების დროს ექუშე-
ბოდა უმთვარო ღამესავით. ქალს ყველა
აზრი სახეზე ენერებოდა, ყველა კითხვის
პასუხიც სახეზე ეკითხებოდა. სიხარულის
დროს ყველა ნაკვთი გარკვევით აჩნდა,
მწუხარების დროს კი ისე უმკრთალ-
დებოდა თვალები, ცხვირი, ტუჩები, ძლივ-
სლა თუ შეამჩნევდი. ეტყობა, ქალის ცხ-
ოვრებაში ბედნიერმა დღეებმა იკლო, რად-
გან თანდათან გაუმკრთალდა სახის ნა-
კვთები, ერთ უბედურ დღეს კი მთლიანად
გაუქრა ყველა ნაკვთი და სახის ოვალი ისე
დაუცარიელდა, როგორც ფურცელი,
რომელზეც არაფერია დახატული.
ხალხმა მაინც იცნო დაკარგული სახის
პატრონი ქალი. ცხოვრების უსამართლო-
ბამ წაუშალა სახეო — ამბობდნენ თავი-
ანთ ოჯახებში. პატარა ბავშვები, რომ-
ლებიც მშობლებს უსმენდნენ, ფიქრობდ-
ნენ, რომ უსამართლობამ, რომელიც
ძალიან ბოროტია, საშლელი აიღო ხელში
და ქალს სათითაოდ წაუშალა ლამაზი
თვალეები, ცხვირი, ტუჩები... ამიტომ ისინი
მშობლებს სთხოვდნენ, ფერადი ფანქრები
ეყიდათ მათთვის. მიდიოდნენ ქალთან,
როცა ის ბაღში იჯდა, ფერად ფანქრებს
სხვის ნევიით ისველებდნენ და მორიგეო-
ბით ახატავდნენ მასზე ლურჯი ფანქრით
თვალეებს, ყავისფერით — წარბებს, ყვი-
თლით — ცხვირს და ნითლით — ტუჩებს.
ან სხვაგვარად — ვარდისფრით — თვა-
ლებს, ყვითლით — წარბებს, ლურჯით —
ცხვირს და და მწვანით — ტუჩებს, ან კიდევ
სხვაგვარად... მაგრამ ქალს მათ ყოველ
მზრუნველობაზე გული უჩუყდებოდა,
დახატული ლურჯი, ან ვარდისფერი, ან
სხვა ფერის თვალეებიდან ცრემლები ჩამოს-
დიოდა და ყველა ნაკვთი იშლებოდა. ბავშ-
ვებს ხელახლა დასახატი უხდებოდათ ქა-
ლის სახე. ამიტომ პატარებს მალე მოსწყ-
ინდათ ერთიდაიგივე ნახატების ხატვა, მათ
ხომ თამაშები ძალიან მალე სწყინდებათ.
ქალი ისევ დარჩა უსახოდ.
თუმცა ქალს ზოგიერთი დასცინოდა
და ზოგსაც ებრალებოდა, შინ არ ჩაკეტი-
ლა. რაკი თვალეები არ ჰქონდა, ხელისცე-
ცებით დადიოდა და სახეს მზეს უშვერდა,

ფიქრობდა, ნეტავ, მზემ გადმოხედოს
მონყალე თვალით, ნეტავ, გავშავდე და
ჭორფლმაც დამაყაროს, ოღონდ ჩემი სახე
დამიბრუნდესო.
მზისკენ ხომ ყველა ქალი იხედება და
მზეც ყველას ამჩნევს, თუმცა დედამინაზე
ბევრი ქალია. ახლაც, შეხედა მზემ — რას
ხედავს, არც მეტი, არც ნაკლები, უსახო
ქალია.
— რა გაგჭირვებიაო, — ჩამოჰკითხა
ქალს.
— სახე დაკარგეო, — უთხრა ქალმა,
— იქნებ მავოვინო, ოღონდ სახე დამი-
ბრუნდებოდეს და გინდა თეთრი იყოს, გინ-
და ნითელი, გინდ ყვითელი, გინდ შავი, გინ-
და ჭორფლით დანიწკლული, ოღონდ სახე
მქონდესო. ყველაფერი სახიერია ამ მი-
ნაზე, ყვავილებს სახე აქვთ, ჩიტებსაც, ცხ-
ოველებსაც, მე კი უსახოდ დავრჩიო.
მზეს კაკალი გული მოსწვა ქალის სა-
ცოდლობამ და ჩასვლის წინ ისეთი სიმბურ-
ვალე გამოაფრქვია, დედამინას ალმური
ავარდა. მზემ ქალს უთხრა: ჩემი ჩასვლის
დროა, მაგრამ არ იდარდო, ამაღამ ჩემს
მეუღლეს, მთვარეს, ვთხოვ, ვარსკვლავთა
კრება გამართოს, ვნახოთ, რა მიზეზით
დაგიკარგავს სახე. თუ რაიმე ბრაღი შენ
თვითონ არ მიგიძღვის, თვალეები და ცხვი-
რი კი არა, ჭორფლი და ჭორფლის მისხ-
ალიც არ დაგეკარგება, პირიქით, ვარსკვ-
ლავები გაგიმრავლებენ. ოღონდ, ამ ღამით
უქმად არ გაჩერდე, დედამინის ამბები შეა-
გროვე, დილით მზეყვავილას სული შეუ-
ბერე, მისი ბუმბული რომ ჰაერში ავა, ის ამ-
ბებიც მათ მოუბმება, ჩემს საუფლოში ამო-
აღწევს და ყველაფერს ცხადად მივხ-
ვდებითო.
— დედამინაზე უთვალავი ამბები ხდე-
ბა, მე ყველაფერს როგორ დავიმახსოვრე-
ბო, — შენუხდა ქალი.
— რაც შენს გულს შეეხო და კუნჭულებ-
ში დაიმარხა, ისინი გამოამზეურე, ფეხ-
ისწვერებზე აინიე, სული შეუბერე, ამბები
მზეყვავილას ბუმბულს გამოებმება და ქარი
ჩვენს საუფლოში წამოიღებს, თან შენც
სულს მოითქვამო, — დაარიგა მზემ ქალი.
— იმ ამბებიდან ზოგიერთი ისეთი მძ-
იმეა, მზეყვავილას ბუმბული რას იტვირთავ-
სო, — იფიქრა ქალმა.
— შენ ოღონდ შეაგროვე, დანარჩენი
ჩვენ ვიცითო, — მიუხვდა ფიქრს მზე.
ქალს რალა შეგროვება ესაჭიროებოდა,
შეძვრა თავისი გულის კუნჭულებში, იქ
ერთი ზარდახმა იყო დამალული, გახსნა
ის ზარდახმა, და მზის, მთვარისა და ვარ-
სკვლავთა კრებისთვის სასწრაფოდ გამო-
ამზეურა ეს ამბები:





ამაპი პატარა ბიჭისა, რომელსაც ყველაფრის ბაყიღვა სურდა

იმ მხარეში, სადაც უხსოვარ დროს მდიდარმა კაცმა ერთ ლამაზ ქალს მთის მწვერვალზე აჩუქა, ერთი ბიჭუნა ცხოვრობდა. ბიჭს ისეთი თვალი ჰქონდა, რასაც შეხედავდა, ყველაფრის ბაყიღვა სურდა. ფოთოლი რომ ფოთოლია, იმასაც იარლიყს დაანებებდა და ბაყიღდა. ყიდდა გირჩებს, წინწებს, თევზის ფარფლებს, პეპლების ფრთებს, ჩიტის გაფრინულ ფეხებს. ასეთი რამეების ბაყიღვა შენ მოგაფიქრებოდა? მერე რა კარგ იარლიყებს ამზადებდა?! ჯერ დიდი მონდომებით ჭრიდა მუყაოსგან, მერე ხვრეტდა და შიგ ფერად თოკებს უყრიდა, თან ისე ლამაზად აწერდა, სტამბაში ნაბეჭდი გეგონებოდა. მერე ამ პატარა სუვენირებს თანატოლებზე ჰყიდდა. პატარებს მოსწონდათ ასეთი საჩუქრები და დიდი ხალისითაც ირიგებდნენ. ბიჭუნა კი აღებული ფულით ფუნთუშებს და კომპოტივით ტკბილ დასალევს ყიდულობდა.


ამ ბიჭს უფროსი და ჰყავდა, ის აკვირდებოდა ძამიკოს საქციელს და ფიქრობდა: ნეტავ, ეს კარგია, თუ ცუდიო?

ერთხელ ბიჭუნამ ყური მოჰკრა, მამამ საუბარში ახსენა სიტყვები: „ასორტიმენტის მრავალფეროვნება“. ბიჭი მიხვდა, რომ ეს სიტყვები სხვადასხვა გასაყიდს ნიშნავდა. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ახალი სია ჩამოწერა და იარლიყებიც დაამზადა. აი, რა ეწერა თითოეულზე: მზის ათინათი — 10 ბოტინატი (ბოტინატი — ოქროს ფული სხვა ქვეყნიდან იყო შემოსული ამ მხარეში), წვიმის ტკაცუნა-კაცუნა — 20 ბოტინატი, ყინვა-ჭირხლის ყვავილი — 30 ბოტინატი, ვარსკვლავციმციმას ცალი თვალი — 40 ბოტინატი, ვარსკვლავციმციმას მეორე თვალიც — 40 ბოტინატი, ქარბორიოს კუდი — 50 ბოტინატი, ცვარ-ნამის ღიმილი — 60 ბოტინატი. ეს ბევრ ოქროს ფულს ნიშნავდა, მაგრამ პატარებს ისე უხაროდათ სუვენირების შექმნა, მშობლები როგორ დაუშლიდნენ, მით უფრო, რომ ოქროს ფული ისევე უხვად და დაუდევრად ჰქონდათ მიყრილი და მიხვეტილი კუთხეში, როგორც ლობიოს ან ცერცვის ჩენჩო.

ბიჭუნას ტოლები თავს დაეხვივნენ და ყველაფერი ისე სწრაფად გაიყიდა, ქარბორიოს კუდიც კი აღარ დარჩენია. მაგრამ საქმე ის იყო, რომ შინ მისულმა პატარებმა ვერც მზის ათინათი იპოვეს, ვერც წვიმის ტკაცუნა-კაცუნა, ვერც ყინვა-ჭირხლის ყვავილი, ვერც ვარსკვლავციმციმას ვერცერთი თვალი, ვერც ქარბორიოს კუდი და ვერც ცვარ-ნამის ღიმილი. შეძენილიდან მხოლოდ იარლიყები დარჩნოდათ, ისინი კი მართლაც ძალიან ლამაზები იყო.

ამ ბიჭუნას დაიკო ისევე ფიქრობდა, — ნეტავ, ეს კარგია, თუ ცუდიო? და მშობლებს არ უმხელდა ამ ამბავს.

ბიჭუნას კი უფრო და უფრო დიდი გეგმები ჰქონდა. რომ ჰკითხავდნენ: რაზე ოცნებობ, დიდი რომ გახდები, რას გააკეთებო? ის დინჯად პასუხობდა: მეცხრე ტალღას და მეშვიდე ცას ბაყიღებო. დაიკო კვლავ ფიქრობდა: ნეტავ, ეს კარგია, თუ ცუდიო? შემკითხველები კი ძალიან იბნეოდნენ: „ეს რა თქვა ამ თითისტოლა ბავშვ-



ცირა ყურაშვილი

ვმა, ნეტავ, ის არ გვეყო, ჩვენმა სულელმა მთავარმა ულამაზესი მთის მწვერვალის ვილაც გადამთიელ ქალს რომ აჩუქა და თვალთაგან გადაგვიკარგა, ამ პაპუნას კი მართლა რისი ბაყიღვა სურსო?!

ბიჭუნამ, როცა ყველაფერი ბაყიღდა, რისი ბაყიღვაც სურდა, გადაწყვიტა, ახლა სუნთქვა ბაყიღდა, რადგან თავისი სხეულის ვერცერთ ნაწილს ვერ შეელია. მაგრამ ბიჭუნამ თავისი სუნთქვა პატარებში ვერ ბაყიღდა, რადგან მათ არ სურდათ სხვისი სუნთქვა. სიმართლე რომ ითქვას, ბიჭუნას მართლა გულით კი არ უნდოდა თავისი სუნთქვის ბაყიღვა, ფიქრობდა, მყიდველი როგორც კი ფულს ჩამითვლის, ჩემს სუნთქვას ისევე შევისუნთქავ, ფულიც დამრჩება და სუნთქვაცო. დაიკო კი უსმენდა და უყურებდა მთელ ამ ამბავს და ფიქრობდა — ნეტავ, ეს კარგია, თუ ცუდიო?!

ბოლოს, როცა ბიჭუნას სუნთქვა არავინ იყიდა, ერთმა შავმა კაცმა ჩამოიარა — რას ჰყიდი ბიჭუკელო? — ჰკითხა. სუნთქვას ვყიდიო. მე ვიყიდიო, უთხრა ამ შავმა კაცმა. დიდძალი ფული დაუტოვა, სულ ოქროს დუკატები, ბიჭუნას სუნთქვა შეისუნთქა და გზა სულ ხტუნვა-ხტუნვით განაგრძო. იმ შავი კაცის ნასვლა და ბიჭუნას უძრავად ძირს დავარდნა ერთი იყო. ოქროს დუკატებიც იქვე მიმოიფანტა. ახლა კი შემოიკრა ბიჭუნას დაიკომ თავში ხელი, რაღა მიხვედრა უნდოდა, რომ ეს ძალიან ცუდი კი არა, ძალიან დიდი უბედურება იყო. მიუხედავად ამისა ძამიკოს გვერდით და დაიწყო ტირილი. ისე ტირიდა, ისე მოთქვამდა, გული დაგვენებოდა მის დანახვაზე. მოთქვამდა: რატომ თავის დროზე არ ბაყიღებდი მშობლებს ეს ამბავი, ახლა ბიჭუნას რაღა ეშველება, მეც დავრჩი უძამიკოდ, დავიღუპეთ, დავიღუპეთო.

არის ამ მოთქმასა და ვაიუშველებელში, რომ ჩამოიარა ერთმა ქალმა — რას მოთქვამ, გოგონი, რა გაგჭირვებიაო? — ჰკითხა მას.

— ჩემმა ძამიკომ სუნთქვა ბაყიღდა და სულიც განუტევა, ახლა რაღა გვემელება, მშობლებსაც რა პირით ვეჩვენო, ეს ამბავი როგორ გავაგებინოო, — და ისევე ატირდა გოგონა.

ქალმა დაწვრილებით გამოჰკითხა ბიჭუნას ამბავი და როცა გაიგო, ქარბორიას კუდიც კი გაჰყიდა, ჯერ სიცილი აუვარდა, მერე წარბები შეიკრა და გოგონას მკაცრად უთხრა: „განა ყველაფრის ბაყიღვა შეიძლება, რაც კი აღამიანს მოაფიქრებდა?!“ — მერე ბიჭუნასთან დაიხარა და თავისი სუნთქვა შეასუნთქა. ეს გრილი სუნთქვა გოგონასაც ისე მოეღამუნა, თითქოს ხის ტოტიდან ჩიტი აფრინდა და შერხეულმა ტოტმა კრიალა ნიავს უბიძგა. ბიჭუნა გაცოცხლდა. გოგონა კი სიხარულით ატირდა და ქალს უთხრა: მამაჩემი ბიზნესმენია, მითხარი, სამაგიერო რითი გადაგიხადო.

— ვერაფრით გადამიხდით, — უთხრა ქალმა, — განა ყველაფერი ფულზე იყიდება... მე პირიქით, თქვენი მთავრის ვალის გადახდა მინდოდა, დიდი ხნის წინათ, უხსოვარ დროს მან მე ყველაზე მაღალი მთის მწვერვალზე მამაჩემს უკან გიბრუნებთ, სად უნდა წამეღო, აქვე იყო, უბრალოდ, ვერ ხედავდით, ნახე, იქ ჩანსო, — და გოგონამ მართლაც დაინახა მზის სხივებით განათებული მწვერვალი. ქალი კი გაქრა.

ცანგალას ამბავი

ცანგალა პატარა ბიჭია. ერთ ნისლიან დილას, როცა მამალმა პირველად იყვილა, ცანგალა ქალაქს წავიდა. „ყურძენიც მოიპარაო“ — მეღუქვე ჰყვება, მაგრამ ის სხვა ცანგალაზეა, ჩვენს ცანგალას არაფერიც მოუპარავს, გოგონამ გააფრთხილა: რაც უნდა მოგმივდეს, ხელი არაფერზე ნაგიცდესო და ესეც დაჰპირდა. ცანგალა ისეთია, სიტყვას არ გასტეხს. დას დაუჯერებს, დედის გულს არ გაამწარებს, მამის ხსოვნასაც არ შეარცხვენს.

შეხტა ცანგალა, შეკუნტრუშდა და გზას გაუდგა.

ნისლიანი დილა რომ იყო, ხომ ვთქვით? ცოტათი მუცელშიც რომ სტკიოდა, ისიც ვთქვით, მაგრამ ცანგალა რისი ცანგალა ბიჭი იქნება, თუ მუცლის ტკივილი შეაშინებს.

იარა ცანგალამ, იარა და რა ჩამოთვლის, რამდენი რამე ნახა. მაგრამ იმ მოხუცისთანა გამოსარჩევი და უცნაური მაინც არაფერი. ცანგალამ იგი მამინ დაინახა, როცა ნავისაყრელს ჩაუარა. მოხუცს მო-

მწვანო, ჭუჭყისფერი, მოგრძო ქურთუკი ეცვა. ქურთუკის მთელ ზედაპირზე სხვადასხვა ფერის, ქურთუკთან შეუსამებელი საკერებლები ედო. მოხუცს ქუდიც ამგვარივე ეხურა, პატარა-პატარა, ჭრელი საკერებლებით განწყობილი, კეპით უკან, კისრისკენ შეტრიალებული და ცანგალამ იფიქრა, რომ ამ სამოსის პატრონი დიდად მოცლილი და ახირებული ადამიანი იყო. მოხუცს მუხლებთან, ქურთუკის ბოლოები სარჩულის მხარეს ისე გამოებრვოდა, ეტყობოდა, შიგ რაღაც-რუღაცები ეყარა. იტყოდი — ბოთლებიაო, ქურთუკი ბოთლები თუ აკრიფაო, ანთუ დონძებიაო — სანაგვეზე ნამოკრიფა და ქურთუკში სარჩულის მხრიდან ჩაუჭურთავსო. სანაგვეზე დახრილი მოხუცი ფოხით რაღაცას ჩიჩქნიდა.

ცანგალა მამინვე მიხვდა, რომ ეს არც ბოთლები იყო და არც დონძები. ბიჭს გული ახლაც ისე შეუხტა, როგორც ადრე, მამინ მამა ცოცხალი იყო, ცანგალა მას ხელიდან გაუსხლტა, ერთ ფერადწაწიან, ქურთუკში მიმავალ ქალთან მიიბრინა, ქალს ფეხებზე შემოეხვია და მამას დაუძახა: „მამა, მოდი, ამ ქალს აქვს ზღაპრის ნიგნები.“ მამინ ცანგალას მამას ისე შერცხვა, ისე შერცხვა, შუბლიდან ოფლი ცხვირსახოციც მოიწმინდა. ცალკე ქალს შერცხვა, ნაბორძიკა და კინალამ ნაიქცა თავის ჩანთიანა, რომელშიც ბევრი ზღაპრის ნიგნი ელაგა. ცანგალამ ახედა ზღაპრებიან ქალს და უთხრა: „მე თქვენ გუშინ დაგინახეთ!“ ნაქცევას სასწაულით გადარჩენილმა ქალმა გაიღიმა და ცანგალას უთხრა: „შენ ნამდვილი ცანგალა ხარ, მე შენ ჩემს ზღაპრებში შეგიძღვევები და იქ უთვალავ რამეს გარჩენებ...“ მაგრამ მერე იმ ქალს დაავიწყდა თავისი პირობა, თუ რა იყო, ცანგალა ზღაპარში ვეღარ მოხვდა. ახლა, კი...

ცანგალამ იფიქრა, რომ მოხუცის ქურთუკის ბოლოებში ზღაპრის ნიგნები იყო ჩაჭურთული, ვინ იცის, იქნებ რომელიმე ზღაპარი ცანგალაზე, გოგონაზე და მათ დედაზეა, ან მამაზეა ზღაპარი, რომელიც ბენვის ხიდზე გავიდა. და რაკი ასე აინტერესებს ცანგალას ზღაპრები, ახლა ლეკვივით გაჰყვება უკან მოხუცს.

მიდის ცანგალა, უკან მიჰყვება მოხუცს, მაგრამ ვერ ბედავს, დაუძახოს, შეაჩეროს, ერთი ზღაპარი მაინც სთხოვოს. სამაგიეროდ მისი ფიქრები იქცნენ პატარა-პატარა ზღაპრებად, ისინიც მიხტან და მითამამოებენ ბიჭთან ერთად. აი, ერთი ფიქრის ზღაპარი: მიდიან, მიდიან და ერთი ბექობიდან თავდაღმართში დიდი ნაგაზი დაეშვება, ჯერ ცანგალას შეუღრენს, მაგრამ ცანგალა უშობარია, აიღებს მსხვილ კეტს და თუ ნაგაზი შემოუტევეს, თავში ჭორგავს მას, მერე ნაგაზი მოხუცს შეუღრენს, არა, არაფერს დაუზიანებს, მხოლოდ მისი ქურთუკის ბოლოებს ჩააფრინდება, გამოგლეჯს და ზღაპრის ნიგნებიც გამოცვივდება. დასწვდება ბიჭი და აიღებს ერთ ნიგნს.

არა, ამ ზღაპარს სხვა სჯობს: მიდიან, მიდიან და დაიღლებიან, მოხუცი ქურთუკს გაიხდის, ხის ტოტზე ჩამოკიდებს, დაიძინებს, სად იქნება და სად არა, ქურდები გამოჩნდებიან, ქურთუკს წაეტანებიან, ხელთ ზღაპრები შერჩებათ, იმათ კი ნიგნები რად უნდათ, ხრამში გადაყრას დაუპირებენ, მამინ გამოხტება ბიჭი ცანგალა და ყველა ზღაპარს გულში ჩაიკრავს.

აჰ, არა! ნაიკითხა ბიჭმა თავისი ფიქრის ზღაპრები და არ მოეწონა. ეს ფიქრებიც ხომ ქურდობას ჰგავს, ქურდობა კი რა ცანგალას საკადრისია. სხვა ზღაპარი სჯობს, აი, ასეთი: ივლიან, ივლიან, მოხუცი მოიხედავს, შეხედავს ცანგალას ვაჟკაცობას, რომ ზღაპრისთვის ამხელა გზა გამოუვლია და თავისი ხელით აჩუქებს ბიჭს ზღაპრის ნიგნებს. მაგრამ მოხუცი მიდის და მიდის, გზას კი ბოლო არ უჩანს. ცანგალა ჯერ დაილაღა, მერე ძალიან დაილაღა, ბოლოს კი ისე დაილაღა, ლამისაა სული გავარდეს, თან რომ მუცელი უხურს? გზას კი ბოლო ისევე არ უჩანს.

იარეს, იარეს და მიადგნენ ერთ პირდაღებულ უფსკრულს. უფსკრულია ისეთი, ისეთი, თვალს ვერ ჩაანვდენ. მის ძირში კი იმოდენა წყალი მიქუხს, მისი ტალღების გრუხუნი ლამის დედამინის კიდემი გაისმის. უფსკრულზე ბენვის ხიდია გადებული. გაიხადა მოხუცმა თავისი ქურთუკი, იქვე მიაგდო, დაჰკრა შიშველი ფეხი ბენვის ხიდს და გადაეგლო უფსკრულის დაღებულ ხახას. ხედავს ცანგალა, სანატრელი ქურთუკი იქვე გდია, მიდი, გამოარღვიე რომელიმე



ნაკერი, რა ზღაპრები არ იქნება შიგ, მაგრამ ცანგალას აღარც უნებართვოდ სურს, ქურთუკს ხელი ახლოს და აღარც ზღაპრები აინტერესებს, მასაც უნდა ბენვის ხიდე გადაფრინდეს, გაიგოს, იქით რა ხდება, იქით ხომ მამაც ნავიდა.

გახიდა ცანგალამ თავისი ფეხსაცმელები, ცალ ხელში დაიჭირა, მეორე ხელი ჰაერში აიქნია და ბენვის ხიდე შედგა. ხიდე ისეთი უნვრილესი და უგრძესი, რაც დედამინაზე ადამიანი დაბადებულა, იმათი წარბ-წამწამი, არა, იმათი თმის ღერები რომ გადააბა ერთმანეთს. შედგა ცანგალა ბენვის ხიდე და სულ ავანგალა-განგალით გადაირბინა ხიდი. დაჰკრა ფეხი და ერთ უცნაურ მინდორში მოხვდა: ხედავს, პატარა ბავშვები დარბიან ზედ ყვავილებზე, დაჭერობანას თამაშობენ. გამოედევნებინა ერთმანეთს, სულ გადაშლილ ყვავილთა თავზე ირბენენ, მაგრამ ყვავილები არც ითვლებიან და არც არაფერი, თითქოს ბავშვები კი არა, თეთრი პეპლები დაფრენენ თავზე. ცანგალა გაკვირვებული შეჰყურებდა პატარების ანცობას, მერე, როცა ისინი რძიან შადრევანს მისცვივდნენ, სვამდნენ და სიამოვნებით ტუჩებს ილოკავდნენ, ცანგალას მუცელი აურუყრუყდა და ჭინჭარივით დაუსუსხა ტკივილი.

ცანგალასაც სურდა ბავშვებთან თამაში, მაგრამ მაინც გაეცალა მათ და გზას გაუდგა. თუმცა გზა სად იყო, ულამაზესი ყვავილები მთელ მინდორზე ისე გადაშლილიყვნენ, ფეხს რას აუქცევდნენ, მაინც რომ არცერთი ყვავილი არ გათელილა? თუმცა კი მათ ფერადებზე გადიარა ცანგალამ ფეხით.

მინდვრიდან ბიჭმა ქალაქის გალავანს მოჰკრა თვალი და იქით გაეშურა. ხედავს, კარიბჭესთან რიგი დგას. ის მოხუცი იცნო, ქურთუკი უფსკრულის პირას რომ დატოვა, მისდა გასაკვირად მოხუცს გრძელი, ყავისფერი პალტო ეცვა, ხელში რაღაც საბუთი ეჭირა და კარიბჭის მცველებს ესაუბრებოდა. ცანგალას ბევრი აღარ უფიქრია, მოხუცს პალტოს ქვემოდან შეუძვრა, შიგნიდან ამოეფარა და მასთან ერთად გააბიჯა კარიბჭის იქით.

იქ კი ისეთი ქვეყანა გადაეშალა თვალწინ, ცანგალამ იფიქრა, რომ სწორედ ასეთია ზღაპარი. ეტყობა, ქალმა თავისი სიტყვა შეასრულა და ზღაპარში შეუძღვა და რაკი ზღაპარშია, მამინ მამაც აქვე უნდა ეგულეობდეს. მამა მართლაც იქვე იყო, არ შეცვლილიყო, ისეთივე იყო, როგორც ადრე.

— რა მიზეზით გიჩქარია, ჯერ შენი დრო არ დამდგარა, რად წამოსულხარ ამ სიშორეს, დედას და გოგონას ძალიან შეაშინებ, — საყვედურით უთხრა მან.

ისეთივე მზით გარუჯული ხელი ჩაჰკიდა ბიჭს, როგორც ადრე ჰქონდა, რძიან შადრევანთან მიიყვანა — დალიე, — უთხრა ცანგალას, — და ტკივილი გაგიყუჩდება. ცანგალა რძიან შადრევანზე დაიხარა და კატასავით ამოსვლია მთელი რძე.

— მოდი, ყავისფერ წიგნში ჩავიხედოთ, ვნახოთ, რა მიზეზით წამოსულხარ ამხელა გზაზე, — უთხრა მამამ ცანგალას და ერთ კაცთან მიიყვანა. გრძელწვერა კაცმა ყავისფერყდიანი, უზარმაზარი წიგნი გაშალა, იქ თითი გააყოლა, რაღაც ამოიკითხა, სახეზე გაკვირვება გამოესახა, ცანგალას შეხედა და ჰკითხა — შენ აქ რა გინდა, აქ საიდან გაჩნდი? მერე კი დაუცაცხანა: აბა, მოუსვი აქედან!

შეშინებული ცანგალა აქეთ ეცა, იქით ეცა, მერე კარიბჭისკენ გავარდა, იქ კარიბჭისმცველებმა ხელი სტაცეს და გალავნის გადმოღმა ისროლეს, თან თავისი ფეხსაცმელებიც თავზე გადმოაყარეს.

ბიჭს მამლის ყვილი ისევე შემოესმა. თვალი გაახილა, სიციხე აღარ ჰქონდა, აღარც მუცელი სტკიოდა.

გოგონამ თერმომეტრი უმნიშვნელოდ დაბერტყა და შეინახა.

— ეს ფეხსაცმელი როდის დასვარა, ან ეს ფერადი მტვერი საიდან გაჩნდა მასზე? — უკვირდა წინკარში ცანგალას ფეხსაცმელებთან დახრილ გოგონას.



ნათია გიორგაძე

ლაპალაისთვის

მე რადგან დროთა განმავლობაში ვკვდები, ეს ჩემი ოთახია, ჩემი თვალების ფერს თვითონ ვირჩევ და მომწონს, როცა მე ვარ პირველი, ანუ ქმნადი, ანუ მეტყველი ანომალია. მე შეიძლება არ ვიყო მკვეთრად აღერგიული ვილაცის მიმართ, ზოოპარკში ლომს და ანტილოპას თუ არ ჩამითვლით ცრუ აღერგენად. თავისუფლება — ყველა ცხოველს და ადამიანს, ფრინველს, რომელმაც ის დაკარგა გადაფრენისას...

— როცა ვჩერდებით ხოლმე გუნდებდა, სიკვდილი მოჩანს როგორც გუნდის ხე.

იპოვეთ ათი განსხვავება ამ ორ ქალს შორის. ათი კანონი, ორი ხელის ათივე თითი, მათ არ ისწავლეს ზედმინეწი კაცის ფერება, არც სიყვარულის წესი და რიგი და ეს საერთო ნიშანი გახდა (სახეებია სხვა დანარჩენი), მუყაოს დიდი ფოტოალბომი, და ჯიბის წიგნი, პატარა წიგნებიდან... რით დამთავრდება ყველაფერი, როცა ყველაფერი დამთავრდება? წინადადება აწყობილი პალმის ფოთლებით პოეზია... იმ ორიდან ერთი წერდა, მეორე — არა. ერთმა სოფელი იმყოფინა, მეორემ — არა. ერთს წინსაფარი აჩუქეს და მეორეს არა. ერთი ყვიროდა, მეორე — არა, მეორემ დაჭრა პურის დანით თავისი ქმარი, პირველმა — არა, ღმერთკაცია პირველის ქმარი. მეორეს სახე დაუნაოჭდა, პირველს კი არა, პირველს ყოველთვის ეშინოდა მეორეს — არა. პირველს უყვარდა ყვავილები, მეორეს არა. პირველს ახსოვდა მისი გვარი, მეორეს — არა. პირველი გავდა თავისთავს და მეორე — არა და სანამ იყვნენ, სულ ეს იყო...

სიკვდილის მერეც, ერთ საფლავში განისვენებენ.

როდესაც პასუხს ველოდები, მე ვნერვიულობ, როდესაც მე შენ ველოდები, შენ ვნერვიულობ, როდესაც ყველა თეორია, გამორიცხული, ამბობს, რომ ქვეყანად არაფერი ხდება შემთხვევით, ჩვენ ვნერვიულობთ! და... ვეცოდებით ყველა მოკვდავს, როდესაც ვცოდავთ, არ ვეცოდებით მხოლოდ ზეციერს, როდესაც ველით სასწაულზე უფრო დიდ იმედს, ჩვენ გვემინია, შენ მიყურებ, მე მას ვაძინებ, ვინმე იფიქრებს, რომ ის შიში ჩემი შვილია.

დავკიდე კარზე ნატეხი ქვის და შემინდე სხვისკენ, მახლობელ აღმოსავლეთში ნასულ ღმერთის შვილო. გზად, სხივებს სხვისი სახლის და მზის ჩაკეტილ სახსრებს ვეზიდე და... მეზიდა და... სანამ სული ტანში ჩადგა, არ ვახსენე ამოსა ზედა წყალი. შემომხედა, ველარ მიცნო, ველარ მიცნო, მე ვიცანი, ხშირად ლოცვა მაინცდება და სახელი, ხელისგული მიდევს თავთან, არასოდეს მითქვამს შენთვის ის, რაც სხვებმა უნდა გითხრან, თავებთან მინდვრები და მდინარეთა კარვანი ნაპირები თავებთან. ვინც სასწაულს არ ეძებდა, მტრის ქალაქში ენად იქცა, შენს ენაზე — ცეცხლის ენად, ენათმეცნიერებისა.


იქ, სადაც მკვდრები მიღიან

მე და შენ ახლა არ ვმეგობრობთ, მაგრამ დრო დადგება, როცა დრო დადგება, მე შენ მეყოლები მხოლოდ, და შენ დაგინახავ მხოლოდ, და შენ დაგიძახებ მხოლოდ, რადგან ისინი სხვები გახდებიან, და სხვებს მოუნდებათ ჩემი გახსენება, და სხვებს მოუნდებათ ჩემი დავინყება, — ისე ვით სხივიდან მზის და სიტყვიდან ენის და მინიდან სამშობლოს ხმა მესმოდა, შენი ხმაც მესმის, შორსაა.

სულთათანა

თუ ვერ აიღებ ქალაქს, შენ ვერ გახდები მეფე, თუ ვერ გახდები მეფე, შენ იქნები თანამედროვე პრეზიდენტი, შენ ვერასოდეს დაიბრუნებ ზღვას, მზეს, ხალხს, ხალხს და შენ გეყოლება მტრის ჯარი სახლში და შენ არავინ გენდობა. თუ დაიძინებ ტკბილად, როცა არ სძინავთ მკვდრებს. თუ მოინატრებ სიზმარს, როცა ჯავრს მიაქვს ცხადი. შენ არ იქნები მეფე, რომელმაც სიტყვა დადო, დროა ერთმანეთს ვუთხრათ, რა მოუვიდათ მერე ჭაში ჩავარდნილ კაცებს?

არ გეძახიან, რადგან ხმაში შენ გაქვს ოქრო და გულში ლექსები, გადარჩება მხოლოდ სოფოკლე. მზის საკაცესთან ყველას პეშვით წყალი მოჰქონდა, ზღვა მოიტანე და დააშრე ღამის ნანინა. ჩაი დავლიოთ, ვისაუბროთ მარტივ თემებზე, დიდ სიციხეებზე, ქალქიდან გასულ ჩვენებზე, ჩაი დავლიოთ, ვისაუბროთ, მეტი რა გინდა? სანამ ჩვენს თავზე, თავს მოიყრის მთვარე ცვედანი, მას მოკლავენ და არ შეხედავენ. არ დაბნელდება დედაშენის გველის პერანგი, ქურჩის ბავშვები მეტაფორად აიტაცებენ, მეტი რა გინდა?





მზეს ეფიცება ხვლიკი
ბებერი ტროას კართან...

გულგატახილობისას

უცებ დაკრა სუსხმა, ისე უცებ აცივდა,
ვარსკვლავების გუნდი უფრო მეტად დამცილდა,
მე მინაზე დავრჩი, ისინი კი გაქრენ.

ცეცხლის ალმა ნელა აინია ნაცრიდან,
მისი გულიც დავკარგე, ჩემი გულიც გაცივდა,
გასაკეთებელი აღარ დამრჩა საქმე...

პანისმისტის ლექსი

„ამ ქვეყანამ მე დროებით შემეფარა ვით ქარვასლამ,
ჩემი მოსვლა ან რა იყო, ან რა არის ჩემი ნასვლა...“
გივი გეგეჭკორი

მოსავლელი მომივლია, მეც ვიყავი ერთი მწირი,
მეც ნალველი მომერია, ყოფა გახდა ჩემთვის ჭირი,
ნატვრა მიუწვდომელია, რაც რამ იყო ღმერთის წილი,
კმაყოფილი რომელია, მე რომ ვიყო, — ძენის წიკრი.

მაქანავეებს ქარი და მხრის, წვიმა, თოვლი არ მიცოდებს,
არც კარი მაქვს და არც სახლი,
ხელს არავინ არ მიწოდებს,
სიკვდილის ცელს თავში მახლის,
თითქოს ბრალი არ იცოდეს,
ცეცხლში ვდგავარ ლავის ლახვრით,
ლექსს ვწერ, სანამ დავინვოდე.

„ჩემი მოსვლა ან რა იყო, ან რა არის ჩემი ნასვლა“,
სულს, დაჩქევილს, სევდა იპყრობს,
წუთით ვარ თუ მხოლოდ ნამს ვარ,
ვერ დავეუძვერ ბედის ციკლოპს,
ნასაშლელის უნდა ნაშლა,
ცეცხლი მეტობს, ყინვამ იკლო, ტყვიამ გაიტანა მასრა...

მღუმარი იფანი

მღუმარე იფანს რა ტკივა, რა იციან,
ცამ მოულოდნელად დაბლა დაინია,
მინა კი ამალდა ცაში გასაფრენად.

წყაი მონყენილი, ასი წლის თუ მეტისა,
ამბობს: სიყვარული ერთხელაც თუ მეღირსა, —
არ მივცემ ამ ქარებს ფეხქვეშ გასათელად.

იფანი კი დგას და რას ფიქრობს, ვინ იცის,
აქ იფნის ფიქრისა და დარდისთვის ვინ იცლის!..

უარაფრობის რამე

გადმოღვრილები გოდოლს
სხივები ჩუმად კრთიან
და კედრებს რთავენ დახრილთ,
ნამომიყვანე როგორც,
იქ დამაბრუნე გვიან,
იქ მიმიჩინე სახლი.

გულს, მოურჩენლად ჩათვლილს,
ქცეულს დაჟანგულ კირქვად,
კვალი აჩნია ისრის,
ცოდო-ბრალია მართლის,
ეშმა ანგელოზს ირთავს,
მზეს აეკვრება ნისლი.

მთით დაგორდება ლოდი, —
კითხვა: გაივლის როდის
სოდომ-გომორის ღამე?
მწარეა შხამი ცოდნის,
უცოდინრობის ცოდვის,
უარაფრობის რამე...

მწუხრის ლოცვა

ეკლესიიდან ისმის
ყოველ მიმწუხრის ჟამით
ლოცვა მწუხრისა წრფელი,
ქარი ერჭობა კისრით,
რომ გაიკვალოს ზგავი
და ქერივს მოწმინდოს ცრემლი.

დედას, სვეტის ქვეშ დამდგარს,
მიეფერება მორცხვად,
თითქოს არ იყოს შლეგი,
სევდა მიპირებს შთანთქმას
და გადაყლაპვას ცოცხლად,
ან ჩამოჭკნობას ქლექით.

ო, არ გაჩერდეს ნეტავ,
ალილუიას გაბმა,

დოდო ჭუმბურიძე

ისევ ცას ვეძებ, მეცხრეს, —
მოკვდავს არა მაქვს სხვა რამ,
აქ ფრთებს ლაღად ვერ გაშლი,
ვერ შეედრები მერცხლებს,
ვერ გადალახავ სკვარამს,
ვერც ხედ იქცევი ვაშლის.

ვეძებ მალრიბს თუ მაშრიყს
და მელანდება უცებ —
მზე სინათლითა სრულით,
ციდან ვარსკვლავებს მაყრის,
მიცვლის მყარსა და უცვლელს,
რომ მომირჩინოს წყლული.

ვგრძნობ, ჩუმად თხოვდნენ რასაც
მთელი ცხოვრება სხვები,
მე გამომხილა ნამში,
ცოდვილი, დასჯის ნაცვლად,
დამაჯილდოვა ხლებით
და დარბაზებით ცაში.

დედა სიდონია

რამდენი ჩვენგან გაუფლელი მინდორია,
რამდენი სული უფლის მიმდობია,
სიყვარულს, უზენაესს, მიელტვის მშვიდობიანს,
დედა სიდონია!
არის წუთი, როდესაც არ ღირს საუბარი,
დუმილში ეფლობი, ლოცულობ და უფალი
ჩუმად მიგიბარებს, რადგან მიმდობია,
ჩერდება მუდლი, ზიზღი და აუტოდაფე,
და ხვდება,
სულთან ერთად სხეულიც რატომ დაფრენს,
შემწეა უფალი. დედა სიდონია!..

რწმენას ეჭვისგან გაცვლი, როგორც ვარდისგან ეკალს,
როგორც თაფლისგან ბუზებს,
ცოპით ფუფუნება ვარცლი, ქარი თავისთვის ცეკვავს
და ყინულს ხეთქავს გულზე.
უმზერს ელამად სივრცეს მოუწყობელი ყოფა, —
ეჭვითავსილი ქალი,
ჩიტი რომ ფრთხება, ისე —
სიტყვა ფართხალებს სტროფად,
სინათლის წელზე მალი.

რწმენა

მწვანედ ღაღანებს მოლი
და გორაკები მოჩანს
წითლად ელვარე მზეში,
სულ აქ ვიყავი მგონი,
და არც მოვკვდები, როცა
გამკრავს სიკვდილის ეშვი.

თოვლი ცილდება მწვერვალს,
ქარი — ფიჭვიან ტვერებს,
წყალი — ქვიშიან ნაპირს,
ვერ დამაცილებს რწმენას,
ვერც რწმენის გამო ცრემლებს —
ყინვა, წვიმა თუ ხვატი...

ივლისი

კარი ჩარაზა მაგრად, დახშა-დაგმანა ბალიც,
დარდთან დამტოვა მარტო,

ქარი ქიმუნჯებს წამკრავს, დამდევს ერთგული ძალი
და ცვარი ველებს ალტობს.

ივლისს სიცხე და წვიმა, სუნი სოკოს და გირჩის
შეერევა და მათრობს,
მარტო ცა კი არ ბრწყინავს,
ბრწყინავს სულიც და იბრძვის —
ჯოჯოხეთივით სათნო...

საჩხარა-კვირეთის გზაზე

ერთი კაკლის ხე ყანაში
დგას ობლად გზაზე კვერეთის,
ვილაცას სძინავს კარავში, —
კაცია, ალბათ, წერეთლის.

დავეძებ დედის ჩვენებას,
აქ დადიოდა ოდესღაც,
ჩიხურას ცრემლი ერევა,
ცრემლი სდის შავფერ ლოდებსაც.

ყველას ვგულშემატკივრობდი:
მენიგნესაც, მორაგბესაც,
მასაც, ვინც მე მიყვარდა და
ვინაც თავი მომაბეზრა.
მეც პაოლოს ღორად ვიქეცე,
ამ პალოზე მომაბეჯა,
ჩიტს რით უნდა გავეჯიბრო,
ცათა ამბის მოამბესა.

სამოთხის ბალი

ბალია გადალობილი,
სხვა სამოთხიდან ხმობილი, —
მეჩურჩულება დობილი,
გულტკბილად შემხედვარია,
შენუხებულა მხატვარი,
— სხვა დროა, — ამბობს ფატმანი,
გაცუდებულან ნატვრანი, მერანი სახედარია.

ბალი ვინრო და წყნარია,
რომ დის, სამოთხის წყალია
ჯოჯოხეთისკენ დუდუნით,
ბაღში ვარდები ყვავიან,
ვარდზე რომ დაფრენს, ყვავია
და არა ტკბილი ბულბული.

გზას ვინროს და ეკლიანს მიფუყვები ეული,
ერთი კაცის ნეკნია მთელი ჩემი სხეული,
ზედ ეკლებად მეკვირან მიზნები დამსხვრეული,
ელვა ჩემი მეკვლეა,
ელდა ვერ დაძლეული,
ერთი კაცის ნეკნია
მთელი ჩემი სხეული...

ტროას კარიბჭისთან

მზეს ეფიცება ხვლიკი
ძველი კარიბჭის მარცხნივ,
ესეც თუ არის ხრიკი, — თვალს ვაყოლებ და ვაცლი.
წუთო არ იცის იმან, რომ აქ ჩვენს გარდა დროა,
ჰექტორივით რომ ძინავს
და უდარაჯებს ტროას.
თვალი ვის ეძებს, მიკვირს,
ვის პოულობს და კარგავს,

არ შეანელოს ცეცხლი...
ჯოხს დაყდნობილი დედა
ლოცვას თავს უხრის დაბლა
და მარადიულს ერწყმის...

წვიმა მალაკაში

ისე წვრილად წვიმსო, თითქოს რაღაც წყინსო,
ყანებიდან ვუსმენ ხმას მოქვითინე მწყრისო,
სანვეთლიდან ჩამოღვრილ მონკაპუნე წყლისო,
გარბის ქარი სათივისკენ, ქათმებს უხმობს: წვიმსო.
უცებ გამოიღარა, მზე გამოჩნდა ძლივსო,
ზევით ცა გადაიხსნა, მინა იძრა ძირსო.

ბჭოზა

დაბნეულ კრავივით, უფალო, სულ გეძებ,
შენი სახელი სულ პირზე მაკერია,
ნებით რომ შევები, ვფიქრობ იმ უღელზე
და თაფლის სურნელით გაჟღენთილ ამ კელიას —
ლოცვები ფარავენ, შროშნები იშლებიან,
ფუტკრები მზრუნველად გარე ეხვევიან,
ას სამფლობელოსი ცაში ჭიშკრებია,
ან როგორ შევალბე, ან როგორ შემხვდებიან...

მონატრეა

მომენატრება უცებ შემოგარენი სხალთის,
წმინდა ანდრიას ნახვა,
ისე შევხვდები უცნობს, თითქოს გამეხსნას ხლართი
და ბედს მე ვქსოვდე ახლა.
კარგი იქნება ახდეს, რაც იგუჟანა მამამ,
უფლის სურვილთა მცოდნემ,
ჩვენც ამ მსკრივიდან გავხტეთ და
შევუერთდეთ მარადს,
და გავერიდოთ ცოდვებს...

გსურდა გაგეგო, რაც არ უწყოდი,
ლურჯად ელავდა ბინდის მაქმანი,
გკლავდა შეცნობა როლის უცნობის
და ჟამის, თავად შენში გამქრალის.
— რა უნდა მექნა! ზოგჯერ იკითხავ,
რა აქვს სათქმელი საყდრისზარს სისხამ,
გპასუხობს ვილაც: — ცოდვა იტივრთა
და განწმენდილი დალუპავს გიხსნა.

სამწესნარო

არ ემორჩლება აქ ვინმე კანონს
და ლოგოსს, მითუმეტეს, არ თვლიან წესად,
სიკეთეს და წესრიგს არავინ წყალობს,
და მხოლოდ იესო უგნურებს გვმწყემსავს.
შაბათი საღამოა, საყდრიდან ისმის
გალობა ტკბილი და ლამაზი მესა,
გადმოდის ნელ-ნელა საზამთრო ნისლი,
ნაძვებში წვება და ვერ მიდის ვერსად.
ო, ღია კავკასიონის კარო,
ნიავე შავ ფიქრებს მოდენის წელსაც,
და მაინც, არ წყალობს აქ ვინმე კანონს,
ლოგოსს, მითუმეტეს, არ თვლიან წესად.

სხვა გზა

ზემოთ ნავალ თუ ფესვისკენ ნავალ, —
ერთია ეს გზა და ერთი მწყემსავს,
ყოფა აზავებს შხამიან ნამალს და
ტანჯვას უდებს სიკეთეს წესად.
წარსულს და აწმყოს მყობადში ვხედავ,
მაშინაც, როცა ნამყო მხოლოდ,
ჩემებიც ჩუმად წარსულში სხედან,
მყობადში მარტო ოცნება ცხოვრობს.
ჩაკეტილ კარებს ეხება ქარი,
ხან მტვერს მიაყრის სახლის წინ ვარდებს,
ნუთუ არ დარჩა ანგელოზს კვალი,
რომ ჩაიარა ჩემს სახლთან განგებ.
ბედსაც კი ვაშლის ხეში ვეშლები:
ამკიდებს ხოლმე ზეციურ საგზალს,
ზემოთ ნავალ თუ ძირს დავეშვები, ერთია ეს გზა,
მე ვეძებ სხვა გზას...

რა საბრალოა ცხოვრება ამ დროს

მზემ დააცხუნა გათოშულ ფიჭვებს,
პატარა ჩიტი პეპელას იჭერს,
რა საბრალოა პეპელა ამ დროს!..

ჩიტს ბოლმით უმზერს ფიჭვიდან ყვავი,
მთის ვარდი უკანასკნელად ყვავის,
რა საბრალოა ბუნება ამ დროს!..

გაყვითლებულა ფოთოლი წყავის,
ჰაერი, ცეცხლი, მინა და წყალი
კაცისთვის უკვე არ არის სანდო...

რა საბრალოა ცხოვრება ამ დროს!..

როდესაც ხურდას გიდევენ ხელში,
როცა ვარსკვლავებს ველარ თვლი ჭერში,
რა საბრალოა ცხოვრება ამ დროს!..

პრიალებს საყდრის ათასი წვეთით,
ქალაქი ჩვენი, ქალაქზე მეტი,
უვიცი, ბრიყვი ქვეყანას სარდლობს...

რა საბრალოა ცხოვრება ამ დროს!..

ქვეყნად მინახავს მეტი რა, — გულისტკივილი ტოლითა,
დევეები ჩანდნენ წერტილად, ლომები აკლდნენ კორიდას,
თუმცა ვცხოვრობდი კეთილად, —
ნინ მიდგებოდა ომითა —
ჟამი, მუდამ რომ მეტირა, დატორილს მისი ტორითა.

ზამთრისპირი

ბრინჯაოს ფერიც გაქრა,
გაჩნდა ფერები ცეცხლის,
ლავის ფერი რომ დაკრავს,
ვერც თავისას გრძნობს, ვერც სხვის.
რა უნდა მეტი მზაკვარს,
გულზე ტკივილებს მიცრის
და შემოდგომის გზა-კვალს
ზამთრის კაბებში მიცვლის.

ამ უმადური ყოფის ცივ ორლობესაც გავცდი,
ავსებულობა სული ამაოების განცდით,
მლაშე ტბებივით დაშრენენ,
თვალთაგან ცრემლი არც მდის,
მიეკვანები ცისკენ, სურვილი არ მაქვს დაცდის.
მაცდურს გაუფიქრი ხელი,
ოქროს რგოლივით გავცვდი,
ავსებულობა სული ამაოების განცდით...

ჩიტების გადაფრენა

ჩიტებმა მოუხმეს ერთმანეთს ცაში,
თათბირი გამართეს, გუნდებად დასხდნენ,
ამ ლაშქარს ვერც ნისლი, ვერც ქარი დაშლის,
კითხვებიც დასვეს და პასუხიც გასცეს.
მიდიან თბილი ქვეყნების ცისკენ,
ნადვლიანთ უძღურად ეშვებათ ფრთები,
ცხოვრება შეიცავს ამდაგვარ რისკებს, —
იმარჯვებ სიკვდილზე, ან ჩუმად კვდები.
პატარა ბელურა ვერ ბედავს ნასვლას
და დარდობს მეგობრებს, გაფრენილთ შორით,
ფიქრობს, რომ ცხოვრებამ აგვიგდო მასხრად,
სამიზნედ გვაქცია, ერთობა სროლით.

თითნულდის დარდი

უმზერს თეთნულდი სივრცეს,
როგორც წაკითხულ ზღაპარს,
როგორც ნანახ ფილმს ბევრჯერ,
ალარც არაფერს იმჩნევს,
ცრემლებს მალულად ყლაპავს
და გამოსავალს ეძებს...

როგორ უშველოს ამ ჟამს, მეშვიდე დარის მფლობელს
და უფსკრულის პირს მავალს,
ილიასა და ვაჟას,
გალაკტიონის სტროფებს,
სული უდგიათ მანამ.

როგორ უშველოს, ფიქრობს
ამ გზაბნეულ ხალხზე,
რომ ახეიროს რითმე...
ჯებირებს ანგრევს ვინროს, ტალღა უდგება ყალყზე
ენგურს, თეთნულდის ფიქრზე.

მომავლის ჯიბრი

ყოფა არ მიღირს იმად, დრო გავატარო დარდით
და უფსკრულების პირად სხვისთვის ვარდების
დარგვით.
ყოფა არ მიღირს მართლა — შევრჩე არყოფნის მიჯნას,
და რომ აგისხნა ნათლად, — ვგავდე წაგებულ ნიღლავს.

ბედი არ მაძლევს შანსსაც
ვიგრძნო აფრენის ხიბლი,
მაგრამ არ ვუხრი წარბსაც,
ვცხოვრობ მოგების ჯიბრით.



**მანანა ამირეჯიბი
ფანტასმაბორია
ნოემბერში**

იმ დღილით კაკლის ტოტზე მხოლოდ შენი უმცროსი
მეგობრის დანახვა ძალიან გამიკვირდა. შავცრემლიანი
თვალებით გადმოიმჩხავლა, რომ გაშლილი ფრთებით მი-
ნას დაენარცხე. რა გულსაკლავად ჩხაოდა... მეც ვინატრე
ჩხავილი, მაგრამ არ გამომდის და რა ვქნა... დარდი არ
იცოცხლე, მეუბნები. ჰო, სად კაჭკაჭი და სად დარდი, მაგრამ
მეხივით ნუთიერი ელდა ხომ ვიცი. დაფეთებული სახურ-
ავიდან სახურავზე, ტოტიდან ტოტზე, დაბლიდან მალლა,
მალლიდან დაბლა ქროლვით რომ ვიღლები, მერე ვიძინებ,
ვიღვიძებ და ისევ ისა ვარ, რაც ელდამდე ვიყავი. რა ვქნა,
ასეა...

იმ წამსაც, თითქოს ყინვისგან გათოშილი, ბუდიდან
ჩამოვარდი. ცოტა ხანს ასე ვიყავი, მერე შევარხიე გაშ-
ეშებული სხეული, სულის შეხუთვამდე მომიჭირა ჩემმა
უკიდევანო გალიამ და საძებნელად გამოვფრინდი. ავ-
ფრინდ-დავფრინდი, გადავფრინდ-გადმოვფრინდი, მივ-
ფრინდ-მოვფრინდი, ვერსად გნახე. ბოლოს დალილი
გუბესთან ჩავფრინდი. ჩავიხედე. გამიკვირდა, მკერდსა
და ფრთებზე თეთრი ბუმბული გამშავებოდა... მერე ჩამ-
ეძინა. რომ გავიღვიძე, ისევ ჩავიხედე და დავინახე, გუ-
ბიდან ბებერთვალეა კაჭკაჭი მიყურებდა... აი, ასე იყო...
და მაინც, გუშინ რატომ მომეჩვენა, რომ ნამცეცხვს
ნუთებივით კენკავდი...

არ გაბედო, ყორანო! შენ ხომ თავნება და დაუმორ-
ჩილებელი ხარ, განა ამ თვისებების გამო არ გადაიფიქრე
რტოს მოტანა? გაზაფხული იყო და ალბათ დედამინის
მრავალფეროვნებამ მოგწაფა, თორემ სისწრაფეში მტრე-
დი გაჯობებდათ შენ და მერცხალს?! ადექი, ყორანო...
მტრედები უკვე მოვიდნენ ნამცეცხვის ასაკენკად და შენ
სადა ხარ, შორიდან რომ აღარც ღიმილით უყურებ და
აღარც უსმენ სახურავზე მათი კაკუნის წვიმას. სად ხარ,
რატომ აღარ ელოდები მათ გაფრენას, და მერე ჩემს გა-
ლიაში არ შემოიხედავ, როგორც წინათ. ვატყობდი, შენი
გაფერადებული ხობები შურით როგორ სკდებოდნენ,
ისიც აგიჟებდათ, რომ ჭიკჭიკი დაარქვი ჩემს ჭიყჭიყს...
სად კაჭკაჭი და სად ჭიკჭიკი, გადაიროდნენ — აბა, რა!
რად აღარ ზიხარ კაკლის ტოტზე, ჩემი ფანჯრის წინ, განა
ერთ წელიწადს, განა ათს...

სადა ხარ ახლა, დარდით მუქი, მარტო, სულ მარ-
ტო...
ადექი, ყორანო, შენ ხომ ცა გავხრიტე და ნათელი გა-
მოაჩინე, ასე არ იყო? შენ ხომ ბრძენი და წინასწარმეტყვე-
ლი ხარ; ჰოდა, ადექი... არც იფიქრო სხვაგან გაფრენა.
შენი მეგობარი შაშვები იდარდებენ, შენი გვრიტები და
ბელურებიც ძალიან შეწუხდებიან უშენობით...

არა, არ გაბედო, ყორანო, არ გაბედო!
ადამიანებისგან სამი გამოთქმა ვისწავლე, მეტი ვერ
შეველი: „მშვიდობით,“ „არა მცალია,“ „რა შენი საქმეა...“
ამათ კი ჩემთვის ჭიოტას შხამის სუნი და გემო აქვთ.
ჰოდა, ნახვამდის, მეგობარო — მომავალ შეხვედრამ-
დე!






გაგრძელება

თანაც ბებიამ მარიამთანაც მაგრად მეგობრობდა. დაქალობდნენ. საერთოც ბევრი ჰქონდათ — უმნიშვნელო სახელი და პატიოსნება, რასაც სოფელი ძალიან აფასებდა და დიდი ხათრიც ჰქონდათ მათი. ორივენი პედაგოგები იყვნენ, ორივენი მაღალი მთებიდან იყვნენ გამოვარდნილები და საფუძვლიანი განათლებისა და პროფესიონალიზმის მიუხედავად, მაინც მთიდან გამოვარდნილებად რჩებოდნენ. დაქალობდნენ და და მეგობრობდნენ კი, მაგრამ როცა სადღაც წაიხილა მამაჩემმა თავის სკოლაში მიმიყვანა, პირველ რიგში, თათმა უნდა, თავისი ღიზა მასწავლებელი მოინახულა. მოკითხვის შემდეგ ნახევრად ხუმრობით, ამაყად გამოუცხადა: „ღიზა მასწავლებელი, აი, ჩემი ბიჭიც გამორის სკოლაში უნდა შემოვიყვანო, თბილისურ მატრიაზობებს მერეც ისწავლისო...“ ახლაც კარგად მახსოვს გალიმე-ლი ღიზა ბალიაურის შეცვლილი სახე და შემოვთვლილი თვალები: „აუუ, ჯემალოო, ახალგაზრდობა ხომ გამიმწარავ და იახლ სიბერესაც ნუ გამიმწარავ...“ და სასწრაფოდ, იმავე წელს გავიდა პენსიაზე. მართლაც, არ ვაჭარბებ. რაღაც, რაღაც შერეობდა ეგეთი ეს დარეხვილი მამაჩემი. ერთი გაჩხიკინებული, ღია ფერის ბავშვი ვიყავი, „ბებშიზე“ და „შვლის ნუკრის ნაამბობზე“ გაზრდილი, დიდი, დაფეთებული, კეთილი თვალებით. ჩემი ვის უნდა შემიხებოდა... მაგრამ, აი, ეგრე კი იყო.

ხევსურების გარდა გომბორში ცხოვრობდნენ ფშავლები, უფრო სოფლის ზემო უბანში და მიმდებარე თემის სოფლებში: ასკილაური, რუსიანი, იკვლიე გორანა, კოჭბანი... გომბორში ცხოვრობდა და გომბორის სკოლაში ასწავლიდა გაიმეორებული სვანი დათიკო იოსელიანი, ცნობილი მწერლის ოტია იოსელიანის ალალი ბიძა, რომელიც ამ გადარეული ალიბაის კარის მეზობელი იყო, მის გადაღმა ცხოვრობდა და მთელი ცხოვრება მის ცირკებს უყურებდა. როცა გარდაიცვალა, აზერბაიჯანელმა ქალებმა ისე დაიტრეს, იმერეთიდან — ბაღდათიდან და წყალტუბოდან ჩამოსული მისი ნათესავები პირლია დატოვეს გაკვირვებისაგან. გომბორის სკოლის დირექტორი ათნლეულების მანძილზე მეგრული ხარიტონ კილასონია იყო, მათემატიკას ასწავლიდა ცნობილი საგარეოელი ჯიმშერ გულისაშვილი, რომელიც მამაჩემს განსაკუთრებით უყვარდა. ჯერ ერთი, თვითონაც საგარეოელი იყო, მეორეც, მართალია, მათემატიკისა, ქიმიისა არ იყოს, ვერაფერი გაიგო, მაგრამ „უსაინტერესო კაცი იყო“, ამბობდა. მაგალითად, როდესაც 1959 წელს თბილისის „დინამომ“ პარიზის „რეიმსს“ 6:2 გადაურბინა პარიზში და მამაჩემი ღამის ორ საათზე სულმეგობრული უსმენდა ძველი რადიოდან, როგორ გუგუნებდა პარიზული სტადიონის ტრიბუნები — „Vivat Meschi!“ და გამარჯვების ჟრუნტული უვლიდა, მაგის მეორე დღეს ჯიმშერ მასწავლებელი ვაკეთილზე შემოვიდა, საკლასო ჟურნალი მაგიდაზე დაახეთქა და სიაც არ ამოუკითხავს, ისე დაიწყო: „ნახეთ, როგორ დაანგრეს ჩვენებმა ფრანგები?“ და მთელი ვაკეთილზე ფეხბურთზე გველაპარაკა, ბორის პაიჭაძით და შოთა შავგულიძით რომ დაიწყო, მიხეილ ბერძენიშვილის თერთმეტმეტრიანებით დაამთავრა. თითქოს ვხედავ კიდევაც, როგორ იდგა კლასში 14 წლის მამაჩემი ჯემალა, მთელ სიგრძეზე იქნებდა ხელებს ატყვინებული და არავის ლაპარაკს არ ატყვინებდა — მათ შორის, თვით ჯიმშერ გულისაშვილსაც.

და გომბორში ცხოვრობდნენ აზერბაიჯანელები. გომბორის მოსახლეობის სრული უმრავლესობა სწორედ აზერბაიჯანელები იყვნენ. საიდან და როგორ გაჩნდნენ გომბორის ქედზე, თითქმის მთლიანად ფშავლებით, ხევსურებით და კახელებით გარშემორტყმული აზერბაიჯანელები, არავინ იცის. ქვევით, სართიჭალის გაყოლებაზე, კი არის აზერბაიჯანული სოფელი იორმულანლო, მაგრამ ჯერ ერთი, მათ შორის საკმარისი დიდი მანძილია, მეორეც, არასდროს გომბორელ და იორმულანლოელ აზერბაიჯანელებს არაფერი საერთო არ ჰქონიათ, ისევე, როგორც გომბორელ და ყარაჯალელ აზერბაიჯანელებს. ერთმანეთთან მაინცდამაინც არ მოძრაობდნენ. ფშავლებს მათი წარმომობის საკუთარი ვერსია ჰქონდათ,

რომელიც ტახტის ანუ სამეფო აზნაურ ჩერქეზიშვილებს უკავშირდება. თავის მხრივ ჩერქეზიშვილებს ჩერქეზული ფესვები ჰქონდათ, როგორც გურულ ინგოროყვებს და მეგრულ როყვებს. შუა საუკუნეებში კახეთის მეფეები რამდენჯერმე დაუკავშირდნენ დინასტიური ქორწინებით დიდი ჩერქეზეთის მთავრებს, დავლათ-გირეებს, რომლის სამფლობელოებშიც ყველა ადილური ტომი შედიოდა. თავად ჩერქეზეთი, ყაზარდოელები, ადილეელები, ზღვისპირა შავსულები, რომლებიც სოჭის ზემოთ, ახლანდელ ნოვოროსისკამდე ცხოვრობდნენ და ძველ ქართულ ქორნიკებში ჯიქებდნენ მოიხსენიებოდნენ, ჩერქეზეთის დიდი მთავრები — დავლათ-გირეები, ყირიმის ხანების, ასევე დავლათ-გირეების განაყოფი იყვნენ და საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდნენ. კახელ უფლისწულებს ჩერქეზი პრინცესები მოჰყავდათ ცოლად, რომელთაც ჯგერის წერის წინ ქრისტიანულ სახელად რატომღაც ყოველთვის რუსუდანს არქმევდნენ. ასე რომ, კახეთის სამეფოს ტახტზე რამდენიმე ჩერქეზი დედოფალი რუსუდანი იჯდა. დავლათ-გირეის პრინცესებს, ბუნებრივია, მზითვის გარდა ამაღაც მოჰყავდათ, მათ შორის, პირადი



ბექა ქურხული
სკანდარა

დაცვა — ჩერქეზი აზნაურები — „უორკები“ — რომლებიც იქაურ სამხედრო არისტოკრატის წარმომადგენდნენ და რომლებსაც იაპონელი სამურაების „ბუსიდოს“ მსგავსად, საკუთარი ღირსების კოდექსი, „ადილური ეტიკეტი“ ჰქონდათ, რაც სამხედროების მკაცრად განსაზღვრულ ქცევის წესებს გულისხმობდა. ამალის აზნაურების ნაწილი უკან ბრუნდებოდა, რამდენიმე მათგანი კი დარჩა კახეთში, გაქრისტიანდა და კახთა მეფეების სამსახურში ჩადგა, მათ შორის, ჩერქეზიშვილის ნინაპარიც. ფშავური ვერსიით, უკვე მე-18 საუკუნის ბოლოს სულკურთხეულ ერეკლე მეფეს გომბორის მიდამოები ერთ-ერთი ჩერქეზიშვილისთვის ჩაუბარებია სამართავად. ამ ჩერქეზიშვილს კი ყარსულად შემწვარი მწვანი ჰყვარებოდა და ახალციხის ფაშისათვის სპეციალურად გაუცვლია თუ შეუსყიდია ორი წყვილი თურქი ყარსული მწვანის შესანავად და მერე ეგენი გამარავლებულან აქო. ამ ვერსიას, ძირითადად, ფშავებში ანევიდნენ, მაგრამ ჩვენ მაინცდამაინც ვერ დავკენდობთ. ჯერ ერთი, რა თქმა უნდა, არანაირი დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს, მეორეც, ფშავლები ამ ამბავს ამკარად აზერბაიჯანელების დასაცინად და დასამცირებლად ჰყვებოდნენ, ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოში მეგრული გვარების გურულებს და იმერლებს იგდებენ, მწვერებზე გაცვლილებო თქვენაო. მეორეც, გომბორელი აზერბაიჯანელები, შავტუხა ყარსელების, ჰემშილების, ბორჩალუელებისა და თარაქაშებისგან განსხვავებით, უცნაურად ღია ხალხია, თავლისფერი ან მწვანე ფერის თვალებით, რაც უფრო მათ ირანულ, უფრო სწორად კი, კლასიკურ ფარსულ წარმოშობაზე მეტყველებს, საიდანაც ამხანაგმა ჰიტლერმა თავისი არიული რასის თეორია ისესხა და მთელ სამყაროს სამწინელი კომპარით ჩაასესხა. თან ყარსელები, ისევე

როგორც ოსმალური იმპერიის ქვეშევრდომთა უმეტესობა, სუნას მიმდევრები — სუნიტები იყვნენ, გომბორელი აზერბაიჯანელები კი სუფთა შიიტები. გაგანია საბჭოთა კავშირის დროსაც კი, როდესაც გომბორში ერთადერთი პატარა რუსული ეკლესია კლუბად იყო გადაკეთებული, ფშავ-ხევსურები კი თავთავის ხატობებში მხოლოდ იმისათვის დადიოდნენ, რომ მაგრად გადამთვრალიყვნენ და ერთმანეთი საგულდაგულოდ ებეთქათ, გომბორელი აზერბაიჯანელები ყოველ წელს ერთგულად ატარებდნენ აშურას რიტუალს. მთელი სოფელი, კაზაკები, ფშავლები, ხევსურები, ებრაელები და სომხები თვალეზგაფართოებულები უყურებდნენ, როგორ ირტყამდნენ საგანგებოდ გაღვინდნენ და ჯაჭვებს მგლოვიარე და მლოცველი, დასისხლიანებული აზერბაიჯანელები. ამ რიტუალს ფშავებმა და ხევსურებმა „შახსი ვახსი“ დაარქვეს და ესეც გომბორის განუმეორებელი ელფერისა და კოლორიტის განუყოფელი ნაწილი გახდა.

საერთოდ, ფშავლები ძალიან ეშმაკები, დამცინავები და უბედურის ერთები იყვნენ და ახლაც არიან, რითაც არამარტო აზერბაიჯანელებს, არამედ დარბაისელ და საკუთარი ღირსების შეგრძნებით აღსავსე

ხევსურებსაც გვარიანად ამწარებდნენ. ოღონდ რაიმე მოსწრებული და ოხრული ეთქვამდა და აზერბაიჯანელს და ხევსურს კი არა, საკუთარ ოჯახსაც არ დაინდობდნენ. თავისი ყველაზე დიდი სალოცავი, ლაშარის ჯვარიც კი ალექსეს: „ფშავლებსა ლაშარის ჯვარი ნეტა არ დაუბერდაა, ამბობენ დაბერებასა, ნეტავ არ მაუკვებაა?“ სხვადასხვა ხატის ყმები ხომ მტრისას. თავადა ვარ მომსწრე, გომბორში, ფშავურ ქორწინებში ერთმანეთს დარეული მაყრები შეძახილით: „ჩვენი იახსარი დედას უტირებს ე მაგ თქვენ კოპალესაო,“ თითქოს ღვთის შვილებზე კი არა, ფლოიდ პატერსონის და სონი ლისტონის კრივზე ლაპარაკობდნენ. კარგი შროიანი ჩხუბიც გაიმართა. მსგავსი ისტორიები ძალიან ბევრია: ერთი კაცი მომკვდარიყო — ჩორხაული, მაღალი ყოფილა რადამა, ამ ზარმაც ფშავლებს საფლავი მოკლე მოსვლოდათ, არ ჩაეცია მკვდარი ჩორხაული, ფეხები მალა დარჩა და ეგრევე გაჩნდა ლექსიც: „საფლავ მოკლე მოგვივიდა, არ ჩავიდა ჩორხაული, მკვდარი არის, რას გაიგებს, ჩავდვით ორად მოკაულიო“ და აი, ეგეთი ამბები. ყრუ გიორგი ჰყავდათ ერთი ცნობილი მელექსე, იქნებ კიდევაც ვაგიგათ, მართლა ყრუ კი არ იყო, რაც არ უნდოდა, ვერ შეასმენდი და იმიტომაც დაარქვეს ყრუ გიორგი. ნაიყვანეს ეს ყრუ გიორგი პირველ მსოფლიო ომში, გადაჰკარგეს. გაქრა კაცი, აღარ გამოჩნდა და აღარ. გამოჰფენდნენ ოჯახის წევრები, ძმა-ბიძაშვილები და ქალ-რძალი ამ ყრუ გიორგის ტანსაცმელს ფერდაზე და დასტიროდნენ მის „შალვარ-ხალათს.“ და ერთ მშვენიერ დღეს არ ამოცერდა გორაზე თვითონ ის ყრუ გიორგი? ამოჩნდა, მოდის ცოცხალი და საღ-სალამათი და ამ დახელთილმა ფშავებმა ეგრევე გზიდანვე მიუმდერეს; „სად რა იყავი, გიორგი, აკი ისა თქვეს, მოკვდა?“ და იმ ყრუ გიორგიმაც, ისე რომ, არც გამარჯობა

უთქვამს, არც ნაბიჯი შეუნელებია, უპასუხა: „საიქოდან მოვბრუნდი, მტრულად უნდა მო...“ — გეგონება, თავისები არა სტიროდნენ და თემირ-ხან-შურიდან გადმოვიდნენ საგლოვად. ამ კაფია ლექსობაში ყველაფერი გადიოდა, ვის ნინაპარს სად რა ჩაედინა, ვინ ვის ჰყვარობდა, ვის ვინ სად გაეჩინა, ვის მამად ჰყავდა ბოზი, ვის ბიცოლა... ვისი გვარი უფრო ძველი და მაგარი იყო, გახუტელაშვილებს მოჰყავთ ქისტაურების ქალები ცოლად, მაგრამ გახუტელათ ქალები ქისტაურს კი არ გაჰყვებოდა და ეგრე. ფშავური ნაწლობა და „ნანალმა“ უთხრა ნანალსა“ და „გადავხურე ჩემ ნაბადი ქისტურაი“ ხომ საერთოდ...

ყველაზე გულისამაჩუყებელი სანახავი იყო, თუ ფშავებს სუფრაზე ვინმე არ მოეწონებოდა და უნდა აშარებოდა. ხევსურივით ბევრსა კი არ დაუნყებდა ან თბილისელივით კარაობას — პირიქით, მიუჯდებოდა და გაისაცოდავებდა თავს, რომ როგორმე წამოეკიდებინა და მიმართავდა: „გამარჯვება, ლოთ ტარიელას მეძახიან, ბედჩავ ფშავლად მიხმობდე, ძმისავ, ნუ დამჩაგრავ ძმობამა, ნუუ, დედას ობოლი ვარ ოხრობით გაზრდილი, ხო არ დამპკრავ, ხო არ მცემ, სახლიკაცო, ხო არ გამიბუშტავ ცხვირსა?“

ადამიანი ხო ბრიყვია, ბრიყვად დაიბადა. თან სუფრასთან სიმთვრალეში განსაკუთრებით. ნაჰკრავდა ბოლოსდაბოლოს ამ ბეჩავ ფშავებს ან შეურაცხყოფას მიაყენებდა და, აი, მანდ აწყდებოდა მსხვერპლად ამორჩეული და ყელმოღერებული ჯეელი ელვისებურ ფშავურ მეტამორფოზას, როდესაც „დედის ობოლი“ და „უბედურ მარსკვლავზე დაბადებული“ „საწყალი ლოთი ტარიელა“ კარგა ლაზათიანად, მამა-პაპურად ნაიგდებდა ნიხლქვემ და ცხვირსაც აქეთ გაუბუშტავდა. თუმცა ეს აგდება-წამოკიდება, რომლის დიდოსტატებიც იყვნენ და არიან ფშავლები, ყოველთვის ცემა-ტყეპით კი არ მთავრდებოდა, მართლა ველურებს კი არ დაეფერებოდნენ. ხანდახან ყველაფერი მხოლოდ მორალური სტრესით შემოიფარგლებოდა. მაგალითად, ერთხელ ყველა-სთვის საპატივცემულო და საყვარელ ადამიანს, დათიკო იოსელიანს, ბაღდათიდან, მაშინდელი მაიაკოვსკიდან, იმერელი სიძე ესტუმრა. სიძე რაიონის აღმასკომში ინსტრუქტორად მუშაობდა და ძალიან სერიოზული ადამიანი იყო. სუფრასთან პაკოზა, რომელსაც სიცოცხლეში არსად, არასდროს უმუშავია და ამით კიდევ უფრო ამაყოფად ვიდრე დათიკო იოსელიანის სიძე რაიკომის ინსტრუქტორობით, ძალიან დაინტერესდა მაღალჩინოსანი სტუმრით. უყურა, უყურა და უყურა... გადაადგო თავი მარცხნივ, მერე მარჯვნივ, უყურებდა ჩუმად და ამკარად მოსწონდა სტუმარი. სტუმარი შეზარხობდა და კიდევ უფრო საქმიანი და სერიოზული გახდა. სუფრას ქალები უვლიდნენ გარშემო, მათ შორის პაკოზას სამი ცოლიდან რომელიღაცის სქელტრაკა დედაც გადი-გამოდოდა ხინკლებიანი ხონჩებით. პაკოზას ეტყობა, მართლაც ძალიან მოეწონა დათიკო იოსელიანის სიძე და ჯერ საკუთარ სიდედრს გააყოლა თვალი, მერე კი მთელი სუფრის გასაგონად შესთავაზა შემდეგი: „ძმობილო, ჩემს სიდედრს ხელსა არ მოსდებაა, დაჰკვლიე რაღაც თამამი გავა აქვს, რაღაც ყინჩად დავალისო.“ დათიკო იოსელიანის იმერელი რაიკომის ინსტრუქტორი სიძე ჯერ გაშეშდა, საკუთარ ყურებს არ დაუჯერა, მერე კი ჭარხალივით განითლებული და განინამატებული გავარდა სახლიდან და ვერაფრით, ვერანაირი ხვეწნა-მუდარით, ვერარ მოაბრუნეს სუფრასთან. სუფრასთან კი არა, მას შემდეგ ერთი წელი ფეხი აღარ ჩამოუდგამს ცოლეურებში და როცა ჩამოდიოდა, მაშინაც ჭიშკარს გარეთ ცხვირს აღარ ჰყოფდა. საკუთარ ეზოში, ჰამაკშიც კი შიშით ჯდებოდა, სულ აქეთ-იქით იყურებოდა, ბუჩქებიდან რომიმე გაოხრებულმა ფშავებმა თავი არ გამოყოს და რამე არ მაკადროსო.

პაკოზა კი კარგად გამოათხა დათიკო იოსელიანმა და სხვებმაც უსაყვედურეს, რა უქენი იმ სტუმარ კაცსო: „რა შეწყინა იმ დღემოცვლად, ის ხო არ მითქვამს, მე მოვსებდ შენს სიდედრს ხელსაო, კაცო, მე ის ვუთხარ, შენ მოსდე ჩემს სიდედრს ხელი, ჭკვიან კაც იყო, თანამდებობის პირი, ჩემს სიდედრს კიდევაც ეამებოდაო,“ — შეცბუნებული შლიდა ხელებს გულუბრყვილო პაკოზა.

გომბორელ ფშავებს მსგავსი ოინები



უფრო უცხოებთან გასდობდა, თანასოფ-
 ლელი კაზაკები, ან როგორც მათ აღექვან-
 დრე ყაზბეგი ეძახდა, „ყაზახ-რუსები“, აზ-
 ერბაიჯანელები და ხევსურები უკვე
 განაფულები იყვნენ და ფშავურ ვერაგულ
 ხაფანგებში ეგრე ადვილად აღარ ემბე-
 ბოდნენ. თუმცა უცხო თვალისთვის მაინც
 უცნაური სანახავი იყვნენ ფშავურ კილოზე
 მოლაპარაკე კაზაკები ან ფშავ-ხევსურულ
 ხატობებზე მოქიფე აზერბაიჯანელები.
 ვინმეს შეიძლება იხიცი ეფიქრა, გომბო-
 რელი აზერბაიჯანელების ღია ფერები
 ჭროლა და ქერა ნითურ ფშავლებთან
 შერეული ქორწინების შედეგი გახლდათ,
 მაგრამ აქ ცოტა უფრო რთულად და ჩახ-
 ლართულად იყო საქმე. ერთის მხრივ, გო-
 მბორელებს თავის სოფლის გარეთ ნამდ-
 ვილი კრეოლური სოლიდარობა ჰქონდათ
 და ნებისმიერ თანასოფელს, ეროვნები-
 სა და რწმენის მიუხედავად, ულაპარაკოდ
 უჭერდნენ მხარს და ესარჩლებოდნენ. მამა-
 ჩემი ჯემალაც ყოველთვის ამბობდა, გომ-
 ბორელ აზერბაიჯანელს რომ სადმე
 ქართველებმა დააყარონ, ეგრევე დაცხ-
 ებ იმ ქართველებს და დასცხებდა კიდევ.
 ზუსტად ვიცი. თუმცა, მეორეს მხრივ, მთე-
 ლი ეს საბჭოთა „ხალხთა ძმობა“, „მძლე
 კავშირი“ „ერთობა“ და „თანასწორობა“
 ერთი დიდი ბლეფი და სიცრუე იყო და სხვა
 არაფერი. სინამდვილეში, უფრო ჩა-
 კეტილი, ნაციონალისტური და შეზღუდუ-
 ლი საზოგადოება ძნელი წარმოსადგენი
 იყო და კიდევაც ამოხეიქა ამდენი ხნის
 შეკვრებულმა სიძულვილმა, მტრობამ და
 ბოლშევიკურმა კავშირის „ბოროტების
 იმპერიის“ უკანასკნელ წლებში, რომლის
 შედეგსა და ნახანარსაც დღემდე ვხე-
 დავთ და ვიმკით. ასე იყო თავად გომბო-
 რელი და ჩაკეტილი იყო და არ მასხოვს და
 არც გამიგია შერეული ქორწინების
 არცერთი შემთხვევა. აზერბაიჯანელებს
 აზერბაიჯანელები მოჰყავდათ, ქართ-
 ველებს ქართველები და კაზაკებს კაზაკე-
 ბი. ეგ კი არა, როდესაც პაკოზას და
 ვერონელ ხევსურს, უნესიერეს, უსაყ-
 ვარლეს კაცს, ავთო არაბოულს გაჰყავა, პა-
 კოზა თავს იკლავდა. მამაჩემმა რომ მიუ-
 ლოცა, კინაღამ ხელით იჩხუბეს — „შენაც
 მე მეკორცხლებია? რას მილოცავ, ხევსურს
 გაჰყავაო.“ სერიოზულად იყო შეურაცხყო-
 ფილი და სულით ხორცამდე შეურული, საკ-
 უთარ დას ერთი წელიწადი არ ელაპარაკე-
 ბოდა. ძალიან გააგებინებდი ბიძაჩემ პა-
 კოზას შენ პოლიტიკორექტულობას, ტოლ-
 ერანტობასა და კაცთა შორის სათნოებას,
 ასეთი სიტყვები არც სმენოდა და, მგონი,
 დღემდე არ გაუფგონია.

ფშავლებისთვის მთავარი წიგნი
 ყოველთვის „ვეფხისტყაოსანი“ იყო, მერე
 ვაჟა-ფშაველა და მერე ბიბლია. ქართველ
 მთიელებში ერთადერთი კუთხე იყო, სადაც
 გავრცელებული და ძალიან პოპულარულ-
 ლი გახლდათ სახელები ძველი ალექსანდრე
 — „პეტრე“, „პავლე“, „იოსები“, „იაკობი“,
 „ლუკა“, „თომა“, „მოსე.“ სხვა ქართველი
 მთიელები უფრო ძველ ქართულ სახელებს
 არქმევდნენ. თუმცა მათი ქრისტიანობა
 ძალიან იყო შერეული უხსოვარი დროის
 კავკასიურ წარმართულ სალოცავებთან.
 ღვთისმშვილები, ხატები, ქაჯავეთის
 ლაშქრობები, „ლაშარის ჯვარს ქალები
 უყვარდა“, ხევისბერები, ქადაგები. თვი-
 თონ მაქვს ნანახი, მათურის მთავარ-
 ანგელოზის ხატობაზე მსხვერპლად
 შეწირული საკლავის სისხლით როგორ გა-
 მოსახადენენ ბავშვებს შუბლზე ჯვარს. და
 ამ ყველაფერს „ვეფხისტყაოსანი“ და მათი
 ლუკა რაზიკაშვილი უფრო იხდენდა.
 „მათი“ იყო, „საკუთარი“ და რუსთაველის
 და ვაჟა-ფშაველას ზოგადსაკაცობრიო,
 ლამის კოსმიური მნიშვნელობის შემო-
 ქმედება, უფრო კავკასიონის მთებით
 შემოზღუდულ სამყაროს ნაწილად მიაჩნ-
 დათ. შოთა რუსთაველი ფშაველი იყო,
 „ვეფხისტყაოსანი“ ფშავურად დაწერაო:
 „მიბრძანა: ძოდან გენყინა, გაშვება
 უუბარისა, მზემან გაყრითა დაგაჭკნე,
 ვითა ყვავილი ბარისა...“ და „ვეფხ-
 ისტყაოსანშიც“ უფრო ეს ადგილები მოს-
 ნონდათ: „შუბი გატყდა, ხელი ჩავყვა, ვა-
 ქებ ხრმალო ვინცა გლეხა“ და „ვჰკარი
 რასაცა, ვერ დამიდგნის, სისხლსა მჩქე-
 ფრად ამოვღვრიდი: ცხენსა კაცი
 გაკვეთილი, მანდიკურად გარდავჰკიდი.“
 გმირობისა და ხმლის ტრიალი უფრო მოს-
 ნონდათ, ვიდრე ის, რისთვისაც სინამდ-
 ვილეში „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა. „შენ

თუ უშმაგო მგონიხარ, ურიამცა ვარ მე,
 ლევი!“ „თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ,
 ომისაცა უმეცარნი...“ „შევიდა ზანგი პირ-
 შავი, თმა-გრძელი, ტან-ნაბდანი“ და „ჩვენ
 ქაჯეთს, ქაჯთა საომრად, დავაგნეთ ხრ-
 მალთა კოტანი“ უფრო ზუსტად ესადაგე-
 ბოდა ფშავ-ხევსურეთის ღვთისმშვილთა
 ქაჯავეთს ლაშქრობას, ვიდრე „არა ვიქმ-
 ცოდნა რას მარგებს ეფლონოფოსთა
 ბრძნობისა!“ ისევე, როგორც ვაჟა-ფშავე-
 ლას შედეგზე — „აღუდა ქეთელაურზე“,
 სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვები
 დაწერა 25 წლის ჩარგლემა, ფშაველმა
 ბიჭმა: „ჩვენ ვიტყვით მარტო ჩვენა ვართ,
 მარტო ჩვენ გვწოდებენ დედანი...“ უფრო
 უკეთ და ზუსტად „ტანზე აბჯარი ავისხ-
 ათ, მუდამ ვლესავეთ დანასა, რომ შიშს
 ვუგდებდეთ გულშია მეზობელს მეტიარ-
 ასა“ და „სიკვილი თავად უფალსა გაუჩე-
 ნია მტრისადა...“ ესადაგებოდა მეომარ-
 ფხოველებს. გაცილებით გასაგები და ნაღ-
 დი იყო, ვიდრე იერუსალიმში ნაქადაგე-
 ბი: „ხოლო მე გუებნებით თქვენ გიყვარ-
 ეთ თქვენი მტრები...“ და „გეტყვით თქვენ
 ნუ აღუდგებით წინ ბოროტს, არამედ ვინც
 შემოგკრავს მარჯვენა ყვრიმალში, მიუ-
 ვარე მას მორეც...“ ვიდრე რუსთაველის
 ან ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების ქემარ-
 იტი არსი. თემი აღუდა ქეთელაურის ადგ-
 ილზე ლუკა რაზიკაშვილსაც ზუსტად
 ისევე მოიკვეთდა. ასე მოიკვეთეს მისი ძმა
 ბაჩანა რაზიკაშვილი, თავისი ნაწლის ცო-
 ლად მოყვანისთვის და ასევე მოიკვეთა
 „თემმა“ — მამინდელი საქართველომ
 შოთა რუსთაველიც, იმდენად, რომ მისი
 საფლავიც კი გაქრა.

შეიძლება მართალიც იყო თემი „თავის
 თემობის წესითა.“ მეზობელ წარმართ ფხ-
 ველებს, რომელთაც აქეთ საქართველოს
 ბგრატიონ მეფეებთან ჰქონდათ მტერ-
 მოყვრული ურთიერთობა და იქით მათზე
 არანაკლებ გადარეულ მეზობლებთან —
 „ქისტებსა არხოტივებსა, დღეთ-შუ სისხ-
 ლის წყალ უდისთა“ და ამ ომებში ჩამოყ-
 ალიბებული მენტალიტეტისთვის, „გიყ-
 ვარდენ მტერი შენი“, „ჩვენ ვიტყვით მარ-
 ტო ჩვენა ვართ“ და „პლატონისგან სწავ-
 ლად თქმული“ არ გამოადგებოდათ.
 უბრალოდ, ამონყდებოდნენ, როგორც
 ამომწყდარა ბევრი და უბედური და მათზე,
 უკეთეს შემთხვევაში, გამარჯვებულთა
 ბალადები და საგები თუ დარჩებოდა,
 როგორც მარჯვედ ამოხოცეს ის საწყლები
 და როგორ დაყიდეს ცხვრებივით მონე-
 ბად...

დაახლოებით იგივე ამბავი ხდებოდა
 გომბორში, ოღონდ მცირე მასშტაბით,
 როგორც ჭიქა წყალში აღინუსხება
 ოკეანის შემადგენლები. განუწყვეტელი
 და ჩუმი ბრძოლა პირველობისთვის ფშავ-
 ლებს, ხევსურებს, აზერბაიჯანელებსა და
 კაზაკებს შორის. მით უმეტეს, რომ აქაც
 მართლდებოდა ძველქართული მითი „ჩვენ
 ცოტანი ვართ, მტრები ბევრი არიან!“

ასე დარჩა გომბორში სხვა ლეგენდ-
 არულ ფრაზებთან ერთად ვალერა კორ-
 ნილოვის გამწარებული ამოძახილიც:
 „თქვენი დედა კი, მე თქვენი... რადა ხართ
 ეგეთი ბევრები?“ როდესაც მორიგი ომი-
 ანობის დროს ვალერა რუსიანის ვაშლის
 ბალებთან წაიმწყვდიეს აზერბაიჯან-
 ელებმა და ერთი დაშობიანად შეჟეს. მა-
 შინ მამაჩემი ჯემალა, ოთარა თილილაუ-
 რი და აბრამა შეთეკაური ჩაეშველნენ და
 გახურებულ, ხელჩართულ ჩეხაობაში
 ბრძოლით გამოართვეს ხელიდან გავეშე-
 ბულ აზერბაიჯანელებს ვალერა. იმ ჩხუბ-
 ში ოთარა თილილაურს მარჯვენა ხელიც
 მოსტეხეს და ცაცია მუშტის ანაბარამ გა-
 მოაღწია.

კორნილოვ ვალერას ბედი კიდევ სხვა
 იყო. როგორც შოთა რუსთაველი და ფშავ-
 ლები იტყოდნენ, „ძოდან“ კი გამოვიდე
 თავი, გომბორში შერეული ქორწინება არა
 ყოფილა-მეთქი, მაგრამ ერთი ასეთი
 შემთხვევა მაინც მოხდა და სწორედ ეგ იყო
 ვალერას ბედისწერა, რომ ცნობილი
 თეთრი გენერლის, დონის კაზაკების
 „ვოისკოვო ატამანის“ „ეგოსეტლოსტის“
 ლავრ გეორგევიჩ კორნილოვის „ვნიჰატი
 პლემიანიკი“ ფშაველად დაბადებულიყო.

ვალერა კორნილოვის მამა, პავლე კო-
 რნილოვი, გომბორელ კაზაკთაგანი არ
 გახლდათ, ნამდვილი დონელი კაზაკი იყო,
 გენერალ კორნილოვის ძმისშვილი, ბა-
 ტონო. მეორე მსოფლიო ომის დროს
 დაჭრილი გომბორის სამხედრო ნაწილის
 ჰოსპიტალში მოხვდა. რომ გამოჯანმ-

რთელდა და გაიხედ-გამოიხედა, აქაურო-
 ბა მოეწონა, თან თავისი რუსის კაზაკობაც
 აქვე დაიგულა, აილო და აქვე დარჩა საცხ-
 ვრებლად. თუმცა ცოლად რატომღაც
 ფშავლის ქვრივი გოგო ელო სულხანიშ-
 ვილი მოიყვანა და აი, მანდ აირია მონას-
 ტერი. არა, ცოლი კი გამოადგა, ორი ბი-
 ჭიცი ეყოლათ, სახელებიც რუსული დაარ-
 ქვა — ვალერა და საშკა, მაგრამ ელომ
 თავისი ფშავური ვერაგობა მაინც არ
 დააგდო და სუფთა ფშავლის ბალები
 დაუჩინა საწყალ პავლიკას. ორი მოზვერ-
 ივით ღონიერი, ზუსტად პავლიკას მსგავს-
 სი, დონელი კაზაკისა და ფშაველი გოგოს
 ბაღი, რომლებიც ისე დაბერდნენ,
 ნამლად ერთი სიტყვა რუსული ვერ ისწავ-
 ლეს. ფშავურად უქცევდნენ, დამბალ ხაჭოს
 ერეკებოდნენ და საერთოდ, გვარ-სახ-
 ელისა და ცხვირ-პირის გარდა, იმათ რუსე-
 ბისა აღარაფერი ეცხობთ. ერთ თაობაში
 გადააჯიშა ელო სულხანიშვილმა დონელი
 კაზაკები. ისევე საწყალი პავლიკა კორ-
 ნილოვი გახდა იძულებული, ორიოდე
 ღერი ქართული, უფრო სწორად, ფშავური
 ესწავლა, ხანდახან მაინც რომ დალაპარ-
 აკებოდა თავის ბიჭებს. იმ ორიოდე სიტყ-
 ვასაც ისე ამტკვრივდა, გული მოგიკვდებო-
 და. ერთხელ ბიბლიური სამსოფლიო და
 მერე მისი მიბაძვით ლუკა რაზიკაშვილივ-
 ით, მხრამდე თმაჩამოზრდილ თავის
 შვილებს დიდი ცხვრის საპარსი დუქარდით
 მიადგა და: „მოდით, შვილო, თავი
 მოჩრასო.“ მამობრივი მზრუნველობით
 აღსავსემ შესთავაზა. ვალერას და საშკას
 ეს ამბავი დიდად არ მოეწონათ და დუ-
 ქარდმომარჯვებულ მამას უსაფრთხო
 ადგილს გაექცნენ — როგორც ფშაველებ-
 ის წესია, მთაზე აცვიდნენ და იქ შეაფარეს
 თავი. თან ერთმანეთს შეჰყურებდნენ
 გაოგნებულად, „რამ გადარია, ამის რუსი
 დედა... რაზე გვხოცავსო.“ არანაკლებ
 გაოგნდა და დაიბნა პავლიკაც: „ვოტ სუ-
 მამედში, რამ გაგაგიათ, თქვენი დედა
 მოვტკნამ, რა ტკვა ეგეტი, მოდი, ტავი
 მოჩრატო?“ აგინებდნენ ეს საკუთარი ბი-
 ჭები ზევიდან ფშავურად მამამისს ჯიშსა
 და მოდგმას, ქვემოდან პავლიკა უტრი-
 ალებდა რუსულად ფშაველ დედასა და
 ჯილაგს. პატარა საშკას შეეშინდა და ტი-
 რილი დაიწყო: „აკი გითხარი, დედაოო,
 რაად გაჰყევ რუსსაოო!..“ უფროსი ვალ-
 ერა აწყნარებდა, თან თავის მტარვალ მა-
 მას მუშტით ემუქრებოდა: „ჰაი, შენი რუსი
 დედა, შენიო, მაგის ღირსები ვართ შენგან,
 რო საიდანლაც მოთრეული მიგიღეთ, შეგ-
 იფარეთ და შენ კიდევ თავებს გვაყრევიან,
 მაგრამ თქვენი ნამუსი ვის გაუგონიაო...“

საწყალი პავლიკა სულ გადარია. დარ-
 ბოდა დუქარდით და თავის მთებში
 გაჭრილ შვილებს სულ დონის ნაპირებზე
 ნასწავლი წარჩევი გინებით იკლებდა. ზე-

მოდან შვილები პასუხობდნენ და საწყალი
 პავლიკა ნამდვილად გააფრებდა, მის
 ბედზე ზევიდან სკოლაში მიმავალ ილია-
 ში პაკაამოწრილ დარბაისელ დათიკო
 იოსელიანს რომ არ ჩამოეველო. დათიკო
 მასწავლებელი, თავისი სიდარბაისლის მი-
 უხედავად, უკვე ძალიან დიდი ხანია ამ
 გიჟებთან ერთად ცხოვრობდა და უცებვე
 მიხვდა ყველაფერს. ჯერ პავლიკას აუხს-
 ნა, რომ „თავი კი არ უნდა მოჩრა“, თმა
 უნდა შეჭრა და მოუნოდა დუქარდი თავის
 ადგილას შეენახა. მერე კი ძალიან დტუ-
 ქსა ორივე ძმა, განსაკუთრებით უფროსი
 ვალერა და შეპირდა, რომ საკუთარი მა-
 მის გალანძღვისთვის წელსაც, უკვე მესა-
 მედ, დატოვებდა მე-7 კლასში. ვალერამ,
 მამამის პავლიკასგან განსხვავებით, ვე-
 რაფერი გაუბედა დათიკო იოსელიანს,
 თავჩაღუნული დაუყვა დაღმართს და თან
 ხელჩაკიდებული მოჰყავდა უმცროსი
 ასლუკუნებული ძმა საშკა.

ვალერა კორნილოვის მეორე ცხოვრე-
 ბისეული გაუგებრობა და შარი, ფშაველო-
 ბის გარდა, სწორედ სწავლა და სკოლა იყო.
 კლასში იმდენჯერ დარჩა, რომ სკოლა
 დაახლოებით 24 წლისამ დაამთავრა. სკო-
 ლა დაამთავრა თუ არა, აილო და იქაურო-
 ბის ყველაზე ლამაზი და მაგარი გოგო,
 უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენ-
 ტი ელისო რკინაული შეუყვარდა. ახლა
 ამაზე გაგიჟდა მამამისი პავლიკა: „ტა ვინ
 მისცემს მაგას კრინიაულის ქალი,
 ბეზღელნიკ ონ, დურაკია, სკოლა დო პენ-
 სიი ნე მოგ ზაკონჩიტო.“ აქ უკვე მამაჩემი
 ჯემალა ჩაერთო საქმეში. ჯერ ერთი,
 ძალიან უყვარდა თავისი ოროსანი მე-
 გობარი. სიკვდილამდე სულ იმას ამბობ-
 და: „ერთადერთი ძმაკაცი, ვისგანაც არა-
 სოდეს არაფერი მწყენია, ვალერაო.“ და
 ისედაც, ოღონდ რაიმე შარში გაეყო თავი,
 რაიმე სიციფეში და სისულელეში გაგეხვია
 და თუ გინდა, წყალს ნუ დააღვინებდი
 ცხონებულს. ბეზიაჩემი მარიამი ზღაპრულ
 გიჟს ეძახდა — „ზღაპრული გიჟია მამაშე-
 ნი, ზღაპარში რომ გიჟები არიან, ყვე-
 ლაფერს რომ უკულმა აკეთებენ და მაინც
 წაღმა გამოსდითო.“ ახლაც წაღმა გამოე-
 იდა და პავლიკას ჯინაზე მოჰგვარა ვალ-
 ერას თავისი პრინცესა. ამათაც ორი ბიჭი
 ეყოლათ. ვალერამ თავისი მშობლების
 შეცდომა აღარ გაიმეორა და შვილებს ნამ-
 დვილი ქართული სახელები — ბაქარი და
 ბაკური დაარქვა. ასე განდა კიდევ ერთი
 უცნაურობა — ბაქარ კორნილოვი და
 ბაკურ კორნილოვი. ბაქარა, რა თქმა უნდა,
 მამაჩემს მონათლინეს. მე და ბაკურა
 ტოლები ვართ და ერთად არ დავბადებულ-
 ვართ, თორემ ერთად გავიზარდეთ.

გაგრძელდა შემდეგ ნომერში





ჰიუგენსმა შემოიტანა ეთერის გაგება, რომელიც ავსებს მთელ სივრცეს (სხვათა შორის, ჰიუგენსმა კაცობრიობას მისცა საათიც დროის გასაზომად). განა ეს ჰიპოთეზა მსოფლიო ეთერისა არ ადასტურებს შემოქმედის გენიალობას, ააფაროს რიდე თავის შექმნილ სამყაროს, დაიცავს იგი ვილაცი დაფინებულნი, ეჭვიანი და გამამიშვლებელი, არაესთეტური მზერისაგან? და განა იგივე ეთერი თუ „რიდე“ — უხილავი და უწონადო — არ იცავს და არ აკავშირებს ერთმანეთთან მთელ სამყაროს დიდიდან მცირემდე, ზემოდან ქვემოდან? გალაკტიონი: „სანამ წვიმა გადვილიდეს, / გზები გამშრალდებოდეს / ნუ მოაცილი ციურ რიდეს, / რომ ბურუსში ჩნდებოდეს...“


რა არის თანამედროვე ადამიანის ავადმყოფური სურვილი ყველაფრის გასაგნებისა, რაციონალიზაციისა, ფსიქოლოგიზაციისა, ექსტაზი გამოუთქმელის გამოთქმისა, რიდის ჩამოგლეჯისა, თუ არა უტიფარი თავხედობა სამყაროს საიდუმლოებების მიმართ, გამონვეული სიცოცხლის შეგუბების, სულსხუთვის განცდით?

ავთანდილი ბრძენია. მხოლოდ ბრძენს უსმენს ყველა („სმენად მხეცნი მოვიდიან“). ის თითქოს სიცოცხლის საიდუმლოს ფლობს, მისი ქურუმი.

ტარიელი — ამა სოფლის სრულყოფილი ნაყოფი, ყველა იმ თვისებით სავსე, რაც რუსთაველს მოსწონს (რაინდული კულტურის მიერ აღიარებული იდეალური ტიპი), ადამიანის შესაძლებლობათა მაქსიმუმი. მისი გმირი ადამიანის იდეალი, ადამიანის რომანტიკული ოცნებაა რეალობაში. იგი უზომოა: სიკეთით, ვაჟკაცობით, თავგანწირვით, სიუხვით, ძალით, გარეგნობით, ცრემლის ღვრითაც კი. ტარიელი სიყვარულის კაცია, გული/გონების, რაციონ/ემოციის ოპოზიციის კუთხით — გულის კაცია. რუსთაველმა კარგად იცის, რა არის გული და რასთანაა „მიბმული.“ „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდებიან...“ და, აქედან გამომდინარე, რა საფრთხე ემუქრება ტარიელს: ემოციური სიჭარბის გამო მას მოვლენათა კონტროლი არ შეუძლია, არადა, სრულიად პრაქტიკული ამოცანა აქვს გადასაჭრელი: ნესტანის გამოსხნა. სიყვარულის გარდა, ქალის დაცვას მას რაინდული კანონიც ავალებს. ამ კანონის დაცვის გარეშე იგი სრულყოფილ კაცად ვერ იგრძნობს თავს. დარღვეული წონასწორობა უნდა აღდგეს და სწორედ აქაა საჭირო გონივრული პრაგმატიზმი, როგორც სასიცოცხლო ენერჯიათა ჰარმონიული მიმოქცევის (ბალანსის დაცვის) ხელშემწყობი ფაქტორი, რომელიც, თუ არა რაციონალური არსების — ადამიანის — ხელით ვერ განხორციელდება. ეს ფარული კოსმიური შეთანხმება სამყაროს შემოქმედსა და ადამიანს შორის და ამ ჭრილში უნდა განხილვებოდეს ავთანდილის ყველა ადამიანური ნაბიჯი. არსებობს რაინდული კოდექსის იერარქიაც, რომელიც ამ კულტურული პარადიგმის დაცვის სახელით ეთიკური გადაცდომის ნებასაც იძლევა. ეთიკა ადამიანის შეტანილია სამყაროში, ყოფიერების უფრო მაღალი ღირებულებების — სიცოცხლის, ჰარმონიისა და სიმეტრიის დაცვის მიზნით, რომელსაც ავთანდილი ემსახურება. ასე რომ, ყველა სხვა ტიპის ნაკითხვა (მაგალითად, ჭაშნაგირის მკვლელობის შეფასება რელიგიური და ზნეობრივი კუთხით) სხვა არაფერია, თუ არა კულტურული კონტექსტის გაუთვალისწინებლობა.

ავთანდილი სწორედ ის „იგია“, რომელმაც ტარიელი, ანუ ადამიანთა განსაკუთრებული ჯიმი და მოდგმა უნდა გადაარჩინოს. არადა, ტარიელს სულ გადასარჩენად აქვს საქმე, სულ ხიფათი ემუქრება. სულ არსებობს იმის საშიშროება, რომ ამოინუროს, დაუძღვრდეს, ხელი ჩაიქნოს, არ განახორციელოს საკუთარი შესაძლებლობები. ამიტომ მისი მოდგმისა და ჯიშის დასაცავად აუცილებელია ავთანდილი: ჰარმონიული, კოსმიური ნესტანის მცველი. რა ძალას უნდა ფლობდეს კაცი, რომელიც მიდის, მიიმდერის და მთელ სამყაროს ერთიანობად კრავს — თუ არა კოსმიურს? რა სამყაროელი კოდიამ ამ სიმღერაში, ვის შეუძლია სამყაროს ერთიანობა ამტკიცოს სიმღერით (სიმღერა

უნივერსალური ნიშანია ამ ერთიანობისა, ფორმულასავით)? რა ძალაზე ლაპარაკობს რუსთაველი, რომელიც მხეცსაც იზიდავს? შეკვრა, შეერთება, გამთლიანება ავთანდილის სიცოცხლისა და სიკვდილის საზრისიც. აქედან — მისი თავგანწირვის უმაღლესი კოსმიური მისია. აი, ეს კაცია „იგი“, ანუ ის „მე“ („მე იგი ვარ“), რომელსაც შეუძლია სრულად და უდანაკარგოდ მიუძღვნას საკუთარი თავი „სხვას“. ავთანდილი ადამიანი-მეტაფორაა. როგორც მეტაფორით გვაუწყებს ენა იგივეობას და არა ოდენ მსგავსებას, რაღაც საერთო განზომილებების არსებობას სამყაროს სხვადასხვა მატერიალურ, ენერჯიას, სტიქიას შორის, ისე რუსთაველი გვატყობინებს ავთანდილის მეშვეობით მეგობრობაზე, როგორც ადამიანთა შორის ამ სამყაროელი ერთიანობის ემანაციაზე. მოკლედ, თუკი ტარიელი სრულყოფილი ადამიანია, რაღა გასაკვირია, რომ კოსმიური კაცი იდეალური ადამიანის დასახმარებლად წავიდეს?



თუ არ ვცდები, ქართულ ცნობიერებაში ესაა პირველი სიტყვა, სადაც „მე“-ს პრობლემა ეგზისტენციალურ კონტექსტში დაისმის, სადაც ადამიანი „მე“ ყოფიერების მიმართ საკუთარი არჩევანის განაცხადს აკეთებს: იგი ირჩევს საკუთარ თავს, როგორც „სხვის“ მსახურს. ავთანდილი ამბობს „მე იგი ვარ“ და სათავეს უდებს „მე“-ს, როგორც სხვისი სიცოცხლის სამსახურის რელიგიური იდეის სეკულარულ გააზრებას ქართულ მწერლობაში.

ცხოვრების სისასვე იქაა, სადაც „მე ვარ“: მე ვარ-ის ლეგიტიმურობა კი მონმდება თავისუფალი არჩევანის ნებით და არა მისი შედეგით. შედეგი ცხოვრებისეულია და არა ყოფიერებისეული.

გრიბოედოვი თავის პიესაში „ვაიჭკუისაგან“ ჩაცკის ათქმევინებს: „წავალ სიკვდილზე, როგორც ალღუმზე.“ რომანტიკოსთა უკიდურესი ინდივიდუალიზმი საინტერესო კვლევას გვაძლევს შუასაუკუნეების ადამიანის (რაინდული) კონცეფციასთან („მე იგი ვარ... ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“), სწორედ რომანტიზმში და შუა საუკუნეებში განთავსდებიან ერთ სიბრტყეზე ალღუმი და სიკვდილი, ზიმი და სიკვდილი.

დარეჯანის ცრუ საქმიანობა ილიას „კაცია-ადამიანი“ იმაზე მიანიშნებს, რომ მან რაღაც იცის ჭეშმარიტ საქმიანობაზე. ღირებულებათა ბუნდოვანი ხსოვნა კი არსებობს, მაგრამ აღარ არსებობს ცოდნა. იგი ჩანაცვლებულია მისსავე დამახინჯებული, მრუდე და ბუნდოვანი კვალით. სწორედ ამაზე მიანიშნებს ილია ფანჯარაზე გაკრულ გაქონილ ქალაღზე ამოკანური ფრაზით: „დათვი ხეზე როგორ გავა, იავანინაო.“ სხვათა შორის, დათვიც („გლახის ნაამბობი“) ბოლო ქმედება ამ ხსოვნის გამოძახილია. მას ახსოვს, რა შეეფერებოდა, რომელიც ერთ

შემთხვევაში (თამროს) ვერ (არ) დაიცვა და მეორეში (გაბროს დახსნა) კი დაიცვა, თუნდაც სიცოცხლის ფასად და დათვიც ამ საქციელის გამო ილია, ჩემი აზრით, მას შემწყნარებლურად უყურებს. შეიძლება ითქვას, რომ დათვიც შემთხვევაში არსებობს რაინდული კოდექსის ხსოვნა გადაშლილი კვლებით, მაგრამ სისტემა უიმედოდ დარღვეულია.

თათქარიძობაზე, როგორც მოვლენაზე, საუბრისას საგანგებოდ ხაზგასმულია მისი, რბილად რომ ვთქვათ, ზერელე დამოკიდებულება ცოდნასთან და სწავლასთან. მართებული იქნება იმის გათვალისწინება, რომ, რაც უნდა პარადოქსულად უღერდეს, პროფესიონალიზმი, ღრმა ცოდნა, თუ არა რაინდული კოდექსით გათვალისწინებული ცოდნის (საქმიანობის) გარკვეული სახეობებისა, (გამორჩეულად კი საბრძოლო ხელოვნებისა) — ტრადიციული რაინდული არისტოკრატიისათვის დამახასიათებელი არ არის, ხშირ შემთხვევაში კი მიუღებელიცაა. ცხადია, შეუძლებელია ილიას ეს არ ცოდნოდა. ვფიქრობ, ლუარსაბს იგი განიხილავდა როგორც უკიდურესად ჩამორჩენილ, დროისა და რეალობისაგან კომიკურად დაშორებულ გარკვეულ კულტურულ ტიპს, რომელსაც ახსოვს, მაგრამ არ იცის, რა, და იცავს, მაგრამ არ იცის, რას.

განდევლის ეჭვი არის წამოცდენა („მე უბედურსა“) — რწმენის შერყევა, რომელიც ამოთქვა სიტყვამ. ენამ გაამჟღავნა ცნობიერების საიდუმლო, მისი ფარული, სავარაუდოდ, განდევლისთვე უცნობი მდგომარეობა, რომელმაც გაიღვიძა მასში ქალთან შეხვედრის შემდეგ და რომელსაც შეიძლება ვუნოდოთ ეჭვი ღმერთის უპირობო სიყვარულის (რწმენის) მიმართ. ეს ის კაცი იყო, რომელიც შეუდგა ღმერთს მიუხედავად ყველაფრისა, ახლა კი ისაა, ვინც განუდგა ღმერთს წამიერი სისუსტის გამო. ეს შეიძლება ერთდროულად იყოს ნების სისუსტეც და რაციონალური განსჯის შეჭრა რწმენის სფეროში, რაც იწვევს მტკიცებულებათა მოთხოვნას ღმერთის არსებობაზე, რათა გაამართლოს თავგანწირვა რწმენისათვის, ანუ ადამიანური „მსხვერპლი“ („გზა ხსნისა ასეთი მერგო მე უბედურსა“).

ტოკვილი ამბობს, რომ „ღირსების გაგება ადამიანთა შორის განსხვავებამ და არათანასწორუფლებიანობამ შექმნა. ეს გაგება სუსტდება იმის კვალდაკვალ, რაც წინააღმდეგობები და განსხვავებები ერთმანეთში რიგდებიან და საერთოდ ქრებიან“. თუ ტოკვილი ვარაუდობს, რომ ფსიქიკური სტრუქტურა სოციალური გარდაქმნების შედეგად მთლიანად ნაშლდება, ეს ნიშნავს, რომ იგი კაცობრიობის ცხოველურ მომავალს წინასწარმეტყველებს. ღირსების გრძნობა არამხოლოდ სოციალური ურთიერთობების მორალურ დონეზე მომანერსიერებელი, არამედ თვითშეფასების, მე-ს იდენტობის საფუძველია. იმ თვითშეფასების საფუძველი, რომ იგი ადამიანთა მოდგმას ეკუთვნის და პატივს ცემს ამ კუთვნილებას. ღირსების გრძნობა ფსიქიკური სტრუქტურის ისეთ წერტილებში წარმოიქმნება, სადაც „ზე-მე“ და არაცნობიერი ერთმანეთს ხვედებიან, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეხვედრა ტოპოლოგიურად თითქოს მოსალოდნელი არაა. იგი სწორედ იქ იბადება, სადაც „მე“ საკუთარ თავთან შინაგან აცდენებს გადალახავს და თავის ჭეშმარიტ არსს წვდება. ცხადია, იგი ისტორიული განვითარების ნაყოფია, მაგრამ ამ განვითარების შედეგად მას ყველაზე ღრმა და ზოგადი შინაგანი კანონის სახე აქვს შექმნილი, რომელიც ადამიანში საკუთარი არსის ღირებულებით აღქმას ახლავს (ანერსიგებს).

კულტურა, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის ფორმა, წარმოადგენს ენას, ანუ ნიშანთა სისტემას. ეს ცნობილია. კულტურის ამ ენობრივ ბუნებაზე სემიოტიკის შექმნამდე თითქმის საუკუნით ადრე იცოდა იმ ოსტატმა, რომელიც ერეკლეს ხმაღზე ამოტვიფრდა: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის, ერეკლესი“.

დიალოგი (საუბარი, „მუსაიფი“) შეუძლებელი ხდება მაშინ, როცა კულტურა აღარ ასრულებს ადამიანთა ურთიერთობაში არანაირ როლს და ურთიერთობა ძალადობის ენაზე ითარგმნება. ასეთ დროს კულტურული ნორმები ირღვევა და მთელი სოციალურული სფერო ძლიერ რყევებსა და ცვლილებებს განიცდის. ამის ნიშნები უამრავია მე-19 საუკუნის ლიტერატურაში. რამდენიმე მათგანზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას:

სპირიდონ მცირიშვილი დამბაჩას ატარებს („ჩვენი ქვეყნის რაინდი“). ამ დამბაჩაზე კლავს ტარიელ მკლავაძეს. თუკი ადამიანური ღირსების კუთხით შეგებდავთ, ეს სამართლიანია, მაგრამ მოულოდნელი: რატომ შეიძლება მასწავლებელი ატარებდეს დამბაჩას? რას წარმოადგენს აქ დამბაჩა, როგორც ნიშანი? თავისუფალი ადამიანობის სიმბოლოს, ანუ თავისუფლების ნიშანს, რომელიც კულტურას ეკუთვნის, თუ საგანს, რომელსაც პირდაპირი პრაგმატული დანიშნულება — თავადამსხმელისგან თავდაცვა ან, სულაც, თავდასხმა აკისრია? იარაღის ტარების სოციალური პრივილეგია, თუ მე-19 საუკუნის კულტურული ნორმებით ვიმსჯელებთ, მას არ ეკუთვნის. სოციალურად სპირიდონი „მცირიშვილი“, ანუ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი, გვარის შესატყვისია გარეგნობითაც. მისი ეს მდგომარეობა ჩანს უცნობის შეფასებამდე მკვლევლობის სცენის ბოლოს: „ამ გლახამ.“ რაინდული კოდექსის მიხედვით, ერთმა შეიძლება დაჩაგროს მეორე, როგორც ღირსების არქონე. მაგრამ რაინდის ცნება პერვერსიზებულია ისევე, როგორც ინტელიგენცია. მე-19 საუკუნის ბოლოს რაინდი უკვე აღარ ატარებს იარაღს, როგორც სოციალური და კულტურული მიკუთვნებულობის (ნიმუშის, ტიპის) სიმბოლოს. ეს ტიპი მასში მკვდარია და მოძალადეაა გარდაქმნილი. შესაბამისად, მკლავი, როგორც ძალადობის პრიმიტიული, ფიზიკური და ველური იარაღი, ჩვენაცვლება ხმაღს, დაშნას, როგორც კულტურის ნიშანს. ამ გაგებით, ტარიელი კულტურის გარეთ დგას და მის პირველყოფილ, განუვითარებელ (ჩამორჩენილ) ფორმას განასახიერებს. მწერალი (ეგნატე ნინოშვილი) კულტურის იმ ეტაპს გვიჩვენებს, როცა ყველაფერი აღრეულია, და არც წესების დაცვა ევალება ვინმეს. ესაა საზღვრებმორღვეული კულტურა, რომელიც ესთეტიკის და ეთიკის მიღმაა. ნიშნები, რომლებიც კულტურის მოცემულ ენას წარმოადგენენ, ან მნიშვნელობაშეცვლილია, ან საერთოდ დაგინწყებული. მეორეს მხრივ, დგება კულტურის ენის გადარჩენის აუცილებლობა, რომელიც მფარველობს ადამიანთა ურთიერთობას, ღირსებას და თავისუფლებას, და ამ გადამარჩენის ფუნქციას საკუთარ თავზე იღებს ინტელიგენცია. ასე რომ, სპირიდონის ხელში (ჯიბებში) დამბაჩა ორმაგი დანიშნულებისაა: ერთის მხრივ, მისი თავისუფალი მოქალაქეობის ნიშანია, რომელსაც ღირსების დაცვა შეუძლია, ანუ კულტურის ნიშანი, რომელიც მან მისსაკუთრად არისტოკრატიისაგან, როგორც ამ ნიშნის ახალმა პატრონმა ამ უფლებას დამკარგველისაგან, მეორეს მხრივ კი, ჩვეულებრივი თავდაცვის იარაღი — მისი ფიზიკური გადარჩენის პირობა.

ოთარაანთ ქვრივისთვის მუხლზე ხელის დაკვრა („შინაურული“ ფესტი) კესოს მხრიდან დაშვებული შეცდომაა. კესო არღვევს სოციალური იერარქიის დაცვის კოდსაც და უფროს-უმცროსობის ტრადიციულ ეტიკეტსაც. ოთარაანთ ქვრივი ამაზე მიანიშნებს. ის ცნობს სოციალურ განსხვავებულობას, მაგრამ იცავს კულტურულ ნორმასაც და კესოსგან კულტურის ამ ენის სტატუს-ქვოს შენარჩუნებას მოითხოვს.

რეზო ინანიშვილის ნოველაში „ფრთხეებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?“ მწერლის მიერ მოყოლილი ტრაგიკული ამბის ბოლოს მსმენელი — მწერლის ქალმშვილი — სრულიად მოულოდნელ შეკითხვას სვამს. ამ დიალოგის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ აქაა გადაადება (გაგების) და არა შესმენა. ნოველის ფილოსოფიური მუხტი იქ



ჩნდება, სადაც შეკითხვის შესაბამისად მოთხოვნილ ამბავთან ავლენს რეალობის აღქმის დეფიციტს, დროის ფრაგმენტებს შორის კავშირის წყვეტას და ამ დაშორებით გამოწვეულ სრულ გაურკვევლობას იმ ღირებულებების მიმართ, რომელიც ძველი თაობების ცხოვრების წესს ქმნიდა. თუკი მართალია აზრი, რომ ნოველაში ფილოსოფიური ემპაქი უნდა იცინოდეს, ის აქ ნამდვილად იცინის. მეტიც, ამაზრზეხნად ქირქილებს რეალობასთან ფატალურ აცდენებზე, ადამიანის რომანტიკულ წარმოდგენებზე და ყველა დროის დონ კიბოტებზე. დუელი, რითაც ახალგაზრდა კაცი (ქალისა და) საკუთარ ღირსებას იცავს, ცარიელი ფორმაა, დაცარიელებული აღსანიშნავი მხოლოდ, ფორმა კი გვიან კვდება. მამებსა და შვილებს, ზოგადად დროის მონაკვეთებს შორის ჩამოწოლილი ეს გაუგებრობა ყოფიერების ნიშნადაა წარმოდგენილი, პერსონაჟების (ახალგაზრდა ვაჟისა და გოგონას) ანალოგიურობაც ძალზე ღრმად და ფრთხილადაა მინიშნებული. იმ დროის მიღმა, რომელშიც მოქმედება ხდება, თითქოს სხვა დროის აჩრდილი აღმართულა და დაკარგული ღირებულებების გამო საჩვენებელ შურისძიებას აწყობს.

პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელია დრო-სივრცის აბსოლუტური ფარდობითობა, პროცესის განვითარება რიზომულად, შესაბამისად, მოვლენები შეიძლება დროში ერთდროულად ხდებოდეს, მიზეზსა და შედეგს შორის მიმდევრობა დაირღვეს, სივრცე კი კონტექსტიდან იყოს ამოგდებული და არ ითვალისწინებდეს არამცთუ ისტორიული დროის რეალურ ფაქტებსა და გარემოებებს, არამედ პერსონაჟის მოვლენითი დროისა და ხასიათის კონტექსტსაც, მეტიც, იგი შეიძლება ერთი პერსონაჟის სივრცის შემადგენელი იყოს და მეორის დასახასიათებლად გამოიყენებოდეს. მაგალითად, ლუარსაბ თათქარიძის ომში წასვლა აკა მორჩილასი „რიმიქში“ სხვა კონტექსტში აქცევს ლუარსაბს და მის სახასიათო ნიშნებსაც: აკა მორჩილასის ლუარსაბის მეტყველება — დინჯი, საქმიანი; ხასიათი — თითქმის დრამატული, ღრმა განცდის უნარი; გასტრონომიული ლტოლვები საერთოდ უგულვებელყოფილია. იგი რიხაშია ჩაცმული და დაკავშირებულია ჩოლოქის ომის კონტექსტთან გარეგნული მახასიათებლებითაც კი. აკა მორჩილასი მშვენიერი შანსი მისცა ილიას პერსონაჟს, რომანტიკულ ეპოქაში ეცხოვრა და ადამიანად ეჩვენებინა თავი ახალი საუკუნის მკითხველის თვალში.

ის, რაც სუბიექტურობის გაძლიერებას ახლავს, თითქოს აზარალებს სამყაროს და ადამიანს, იმას, რაც ჩვენს ირგვლივა, და იმასაც, რაც მთლიანობად კრავს ჩვენს შინაგან „მე“-ს. სუბიექტურობის გაძლიერებამ მოიტანა „უნდობლობა ყველაფრის მიმართ, რაც ჩვენს გარეთაა“ (ბახტინი), რაც სხვა არაფერია, თუ არა რეალობის მიმართ გაჩენილი დამანგრეველი ეჭვი: ნამდვილია თუ არა ის ყველაფერი, რაც გარს გვაკრავს ხილვით თუ უხილავი სახით, რაც არის და რაც იყო? პოეზია, პოეტური ენა, რომელიც სწორედ ყოფიერებისა და ცნობიერების საზღვრის ცოდნას ფლობს და მას გამოხატავს, გარანტიად უდგება რეალობას: „ყველაფერი ნამდვილად იყო“ (ბესიკ ხარანაულის „მკვდრების სიმღერა“).

მხატვრულ ტექსტებში ხშირია დიალოგი არა ადამიანებს, არამედ ადამიანსა და არავერბალურ მოვლენებს შორის (მაგალითად, ბუნება, ისტორია და ასე შემდეგ). შემდგარი გაგებისა და დიალოგის პირობებში პასუხი შეიძლება იყოს არავერბალური, მაგრამ სავესებით რეალური და **ხმამალალი** — როგორც, მაგალითად, ვაჟასთან; როგორც რჩეულიშვილთან ალავერდი და მთელი ის კულტურული ლანდშაფტი, რომელსაც გურამი ხედავს გათენებისას ალაზნის ველზე.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებითი პრინციპი პერსონაჟის ხატვისა ამ პერიოდისთვის განსაკუთრებით უჩვეულოა. იგი

ორიენტირებულია არა სოციალურ ფაქტორებზე, არამედ სასიცოცხლო ენერგეტიკაზე, სულიერზე, ნებელობითზე, სხეულებრივზე. სხვათა შორის, 50-იანი წლებიდანვე იწყება რეალობის ფსიქოლოგიზაცია ჩვენს მწერლობაში. ჯონ კუტზე ამ პერიოდზე წერს, როგორც ახალი ლიტერატურული ტრადიციის — ფსიქოლოგიური რეალიზმის — ჩამოყალიბების ხანაზე დასავლურ მწერლობაში.

გურამ რჩეულიშვილი ისტორიას აღიქვამს, როგორც თანადროულობაში შემოჭრილ აუცილებლობას, რომელიც სწორად უნდა იქნას ნაკითხული. ეს მიმართება ისტორიასთან გურამის თანამედროვე სააზროვნო კონტექსტის აუცილებელი შრეა. ისტორიის მაორგანიზებელ, მომანესრიგებელ როლს იგი ხედავს შრომის შედეგში და ამ პროცესში სურს, ჩართოს საკუთარი შემოქმედებაც.

უფლისციხე და ალავერდი წარმართული და ქრისტიანული კულტურული ტოპოსები და ხსოვნის რეზერვუარებია — განსხვავებული ბიოგრაფიით, ასაკით, დანიშნულებით, არქიტექტურით, რელიგიურ-კულტურული მნიშვნელობით. ისინი მხოლოდ შთამომავლის ისტორიზმის განცდაში ერთიანდებიან. ისტორიის „მოკლე ჩართვით“ გურამი ნამიერად ცვლის, ახალ სიცოცხლესა და სიკაჟაჟს ანიჭებს ალავერდის გახუნებულ, ფუნქციონირებულ სივრცეს, „უსახელოში“ კი — საკუთარ შინაგან სივრცეს, უფერულ, ერთფეროვან და უენერგიო ყოველდღიურობას („რატომღაც მინდა უფრო მომწყურდეს...“).

გურამი ორივეგან **ფხიზელია**. ის ფხიზელია და ამიტომაც ესმის ალაზნის ველზე დილის სიმღერა და უსახელო უფლისციხელის მოძრაობის ჩქამი. ამიტომ გრძნობს, რომ „ეს ისტორიულადაც ბოლო დღეა“ („ალავერდობის“ თავდაპირველი ვერსია), გრძნობს რაღაც ახლის დასასრულს, ისტორიულ გზაჯვარედინს. ეს ცოდნა სიფხიზლის წყალობით ეძლევა. მისი წყალობითვე ერთგვარად დიდ დროში, რომელშიც ვერასოდეს მოხვდებიან მოფუსფუსენი და მთვლემარენი.

რატომ დაწერა გურამმა „კიდევ ჩრდილო კავკასიაში ყვებოდნენ“ — ასეთი საშინელი მოთხრობა ქალისა და კაცის რადიკალურ მტრობაზე, ასეთ თავზარდამცემ ძალადობაზე ერთმანეთის მიმართ, რომელშიც საბოლოოდ კაცი იმარჯვებს? თავისუფლების მოპოვების (თუ ღირსების დაცვის?) ასეთ სასტიკ და უჩვეულო გზაზე?

იშვიათად მეგულება ქართულ ლიტერატურაში სხვა შემთხვევა, სადაც ძალაუფლების ნების დემონსტრირება ასეთი ფაქიზი, თითქმის შეუმჩნეველი დეტალებით ხდება. ამ ნების კულმინაციაა მოთხრობის ფინალი: ხელის მოძრაობა, რომლითაც ტრაგედიის მერე კაცი ფანჯარას ალბს: „ქმარმა ხელისკვრით გაალო ფანჯარა...“

რა ხდება „ბათარეკა ჭინჭარაულში“? სისასტიკე, სიბრძავე, მშვენიერება, სიფაქიზე ერთ სივრცეში, ერთმანეთის გვერდით და პირისპირ. ინსტინქტის უკიდურესი ფორმები. ყველაფერი ზღვარზეა, უკიდურესი და სასტიკი ფორმით. რეალობის უსამართლობა და ფატალურობა. მშვენიერება, სილამაზე, რომელიც სისასტიკეს ბადებს. რაღაცით მონათესავე მამა-შვილი — ორივენი, სხვადასხვა გზით, სპობენ სიცოცხლეს.

რჩეულიშვილი ერთ-ერთი პირველი ეხმარება ავტორსა და პერსონაჟს შორის ურთიერთმიმართებათა განახლების ამოცანას.

ავტორის პერსონაჟ-მოთხრობელად ქცევის მთელი პროცესის „გამოტანით“ ლაბორატორიიდან ღია საკომუნიკაციო სივრცეში, იგი აბრუნებს გულწრფელობას დოკუმენტალიზმის, ნონფიქციონის შემოტანით. იგი თითქოს ცხოვრებისეულ თავგადასავალს ყვება, კი არ „თხზავს“, კი არ „ბაძავს“, არამედ „ინერს“, „აღწერს კოდის გამოიფერის პროცესს. სიუჟეტი და დრო-სივრცის არქიტექტონიკაც ამ პრინციპზეა აგებული („ალავერდობა“, „უსახელო უფლისციხელი“, „სიკვდილი მთაში...“).

ბული („ალავერდობა“, „უსახელო უფლისციხელი“, „სიკვდილი მთაში...“).

გურამი ამჩნევს მე-20 საუკუნის სენს: ეპოქის საშინელ სიყალბეს და ცნობიერების დაშლის ნიშნებს. დღიურებში და წერილებში ხშირად ლაპარაკობს გულწრფელობაზე.

რა იყო გურამისთვის გულწრფელობა? შინაგანი შემოქმედებითი თავისუფლების საზომი? ესთეტიკური პრინციპების გადახალისების მეთოდი? თუ რაღაც სხვა — გადაუდებელი შემოქმედებითი ამოცანა, რომელზედაც საკუთარ თავთან ჰქონდა დადებული შეთანხმება? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გულწრფელობას, როგორც ადამიანის ყოფიერების ერთ-ერთ მდგომარეობას, იგი ფსიქიკის შიდასტრუქტურებთან, მის თავდაპირველ, დაცულ და ადექვატურ არააცნობიერ ფორმებთან მიბრუნებად აღიქვამდა. ამ რანგში განიხილავდა, როგორც თავადვე ამბობს, სათამაშო პრაქტიკებსა და როგორც ჩანს, ლიტერატურასაც („მხოლოდ თამაშის დროს ყველაზე გულწრფელია ადამიანი...“ „სცენაზე დგომა — აი, უდიდესი სიყვარული...“).

შეიძლება გვესაუბრა ერლომ ახველიანი ფილოსოფიური ზღაპრის ბუნებაზე, იმ სიახლეებზე, რაც ერლომის პარადოქსულმა ხედვამ მოიტანა ქართულ ლიტერატურაში, იმ ახალ გზაზე, რომელიც, საბას ტრადიციამ დაყრდნობით, ერლომმა გაკვალა თანამედროვე ქართული ნარატივის ახალ შესაძლებლობათა აღმოჩენაში ფრაზის სინტაქსურ და ინტონაციურ სიახლეებზე ორიენტირებით, გარდამავალ შეგრძნებათა და ამბივალენტურ ფსიქოლოგიურ მდგომარეობათა გამოხატველი პარადოგიზმებით, რომელიც ახალ ხედვასა და აზრის ახალ ნიუანსებს აჩენს და უჩვეულოდ ხვეწს და აფაქიზებს მკითხველის ენობრივ ალღოს. მაგრამ ისე უნდა, რომ იგი ერთეულ გამოვლინებად დარჩა და არ შეუქმნია მყარი ტრადიცია ქართულ მწერლობაში.

გურამი მოკლებულია მეზღაპრის სიმშვიდეს. მისი სიცოცხლისა და შემოქმედების ფორმა მღვლეარება და მოუსვენრობაა.

ასე, ბავშვით, მხოლოდ ერლომი ყვება. გურამი ვერასდროს იტყვის ასე, რადგან იგი თითქოს გადაახტა ამ მდგომარეობას, თითქოს დიდია და დიდურ პრობლემებს ეჭიდება. მისთვის ეს უკვე შეუძლებელი მდგომარეობაა, შეიძლება, საოცრებოც — ბავშვობა ხომ მუდამ საოცნებოა — მაგრამ მისკენ არასდროს გადადგამს ნაბიჯს, მისგან კი — ყოველთვის, რადგან კი არ ელოდება, არამედ ეძებს, თითქოს მოსწრებას ცდილობს. მას დღესვე სჭირდება პასუხი.

ის ამოცანა, რომელსაც საკუთარ თავს უსახავს, გურამს აქტიური საქმიანობისკენ აქეზებს, საქმიანობა კი მისთვის ქმედებაა და არა ჭკრეტა, არა მოლოდინი („შენებაა“ და არა „ტკობა“), ის მოქმედების, დალაგების, შეცვლის ვნებითაა შეპყრობილი. სიმშვიდეში კი არ ჭკრეტს, არამედ მოძრაობაში, აქტიურობაში, თითქოს გზადგაზა, თითქოს სიცოცხლის სხვადასხვა ფორმის დინამიურ ერთობლიობაში. თავის მშფოთვარე, მოუსვენარ ყოველდღიურობაში მხოლოდ ხანდახან, თითქოს შემთხვევით ჩამოჯდება ხოლმე, რათა ეს მშვენიერება აღიქვას, ეზიაროს და გაიზიაროს. სულ ადგილს ეძებს, შფოთავს და ვერ ისვენებს. ვნების სიმძაფრით ტკება და ამას უძღვნის საკუთარ სიცოცხლესაც და წერასაც. მას თითქოს არ ეშინია სიკვდილის, მის გარეთაა. შიში ერთგან იგრძნობა მხოლოდ: „მუნჯ ახმედში“, ისიც არა იმდენად სიკვდილის, რამდენადაც მარტოობისა და უსიყვარულოდ დარჩენის შიში... დღიურშიც წერს ამაზე...

ერლომის მზერაში და გურამის მზერაში ყოფიერების ორი მდგომარეობა ირეკლება. რჩეულიშვილის გმირის ამოძრავებამდე ერლომის გმირია, ერლომის მიერ მშვიდი ჭკრეტისა და ნახული სამყაროა (თუ პირიქით?), მისი დამუხტული სიმშვიდე და გაკვირებაა. ეს მდგომარეობა

ერლომისთვის მოძრაობაზე, მოქმედებაზე მნიშვნელოვანია, რადგან ჭკრეტით შეიცნობს სამყაროს. ეს გარდაქმნის, ცვლილების, ამოძრავების წინა წამია, მოძრაობისთვის იმპულსის მიმცემი. გურამს ეს წამი ნაკლებად აინტერესებს, რადგან ყოფიერების რიტმების ამოცნობას ცდილობს და მზერა ადამიანის შესაძლებლობების ინტენსიურ ფაზაზე აქვს მიპყრობილი, სამყაროს მეორე ბოლოსკენ: არაყოველღიურობისკენ, ყოფიერების არამუდმივი, არამდგრადი ელემენტებისაკენ. ცვლაში, არამუდმივში, შემთხვევითი, მოულოდნელი, ამოვარდნაში, ექსტაზში და არამშვიდ მდგომარეობაში ხედავს ყოფიერების სახეს...

და მაინც, ისინი ერთმანეთისკენ მოძრაობენ, როგორც მწერლის ორი ტიპი, ორი ტიპის გამოცდილება, ცოდნის ორი მდგომარეობა, სიტყვის მაძიებელთა უჩვეულო ტანდემი, ცხოვრების (ქმედების) და ცნობიერების (ფიქრის, ჭკრეტის) ორი პოლუსის განსახიერება, როგორც მარჯვენა და მარცხენა, რათა შეერთდნენ და შემოჰკრან ტაში, შექმნან ხმაური.

„კიბო — მკვდარი ფიქრების მეტასტაზი“. ერლომ ახველიანი ანაჩვეულებრივი განმარტება ფიქრისაც და კიბოსიც, თუმცა რამ გაყო.

ერლომი ერთგან ამბობს: „სახლიდან გამოვედი და კარი ფართოდ მოვხურე. შემინოდა, ხმაურზე არ გამღვიძებოდა. შორს მივდიოდი“-ო. საიდან ლაპარაკობს? სად მიდის? რას აპირებს? სიჩუმისთვის მიყურადებას? ამ სიჩუმის თხრობას? დაფარულის თხრობას? სადაა ეს „შორს“?

ერთდროულად შინაცაა და გარეთაც, სიზმარშიც და რეალობაშიც. ყველგანაა. თითქოს საკუთარი თავის (ცნობიერების) გარეთაც კი. მეტყველების „განრთხმული“ (ქვანტური) მდგომარეობა. ეს მდგომარეობა ცნობიერებას საიდნალაც ახსოვს და იმიტომაც ამოთქვამს ენა.

ლიტერატურის ინსტიტუტში ვილაცამ გაიხსენა: სიმონ ჩიქოვანს „ვანოს და ნიკოს“ ნაკითხვის მერე უთქვამს: ამ კაცს უკვე ყველაფერი დაუნერია, სხვა რაღა უნდა დანეროსო.

ენა და სიკვდილი ერთმანეთს არ იცნობენ, ენა მხოლოდ სიცოცხლეში მყოფობს, სიცოცხლეს ემსახურება, რადგან ცნობიერება არ იცნობს სიკვდილის მდგომარეობას. ამიტომ სიკვდილის სცენები მწერლისთვის და, შესაბამისად, მხატვრული ენისთვის საჯილდო ქვაა.

ნიკო სამადაშვილი: „სამყარო არის! დანამდვილებით“. საოცარია და თუკი ვინმემ რამე იცის დანამდვილებით, ისევე პოეტმა. ამიტომ ამბობს პოლ რიკორი, „მე ვარ“ მხოლოდ პოეტს შეუძლია თქვასო. გამოდის, რომ „ვარ“-ის ლეგიტიმურობა და პრეზუმპცია მხოლოდ პოეტურ სიტყვაშია დაცული.

თხრობა, როგორც სიცოცხლის ფორმა, სიცოცხლის მო-თხრობა. სიტყვა ყოფიერებაზე; ყოფიერება, რომელიც ღმერთმა შექმნა და ყოფიერება, რომელსაც სიტყვა ქმნის. სამყაროს წიგნის დამწერი (ღმერთი) და მისი გა-დამწერი (მწერალი). ყოფიერების, სიცოცხლის გადასვლა-გადმოსვლა, გადა-დინება სიტყვებში, ფრაზებში. სიტყვის ჩრდილები და აჩრდილები. მნიშვნელობის აჩრდილი, რომელიც ან წევს, ან დგას, დაგვენახვება ხოლმე აზრში, წინადადებაში, ფრაზაში, ტექსტში და ასე დაუსრულებლად.

ოთარ ჭილაძის ჩანაწერების კრებულში „ცა მინიდან იწყება“, ბატონი ოთარის ხელით შესრულებული რამდენიმე ჩანახატია. წიგნის ბოლო ფურცელზე, პირამიდების ფონზე, უდაბნოში (ალბათ, ოაზისისკენ) მიმავალი კაცი ხატია, აღვრით აქლემი მიჰყავს, წინ კი კუ მიდის, კაცს უსწრებს. ალბათ, ასეთია კაცობრიობის გზა სულიერი სრულყოფისაკენ — კუსაც კი ჩამორჩება.



პერაფრიტი დავიძინე. ასეც იყო მოსალოდნელი — ჯერ ტელევიზორითა და კომპიუტერით გადავიტვირთე გონება, ამათი წყალობით დავიღვლე და მალე მომეყვინთება-მეთქი, თქვენც არ მომიკვდეთ. შესაძლოა, მიზეზი ერთი ჭიქა მაგარი ყავა გახდა, მაგრამ აქამდე არ გამხდარა და ახლა რა მეტაკა?

ასე იყო თუ ისე, ჩემს თავს რომ დავუკვირდი, თვალდაჭყეტილს მენერა გათენება, ამიტომ გადავწყვიტე, სახლში არ გაჩერებულყავი. შემოდგომა იდგა, ოქტომბრის თვე, სასიამოვნო ღამე გახლდათ, ჯერ პირველ სიცივეს არ გამოეჩინა საცეცხები. საათს დავხედე, ორი ხდებოდა. ქურთუკს წამოვავლე ხელი, სარკეში ცალი თვალით შევათვალიერე ჩემი თავი და გარეთ გავვარდი ისე, თითქოს საქმიან შეხვედრაზე მაგვიანდებოდა.

როგორც ღამეს შეეფერება, ქუჩაში სიმშვიდე იდგა. ამ დროს ხმაური ღამის გასართობ დაწესებულებებში მიყუჟული. ცოტა ხანი ფეხით ვიარე, ესეც მალე მომბეზრდა.

საით გავწიო? ღამის ბარი თუ საბილიარდო? ორი-სამი წუთის ფიქრის მერე უპირატესობა ბილიარდს ხვდა. არ მქონდა ღრიანცელისა და ხმამაღალი მუსიკის სმენის თავი, ამიტომ ბილიარდის აზარტმა გადასძლია.

გაჩერებაზე შევჩერდი. „რა კარგია ხანდახან სინყნარე“ — ხმამაღლა გავახმოვანე ფიქრი. ამასობაში ავტობუსიც ჩამოდგა. შევახტი, ბილეთი ავიღე და მოხერხებულ ადგილზეც მოვკალათი. ავტობუსში რამდენიმე მგზავრი იყო და კონტროლიორი, რომელიც დადლილი სახით მექანკურად ათვალთვლებდა გარემოს. ჩემს წინ შუახნის, პუტკუნა ქალი იჯდა, ასე, შვიდორვა წლის ბავშვთან ერთად. „არ დაგვიძინოს, მალე ვიქნებით“ — ხმამაღლა ელაპარაკებოდა ბავშვს. გვერდით განმარტობულად იჯდა ორმოცდაათი წლის კაცი, უნესრიგოდ, მაგრამ სუფთად ჩაცმული, ამიტომ მანანწალას ვერ უწოდებდი. ჩემს უკან, ერთი რიგის იქით ახალგაზრდა წყვილი — ორივე გრძელი თმითა და ყურში საყურით, მათ გასწვრივ კეკლუცი ქალი, რომელიც სარკეს ჩასჩერებოდა, მის წინ კი მოხუცი ქალი, თითქოს ვინმეზე გაბრაზებულიაო, ისე ათვალთვლებდა გარემოს.

და უცბად ელვასავით დამკრა აზრმა, მოულოდნელმა, თავზარდამცემმა — ავტობუსი?! ღამის სამი საათი დაიწყო! საიდან, რა უნდა ამ დროს?.. თან მეც რომ ავხტი და შევხტი, ვითომც აქ არაფერი, ვითომ პიკის საათი ყოფილიყოს. ღმერთო! რა ხდება, სად ვარ!

მიმოვიხივე. მგზავრები სხედან, ვითომც აქ არაფერი. თითქოს ჩვეულებრივი ამბავია, ღამის სამ საათზე ავტობუსში რომ აღმოჩნდნენ.

ხმას ვერ ვიღებ. კონტროლიორს დავაკვირდი — ზის დადლილი, არაფრის-მთქმელი სახით.

„სად, საით მივყვები?“ — ეს შეკითხვა ისევე ჩემს თავს დავუსვი, სხვებს ჯერ ვერ შევხედე. უნებურად ბილეთს დავხედე, ის ადგილი, სადაც ავტობუსის ნომერი უნდა ეწეროს, ისეა გაცრეცილ-გადაღბნილი, ვერაფერს გაარჩევ, მერე ფანჯარაში დავინწყე ყურება. მიდის ავტობუსი, მიხრგინებს, აი, გაჩერებაზეც შეჩერდა, მერე გააგრძელა გზა.

— უკაცრავად, — ამოვლერღე, — ეს რა ნომერია? მე...

— ჰო, ვიცი, ვიცი, — მპასუხობს კონტროლიორი, — ვიცი, გიკვირს. მერე რა! ავტობუსი ღამით გამოვიდა, მერე რა მოხდა. — არც არაფერი მოხდა, მაგრამ...

ისევე დაბნეული ვიყურები აქეთ-იქით. კონტროლიორმა და მგზავრებმა ერთმანეთს გადახედეს, მათ სახეზე ირონიული ღიმილი შევნიშნე. მხოლოდ მოხუცი ქალი მომჩერებია მკაცრი სახით.

კიდევ ერთი გაჩერება. თორმეტი წლის ბიჭუნა ამოხტა. მეგონა, ისიც ჩემსავით გაოგნდებოდა... მსგავსი არაფერი მომხდარა. სკამზე დასკუპდა და ფანჯარას მიაყრდნო ცხვირი.

— ეს ბავშვი ასეთ დროს მარტო რატომ დადის? — მოულოდნელად დასვა შეკითხვა პუტკუნა ქალმა. ბავშვმა ხმა არ ამოიღო, თავი ჩაქინდა.

— რა გქვია? — გააგრძელა ქალმა. — დათო, — თავაუწევლად უპასუხა ბიჭმა.

— მშობლები გყავს? ბავშვმა უარის ნიშნად თავი გააქნია. ქალმა თავი მიანება, შეატყო, არ იყო ლაპარაკის სასიათზე.

უკვე შევეგუე მდგომარეობას. იქნებ მაშაყრებენ? იქნებ ვინმემ მომიწყო, თუ ქალაქში რამე ხდება? ერთადერთი აზრი მიტრიალებს, რა რეისია ნეტავ? ცოტათი წინ ნანევა მინდოდა გზაზე და სად ამოვყავი თავი. ნეტავ, სად აქვს ბოლო გაჩერება. მოდი, ნავყვები, ბილიარდი არსად გაიქცევა. ამ გადაწყვეტილების მიღების

თამუნა ქადაგიძე

ღამის რეისი



შემდეგ უფრო დავმშვიდდი და კიდევ ერთი სიურპრიზი: მოულოდნელად დავინახე, რომ სულ უკანა სკამების რიგში იჯდა მოხუცი კაცი, ამ დროისთვის შეუფერებლად თბილი პალტო ეცვა, საყელოც ამოენია, ამიტომ ნახევარი სახე არ უჩანდა. ჩანდა მხოლოდ ძალიან ნალვლიანი თვალები და, ასაკის მიუხედავად, ხშირი, მაგრამ სულ მთლად გათეთრებული თმა. იჯდა თავისთვის, ყველასგან გარიდებულნი. რატომღაც დავასკვენი, რომ ავტობუსს გარეთაც ასეთი იქნებოდა.

— სიგარეტი გაქვს, ახალგაზრდავ? — უცბად მომიბრუნდა შუახნის კაცი.

— ხუთი თვეა, არ მომიწევია, — თავი გავიქინე. ჩემს მაგივრად შეყვარებულმა წყვილმა უწილადა.

— მაღლობა, ბავშვებო, — ამ სიტყვებთან ერთად სიგარეტის ღერი ჯიბისკენ გააქანა, — რომ ჩავალ, მოვწვე.

ცოტა ხანში ისევე დაარღვია სიჩუმე: — რატომ ვართ ასე ჩუმად? მოვიწყინეთ. ვისაუბროთ. აი, მე, მაგალითად, ბევრს ვიცნობ, ბევრი მიცნობს, ცხოვრება მომბეზრდა კიდევ, თუმცა რა უფლება მაქვს? ვხატავ, როცა თავისუფალი დრო მაქვს, თუმცა როდის არ მაქვს? მინდა, რაღაც სიგიჟე დავხატო, მთავარი ჯერ არ დამიხ-

ატავს, რაღაცას ვეძებ ნახატებით... — ყველა ხელოვანი ასეა, რაღაცას ეძებს თავისი ნაწარმოებით. არ აქვს მნიშვნელობა შინაარსს, გმირებს, ეძებს მათთან ერთად, — პათეტიკური ტონით წარმოთქვა ახალგაზრდა ყმაწვილმა.

— და რა?! რა ჯანდაბა! — უხეშად გამოუპასუხა მხატვარი და ჩაახველა, — რა ჩემ ფეხებს ვაღწევთ? არ ჯობდა, სხვა რამის ნიჭი მქონოდა? ვიცხოვრებდი ადამიანურად...

— ჩვენ მუსიკა გვიყვარს, — აღნიშნა

თეთრი უღვამუბიეც ჰქონია. უეცრად ჩემსკენ ახლოს მოიხიზა და ჩურჩულით მეუბნება: ახლა ესენი უცნაურ რამეს ჩაიდენენ.

გაკვირვებულმა შევხედე. — რატომ?

— ესენი ადამიანები არ არიან. „ვაიმეე, ესლა მაკლდა,“ — ვფიქრობ, — „აი, მე ხომ ვერა ვარ, აქ რომ ამოვედი, ამათ ხომ ასხიათ, მაგრამ, შენ კი დახურე, ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო.“

ორიოდე წამში მძლოლის ომახიანი ხმა გაისმა: ვატრიალებ ამ ტიალ საჭეს და არ აქცევთ ყურადღებას, რომ ქალაქს გავცდით, მთანმინდასაც კი. მშვენიერი ღამეა, სავსე მთვარე, რას იტყვით ცოტა ხნით პიკნიკზე? აგერ, გაიხედეთ, პატარა მდელია, მთვარე დაჰნათის. რამდენიმე ფანარიც მაქვს თან, სინათლე გარანტირებულია, არც სხვა რამ მაკლია, თქვენი თვალით ნახავთ.

მგზავრები გამოცოცხლდნენ, უმეტესობა დიდი ხალისით შეხვდა ამ წინადადებას. ახალგაზრდა წყვილმა იუხერხულა ცოტათი.

— რა პიკნიკი, როგორ? — იკითხეს ხმადაბლა.

— არავითარი „როგორ,“ — აწყვეტინებს მძლოლი, — ყველაფერი მზადაა, გათვალისწინებულ იქნა, აბა, ჰე! ჩავდივართ!

მართლა რა ხდება? — ვეკითხები ჩემს თავს, — მართლა არანორმალურებში მოვხვდი? ჯერ ავტობუსი ღამის ორ საათზე, მერე პიკნიკი, ამან ხომ დაგლიჯა, მე ვერა ვარ, თუ ესენი? — ამ აზრებმა გაირბინეს წამიერად ჩემს თავში, მაგრამ გონებითა თუ ინსტინქტით ვამჯობინე, ზედმეტი შეკითხვები აღარ დამესვა, მივყევი სხვებს და დინებას.

ჩემდაუნებურად მოხუცის გვერდით აღმოვჩნდი. რას დავეძებ, აგრესიული მაინც არაა, უბერავდეს თავისთვის. პიკნიკის სუფრას ალუბლისფერი ღვინო ამშვენებს. გავმხიარულდი, მივუბრუნდი მოხუცს: არც ესენი ამბობენ უარს? — ვეკითხები.

— იციან გემო, — ამოოხვრით მიპასუხა, ნახევრად ხუმრობის ტონით, მაგრამ მაინც ნალვლიანი დარჩა.

მძლოლმა ღვინო ჩამოასხა, ალაპარაკდა, ნეტავ, ამხელა გზის გავლა კიდევ როდის მომიწევსო, იმედი მაქვს, ზედმეტი რეისებით დიდხანს აღარ შემანახებენო... შეყვარებულები რაღაცაზე ხმამაღლა კამათობდნენ, ბავშვინი ქალი პატარას ნამცხვარს აწვდიდა. მხატვარი ჯერ გამხიარულდა, ახალი იდეები გაუჩნდა: გადავწყვიტე, ვარსკვლავებით მოჭყედილი ცა დავხატო, სავსე მთვარე და მის შუქზე, ღამის ბინდში ჩრდილებივით მოსიარულე ადამიანები; ძნელად თუ გაარჩევენ რამეს გარშემო, მაგრამ ინსტინქტით ხვდებიან, როგორ უნდა გადადგან ნაბიჯი, საით წავიდნენ, რომ არ დაიკარგონ ან გზა არ აებნათ, მთავარია, არ წაიქცნენ, ფეხი რამეს არ წამოსდონ, სულაც, რომელიმე ცხოველი არ გამოეკიდოთ, ან სხვამ, მათსავით სიბნელეში ჩრდილივით მოსიარულემ არ დაუდოს სარმა ნებით თუ უნებლიედ სუსტი, გაბნეული სინათლის მიზეზით; ეს ყველაფერი ნახატით უნდა გავაკეთო, აუცილებლად!!! მერე მიჩუმდა, ფიქრებში ჩაეფლო, ხანდახან მძლოლს ან კონტროლიორს გადაულაპარაკებდა ხოლმე. მხოლოდ ჩემი მეგობარი მოხუცი იჯდა ისევე შენუხებული სახით.

— დალევ? — ვკითხე მოხუცს.

— ცოტას, — მიპასუხა.

— კი, მაგრამ, თქვენ როგორ სვამთ, ავტობუსი?.. — ხმამაღლა ვკითხე მძლოლს, ეს იყო ერთადერთი შეკითხვა, რაც დავსვი. პასუხად ირონიული ღიმილი მივიღე, მერე კი ომახიანი შეძახილი: ჩვენს შეკრება-გასეირნებას გაუმარჯოს, ღმერთმა დალოცოს ეს ადგილი! ხმა აღარ ამოიღია, შევეურთდი საერთო მხიარულებას.

მოხუცმა ცოტა საჭმელი გადაიღო, მერე უცბად თვალი გაუშტერა რაღაცას. — ბევრი რამ გავაკეთე, ბევრი — არა, მაინც ვიცხოვრე, — თავისთვის ჩაილაპარაკა.

— პიკნიკის მერე რას აპირებენ? — ვკითხე ხმადაბლა.

— თავიანთ ადგილას წავლენ.

— რატომ ხარ ასე უხასიათოდ?

— მეც ჩემს ადგილას უნდა წავიდე.





ნეორეალისტი

სასმელების მალაზიაში კონსულტანტი ქალბატონი ბოთლებს ლამაზად ალაგვდა — ნატიფი, სწორი თითებით ადგილებს უცვლიდა. ქალბატონს ლანა ერქვა, მალალი იყო, თხელი, წვრილი, ნეგეტიანი მკერდი და სწორი ფეხები ჰქონდა, მოძრაობისას ოდნავ იჭიმებოდა, წელს ასწორებდა — ეტყობოდა, დაღლილიყო თავისი მომაბეზრებელი საქმით.

მალაზიაში ახალგაზრდა მხატვარი შემოვიდა და ლუდის ბოთლებს დაეძგერა, არჩევა დაიწყო, თვალბეგაროვანი მივარდა დახლთან და თავი ააქიცინა, ვერ გაერკვია, რომელი უნდოდა, ვერ იგებდა, რომელს რომელ დახლზე ეკრა ფასი.

ლანამ საქმეს თავი მიანება და მხატვართან მივიდა, თავანუელი, ყელმოღერებული მიუახლოვდა, მიახვედრა, მოვედი და ჩემი საქმის კეთებას დავიწყებო.

— მოვიდა ჩვენი მხატვარი! — ლანამ თბილად გაუღიმა, — ვერ იგებ, რომელი რა ღირს?!

— როგორ ვერ ვიგებ, უბრალოდ... უბრალოდ... — მხატვარმა თავის ქექვა დაიწყო დაბნეულობისგან.

— იცი, როგორ დამალა ამ საქმემ? აი, სულ ასეთებს დავათრევ!

ლანამ საჩვენებლად ნახევრად ცარიელი ყუთი გადაადგილა.

მხატვარი გაბეცებული უყურებდა ქალბატონს, ისედაც დაბნეული სულ უფრო დაიბნა, ვერაფერი ვეღარ თქვა, სალაროსთან მიხობდა წელი ნაბიჯებით. ლანაც უკან გაჰყვა, ხელები შარვალზე გაისუფთავა და მაგიდასთან მივიდა.

— სიგარეტიც უნდა მყევიდა, მაგრამ ჯერ — ლუდი!

მხატვარი დახლთან მიბრუნდა, ლუდის ბოთლი აიღო და მაგიდაზე დადგა. მერე შეამჩნია, იქვე ფილმების დისკი რომ იდო და ლანას გამოელაპარაკა კინოზე.

— კუბრიკის ფილმებია?

— არა, იტალიური კინოა!

— ნეორეალისტი! — გაეცინა მხატვარს.

— დიას. რატომ იცინი?

— არასოდეს დამიხატავს რეალისტური ნახატი.

მერე ორივემ დატოვა მალაზია, მშვიდი სახეებით გამოფარფატდნენ გარეთ.

მალაზიის გვერდით ვულკანიზაცია იყო, მის წინ კასრი იდგა წყლით სავსე, როგორც ჩანს, მუშები საბურავებს ამონებდნენ იმ წყალში.

კასრს ვილაც გაქონილი, მსუქანი კაცი მიუახლოვდა, მკლავები აიკეცა და წყალში ჩაყო ხელები, მერე თავიც მიაყოლა, დასიცხული ქათამივით გაიქნია ტანი, უშნო თავი ედგა იმ ტანზე, აპრილებულ კანზე რამდენიმე ღერი ქოჩორი ასწენოდა, გადაჭრილ ბოთლში ჩაყრილ ფანქრებს უგავდა თმა.

თორნიკე ბოგნიაშვილი

ლანა შეანუხა არაესთეტიკურმა სურათმა, მხატვარს ამოეფარა, მალაზიის ვიტრინასთან მიხობდა. მხატვარს სიგარეტი აეხრჩოლებინა, დაკრეჭილ კბილებში გაეჩარა ფილტრი. მერე მოაგონდა: ადრე მეზობელ ქუჩაზე ვილაც კაცი ნახა, ვულკანიზაციიდან გამოდიოდა, სიგარეტი ზუსტად ასე გაეჩარა პირში. შეცბა, ნერვები იმ ქონიანის ქოჩორით აუნენა, სიგარეტი გამოიძრო პირიდან, ხელი მოადუნა, ამჯერად დახვეწილი არისტოკრატივით მიიტანა ტუჩებთან.

— აი, ზუსტად ასეთ ხალხზე იღებენ ის რეჟისორები ფილმებს, — თქვა მხატვარმა.

— ვინ რეჟისორები? რომელი რეჟისორები? — შეცბა ლანა.

— ნეორეალისტები.

ლანა ერთხანს მიაშტერდა მხატვარს. მერე მალაზიაში შევარდა და დისკი გამოიტანა, კართან მდგარ ურნაში ჩაადგო, ზედ იატაკზე დაგროვილი ცელოფენები დააყარა.

მხატვარი მინის კარიდან უყურებდა ლანას, ეცინებოდა, სიგარეტის კვამლისგან გამავეებული თვალები ეწვოდა.

მალე მალაზიას ის გაქონილი პაჟი მიუახლოვდა, იმასაც სიგარეტი ეჭირა კბილებით, ცალი ხელით სველ თავს იწმენდდა.

ლანამ დაინახა თუ არა, მაშინვე კარში გამოიჭიმა.

— არა! ჩააქრეთ და ისე შემოდით!

კაცმა ამოიხრა, ჯერ ლანას შეხედა, მერე მხატვარს, კბილებიდან მანაც გამოიძრო სიგარეტი, სცადა, უფრო მოხდენილად მიეტანა ტუჩებთან, არ გამოუვიდა, ფილტრის დანახვისას კბილები თავისით დააცხრნენ ერთმანეთს. გამწარებულმა მოისროლა სიგარეტი, ხელები მაისურზე შეინმინდა, თავდახრილი შევარდა დახლებთან.

მხატვარი ლანას უყურებდა, ისევე ეცინებოდა, უხაროდა, მისი ხელოვნება შორს რომ იყო რეალიზმისგან, ამაცი იყო თავისი ფუნჯებითაც და იდეებითაც.

თბილისის ნაცრისფერ ცაზე ღრუბლები ნელა წამოიშალნენ, ექვსი საათი იყო, სიცხეს ძალა ეკარგებოდა, გრილი ნიავი ხვევდა მკლავებს პატარა ქუჩას.

მხატვარი სწრაფი ნაბიჯით, სტვენით მიდიოდა სახლისკენ, მხოლოდ იმ სასამელზე და ფიქრობდა, რომელიც ხელში ეჭირა.

— სიგარეტი! — გაიგონა ლანას ხმა.

შემობრუნდა. ქალბატონს წყნარი ღიმილის ნიღაბი მიეფარებინა სახეზე.

ყვითელი საღამო

რეზო ყურძნით სავსე გოდრებთან იჯდა, გამოკრეფილ ვენახს უყურებდა, ნუხდა საკუთარი ნერვების გამო, ფეხსაცმლის სანმენდი ღრუბელივით გამოფიტულიყო, ძალა გამოსცლოდა. იჯდა, უყურებდა,

და, ხალხი სათლებით ხელში როგორ მოძრაობდა, როგორ ავსებდა ბოლო გოდორსაც.

მერე ვილაცამ დაუძახა: — ნადი, სათლები მაიტა!

რეზოც ადგა და წამოვიდა. არავინ იცოდა, რეზოს რა სჭირდა, რა უძნელებდა ქუჩაში სიარულს. ნერვულ შეტევებს მთლად დაეჭვნო, დაებერებინა, ეშინოდა, გზაზე არ დაცემულიყო, გონება არ დაეკარგა. ისეთი შეგრძნებები ჰქონდა, თითქოს სხეული ეცლებოდა, თითქოს სული რჩებოდა მარტო.

წამოვიდა კაკლებამდე, მერე გაჩერდა, ქვაზე დაჯდა, სიგარეტი მოსწია. ვერ მოისვენა ვერც იქ, ხეებთან იყო, მაგრამ ჰაერს მანაც ვერ გრძნობდა, სულს რაღაც უბამდა ეკლიან მავთულებზე. ყველაფერთან ერთად სირცხვილიც ანუხებდა, ვინმე რომ შეხვედროდა, ვერ გაუმხელდა, რა სჭირდა. როგორი საქმეა, რთველიდან მომავალმა ვინმე გააჩერო და უთხრა, რომ ცუდად ხარ, რა განუხებსო, გკითხავენ და ეტყვი, დეპრესია... მძიმე სათქმელია, ვერ მიხვდებიან, არ გაგიგებენ... არც უნდა გაგიგონ...

ქარი ფარდასავით დაფრიალებდა, მტვრი მოჰქონდა, რეზოს თვალს უსვრიდა, ხედვას უფერებდა. ნელა მოაბიჯებდა და გულის კუნძულში მანაც ნატრობდა, ვინმეს დაენახა.

მალე ბავშვი შენიშნა რეზომ, ლურჯად შეღებილი ჭიშკრის წინ იჯდა, მანქანით თამაშობდა. ბავშვმა შეამჩნია, რაღაც რომ ანუხებდა კაცს, ახლოს მივიდა, მიაჩერდა, ვერაფერი ჰკითხა, მაგრამ მიახვედრა — მითხარი, რა გჭირსო.

რეზომ გვერდი აუარა, რკინის დიდი მილისკენ წავიდა, უნდოდა, კიდევ დამჯდარიყო, მაგრამ თვალებში სიმძიმე დაანვა, თითქოს ვილაცა დიდი ფარდა ჩამოეფარებინოს სახეზე.

თვალი რომ გაახილა, მიხვდა, მწვანე ეზოში იჯდა, წინ ხნიერი კაცი ეჯდა და ღვიწხოს ისხამდა.

— რა დაგემართა ამ ახალგაზრდა კაცს, ბიჯო?

რეზომ იცნო, ვინც იყო, კლასელის პაპა, ლევან ბილანიშვილი. უფრო დაიმორცხვა, წამოდგა და ნახევრად გაღებულ კარში გავარდა. ლევანიც ჭიშკარში გამოვიდა და გზაზე გავარდნილ რეზოს დაუძახა.

— მე გათხოვებ სათლებს.

რეზო უკან დაბრუნდა, პაპა ლევანს გაუსწორდა, ნაღვლიანად მიაშტერდა მის დანაოჭებულ სახეს.

— რა იცით, რომ სათლები მინდა?

— რა რა ვიცი, შვილო, დღეს უკვე მესამე კაცმა აიარა ამის გამო. გარეთ ვიყავი, კაკალს ვარჩევდი, ყველას გამოველაპარაკე. ყბედი კაცი არ გეგონო ოღონდ.

ორივემ გაიცინა. მერე ეზოში დაბრუნდნენ, ლევანმა სათლები გამოიტანა, გარეცხა, დიდი სქელი ნაჭრით ამონმინდა და რეზოს დაუთავა.

— გინდა, ეხლავე წაიღე, გინდა, მოიცადე, იქ თუ არ გადაირევიან და ყაურომას დავეუცადოთ. მალლა ხარშავენ.

— არა, მიჩვენია, წავიდე...

— ერთი ნუთით...

და ლევანმა რეზო მორე სათლებზე აიყვანა, აივანზე მომიცადეო, უთხრა. უნდოდა, დიდი მნიფე ხურმის რამდენიმე ტოტი მიეცა, ცოტა გუნება გამოეკეთებინა ახალგაზრდისთვის.

რეზო აივანზე დარჩა. ფანჯრიდან დაინახა, როგორ ისხდნენ წიგნებით სავსე პატარა ოთახში გოგოები, ყავის ჭიქები ეჭირათ ხელში და პირზე ხელის მიფარებით იცინოდნენ. უყურა ერთხანს, მერე, ვერც ერთი რომ ვერ იცნო, კიბისკენ წავიდა, მოერიდა, არ შემამჩნიონ, ფანჯარაში რომ ვიყურებო. მალე ლევანიც დაბრუნდა, ორი დიდი ტოტი ხურმა გამოეტანა, რეზოს მისცა. რეზომ ხურმა სათლებში ჩადო და ლევანს ხელი ჩამოართვა.

ქარი გაძლიერდა, ქუჩებში მტვრის ისეთი ტალღები დატრიალდა, თვალს ვერ გაახელდით, სცივემ ერთბაშად შეაღწია რეზოს ისედაც დასუსტებულ სხეულში. ვენახების პირას ჩარგული ვეებერთელა კაკლებიც კი ისე მოხრილიყვნენ, იფიქრებდით, სიბერემ ადამიანივით გატეხა ხეები.

გოდრები უკვე მანქანებში დაელაგებინათ, ხალხი ნახევრად გაშლილ სუფრასთან დამჯდარიყო. მხოლოდ ორი ხანშიშესული კაცი უცდია რეზოს. როცა მან სათლები მიიტანა, ყველამ სინქრონულად დაიქნია ხელი, სუფრასთან მოდიო. რეზოს არ უნდოდა ხალხთან დაჯდომა, ერჩია, იმ ორ ასაკოვანს გაჰყოლოდა, ვისაც სათლები მიანოდა.

წავიდნენ, პატარა ხეივანზე კარგად მოვლილი თითა ყურძენი გამოკრიფეს, სათლებში ჩაალაგეს, რეზოს უთხრეს, ახალგაზრდა ხარ, მანქანამდე მიიტანო. რეზომ სათლები ყველაზე პატარა მანქანაში ჩაალაგა, ზედ ლურჯი ნაჭერი გადააფარა.

სუფრასთან დიდხანს არავინ დარჩენილა, ყველანი ისეთი დაღლილები იყვნენ, ჭამის თავიც კი არ ჰქონდათ. ერთმანეთის მოსაჩვენებლად გადაიღეს თეფშზე რამდენიმე ნაჭერი მწვადი და დაიშალნენ.

რეზო გზას ფანჯრიდან უყურებდა, დამშვიდებულიყო, თითქოს აღარაფერი ანუხებდა. მხოლოდ ლევანის სახლთან ატეხილმა ქაოსმა ააღელვა, როცა დაინახა, როგორ იდგა ხალხი დიდ ლურჯ ჭიშკართან და როგორ საუბრობდა ხმა-ლლა.

ყველა გადმოვიდა მანქანიდან, ერთ ადგილას გაჩერდა. რეზოც ცოტა ხანს იდგა, მერე ისევ მანქანისკენ წავიდა, ვერ გახედა, მისულიყო და ეკითხა, რა ხდებოდა. მანქანაში დაბრუნებულმა ხალხმა თავად მოიტანა ამბავი, ლევანს ეზოში მარისუანას მოსათხრელად შემოსული კაცისთვის უსვრია თოფი.

— ხომ არ მოკლა? — იკითხა რეზომ.

— ყურის ბიბილო წააცალა, მეტი არაფერი! — გაეცინა როიალივით განიერ კაცს.

მტვრის ტალღები ისევ ირეოდა ქუჩებში, ბინდში უფრო ძლიერი და საზარელი ჩანდა ქარი. ქარი კი არა ქარიშხალიაო, იფიქრებდით. რეზო ოდნავ ჩანუელი ფანჯრიდან უყურებდა მტვრიან, მაგრამ მანაც ძალიან ღია ყვითელ ფოთლებს, ისინი ვენახს შესუთული გლეხებივით ირეოდნენ ქუჩაში.



შემდეგი ნომერი გამოვა 12 იანვარს

ლიტერატურული გაზეთი
 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
 საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
 რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
 ჟურნალისტი **თამარ ყურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
 9 772346 794004